2. Как было отмечено выше, в настоящее время выпуск продукции высокотехнологических отраслей в совокупном выпуске продукции по стране занимает очень небольшой удельный вес, тогда как до постсоветского обвала экономики был значителен. Конечно, в сравнительно небольшой стране невозможно создать большое количество крупных предприятий высокотехнологических отраслей. Но необходимо выбрать несколько приоритетных направлений и в пределах этих направлений разработать и осуществлять стратегию развития. Вместе с тем необходимо выявить как пути реанимации на новой технологической базе ранее существовавших высокотехнологических производств (например, в станкостроении), так и пути становления предприятий некоторых новых отраслей. Привлечение современных производственных технологий и освоение на их основе полного производственного цикла для выпуска определенных продуктов – очень сложный процесс, который нуждается не только в бизнес-координации, но и в содействии государства. В особенности трудно в настоящее время основание собственных крупных предприятий для выпуска ИТ продуктов, поскольку,

даже между достаточно насыщенными такими предприятиями странами идет серьезная конкуренция для расширения производств, функционирующих на базе таких технологий. Но это не исключает возможности основания и функционирования в сравнительно небольшой стране очень крупной высокотехнологичной компании (например, финская «Нокия» входит в число крупнейших компаний мира). Очень усложнилось также в настоящее время привлечение высоких технологий путем размещения в стране предприятий ведущих ТНК, поскольку среди желающих их разместить стран идет сильная конкуренция.

Отсюда видно, что расширение производства высокотехнологичных отраслей в современных условиях в небольшой стране представляет собой очень сложную задачу и для достижения этой цели необходимо существование структурно-отраслевой (по более ранней терминологии «промышленной») политики, проводниками осуществления которой должны быть соответствующие государственные организации, а также – представители бизнес-кругов или крупные частные структуры.

Как было отмечено, необходима реанимация на новой технологической базе некоторых традиционных высокотехнологичных отраслей. Из новых отраслей же, вместе с выбором для развития некоторых направлений ИТ технологий (например – реанимация производства телевизоров с параллельным производством близких по технологии изготовления компьютерных мониторов – раньше в Грузии был завод по производству телевизоров, но поскольку они в настоящее время изготавливаются на новой технологической основе, соответствующая отрасль может считаться новой отраслью), на наш взгляд, более значительное внимание необходимо уделить такой основанной на высоких технологиях продукции, производство которой еще не приобрело в мире массовый характер (т. е. сфера производства в мире пока не насыщена соответствующими предприятиями), но в некоторых странах наблюдается тенденция все более широкого потребления такой продукции. Для примера приведем следующий довод. Как было указано выше, в некоторых развитых странах начался определенных рост доли энергии (в частности, электроэнергии), получаемой с помощью солнечных батарей (в особенности это характерно для ФРГ). Поэтому, на наш взгляд, целесообразно было бы основание в стране производство солнечных элементов современного типа, на основе соответствующего стимулирования предпринимательства и параллельной государственной пропаганды, направленной на использование населением солнечных элементов (как это, например, происходит в США и ФРГ).

В Грузии создание такого типа новых предприятий тем более важно с учетом того, что в мире сейчас происходит заметная переориентация от финансирования развития ископаемых видов топлива преимущественно на финансирование развития экологически чистой энергетики (возобновляемых источников энергии). Так, например, представители фонда братьев Рокфеллеров за один день до открытия саммита ООН по поводу изменения климата (2014 г., 23 сентября) объявили о намерении продать активы фонда вложенные в ископаемые виды топлива (800 млн долларов) и вложить разместить их в экологически чистую энергетику. Вместе с фондом братьев Рокфеллеров в альянс инвесторов решивших избавиться от вложений в ископаемые виды топлива (на сумму 50 млрд долларов) вошли 180 организаций и 650 частных лиц. На этот шаг они пошли в рамках международной инициативы Global Divest-Invest, которая представляет собой экономическую платформу, с помощью которой можно вывести собственные активы из отраслей связанных с «грязными» полезными ископаемыми и затем размещать их в экологически чистые проекты [Рокфеллеры ..., 23.09.2014; Рокфеллеры ..., 2014].

На наш взгляд, наряду с технологиями производящими электроэнергию на основе использования экологически чистых источников, в число ключевых технологий нового технологического уклада, на которые необходимо ориентироваться при проектировании

новых отраслей в стране, войдут: технологии производства «суперемких» аккумуляторов и технологии производства композитных материалов.

Важное направление современного технологического развития, которое необходимо иметь ввиду при осуществлении отраслевой реструктуризации – это производство композитных материалов (в том числе металлопластиков) и изделий из них. Так, например, А. Аганбегян отмечает: «Постепенно синтетика – полимеры, композитные материалы по своим техническим параметрам и стоимости приближаются к хорошим видам стали и цветным металлам. Из композитных материалов начинают производить сверхсложное оборудование. Уже сегодня корпус Боинга-787 практически сделан из композитных материалов, а не из титаново-алюминиевых сплавов. Появляются самолеты на 20% легче своих собратьев, вместимостью до 300 человек, дальностью полета до 16 тыс. км на высоте 14 км, они потребляют на 20% меньше топлива. Европейский Аэробус-750 также сделан из композита, это первые ласточки синтетической революции. Концерн BMW также в череде новаторов» [Абел Аганбегян, 2014].

Отсюда очевидно, что создание композитных материалов и сложных изделий из них в настоящее время является актуальным направлением экономического развития. Поэтому для бизнеса Грузии должны быть созданы такие условия, чтобы он по нескольким выбранным профилям включился в инвестирование создания соответствующих производств (в первую очередь, путем включения в соответствующие международные межфирменные и внутрифирменные технологических цепочки).

Таким образом, необходимо наблюдение за проходящими в мире процессами по производству и использованию новой высокотехнологичной продукции и на, основе серьезного анализа, принятие (предпринимателями) решений о целесообразности производства того или иного нового продукта.

3. Следующая группа отраслей – это сельское хозяйство и отрасли, базирующиеся в основном на переработке его продукции, т. е. отрасли пищевой и легкой промышленности. Как видно из проведенного выше анализа положение с уровнем самодостаточности по этим жизненно важным секторам и, по некоторым видам продукции, уровень самообеспеченности, довольно низок. Причины недостаточного развития этих отраслей и пути выправления ситуации рассмотрены нами в ряде публикаций¹³ и являются предметом отдельного изложения.

4. Следующая группа отраслей это отрасли, которые в основном производят продукцию для промежуточного потребления и использования или переработки: металлургия; химическая промышленность; полимерная промышленность (производство пластмасс и резины и изделий из них); производство металлопластиков; промышленность строительных материалов. На продукцию этих отраслей спрос в мире стабильно растет (в особенности на удобрения, металлопластики, строительные материалы) и, несмотря на то, есть ли у страны исходное сырье для производства в этих отраслях или нет, в случае разумного выбора направлений развития этой отрасли, в обозримой перспективе суммарное экспортно-импортное сальдо по продукции этих отраслей может стать положительным, несмотря на то, что в настоящее время по каждой из этих отраслей в той или иной степени оно отрицательно. Особое внимание должно быть уделено такому актуальному направлению, как производство металлопластиков и изделий из них, а также – производству качественных строительных материалов, в том числе и для экспорта.

5. Лесоматериалы и полученные путем их обработки изделия (строительные материалы, мебель, бумага и т. д.) занимают большое место в обеспечении отраслей экономики и потребностей населения, притом, как показано выше, большая доля в их

¹³ См.: [Абесадзе, ..., 2014: 195-234]. – Глава VII. Необходимость согласованного развития смежных отраслей промышленности и сельского хозяйства; [Бурдули, 2013: 20-27]; [Бурдули, Датунашвили, 2013] и др.

поставках приходится на импортные товары. Поэтому, развитие соответствующего местного производства представляет собой одно из важнейших направлений достижения положительного структурного эффекта в экономике. К сожалению, на всем протяжении периода 1990-2012 гг часто происходила бесконтрольная рубка леса и вывоз за рубеж необработанной древесины. В результате этого возможности выборочной рубки леса в целях поставки в эти отрасли сырья заметно сократились. Поэтому здесь необходимо развитие производства (в первую очередь, производства мебели) на базе импортного сырья (конечно с использованием и местных возможностей обеспечения лесоматериалами). Также, в перспективе, с целью более широкого обеспечения перерабатывающих производств местными лесоматериалами, необходим надлежащий уход за лесными массивами страны, а также создание плантаций быстрорастущих деревьев (например, эвкалиптов по периметру колхидских болот), как это практикуется в настоящее время в некоторых странах.

6. В достижении положительного структурного эффекта определенную роль может сыграть целесообразное развитие отраслей сферы услуг, в первую очередь, туризма, опережающий рост которого может вызвать значительные положительные сдвиги в экспортно-импортном сальдо (обслуживание иностранных туристов в стране фактически представляет экспорт услуг). Перспективы развития этой отрасли представляют предмет отдельных исследований и в разных аспектах рассмотрены в работах К. Квеладзе¹⁴. Определенными возможностями в обслуживании иностранцев обладает также система образования.

Из вышеизложенного очевидно, что «переориентация структуры экономики» Грузии должна происходить по следующим направлениям¹⁵: 1) Рост электроэнергетических мощностей преимущественно за счет строительства ГЭС. Кроме того, с ориентацией на опыт ФРГ и США можно взять курс на использование в энергетике солнечных элементов, постепенно доведя долю выработанной ими энергии в электроэнергетическом балансе приблизительно до 10%; 2) Доведение доли выпущенной высокотехнологичными отраслями продукции в общем объеме выпущенной в промышленности продукции от ныне мизерной доли в 1,5% до сколько-нибудь весомой доли, что позволит значительно повысить уровень самодостаточности экономики прежде всего за счет расширения экспорта. Для этого необходимо выбрать несколько приоритетных направлений развития, как за счет реанимации каких-либо традиционных отраслей (например, строительство многопрофильного станкостроительного завода с использованием в производстве гибких, ИТ и других новых технологий и широким оснащением изделий ИТ технологиями; строительство современного завода по выпуску телевизоров, компьютерных и т. д. мониторов), так и за счет основания новых отраслей, с учетом того обстоятельства, что ниша по сбыту продукции выбранного производства в мире не была бы перенасыщена (например: основание производства солнечных элементов, или на основе импорта отечественными производителями соответствующих производственных технологий, или с привлечением предприятия зарубежной корпорации; создание предприятия по производству современных аккумуляторов и т. д.). Вместе с тем, по многим высокотехнологичным конечным продуктам невозможно размещение в отдельной стране всего технологического цикла производства, поэтому государство должно содействовать национальным фирмам в сфере включения в международные межфирменные технологические цепочки; 3) Скоординированное развитие смежных отраслей сельского хозяйства и пищевой промышленности с возрастанием их

¹⁴ См., напр.: [Квеладзе, 2013].

¹⁵ В этой статье рассматривается только отраслевая структура в разрезе видов деятельности, однако структурное содержание может рассматриваться и с точки зрения других характеристик, например, по распределению предприятий по размеру.

импортозамещающих и экспортоориентированных функций; 4) Скоординированное развитие смежных отраслей сельского хозяйства и легкой промышленности, что является самой неотложной, первоочередной задачей; 5) Ускоренное развитие (путем модернизации и расширения существующих и основания новых) выбранных производств в химической, полимерной, металлургической промышленности, в производстве строительных и композитных (в том числе металлопластиков) материалов и изделий из них таким образом, чтобы через определенный период суммарное экспортно-импортное сальдо по характерной для этих отраслей продукции стало бы положительным; 6) Развитие предприятий деревообрабатывающей промышленности, в первую очередь, мебельных и по производству строительных материалов из древесины; 7) Развитие отраслей сферы услуг с ориентацией на рост их импортозамещающих и, где это возможно, экспортоориентированных возможностей.

Заключение

Таким образом, по всем рассмотренным группам отраслей (отрасли энергетики, отрасли пищевой, легкой промышленности и сельского хозяйства, химической и полимерной промышленности, промышленности строительных материалов, высокотехнологичные отрасли и т. д.) уровень самодостаточности экономики более или менее низок, а по группе высокотехнологичных отраслей (в эту группу по статистическим материалам нами сгруппирован довольно широкий спектр отраслей от автомобилестроения и станкостроения до ИТ технологий) и легкой промышленности крайне низок. Для того, чтобы в ближайшем будущем в процессе отраслевой реструктуризации добиться весомого структурного эффекта (в первую очередь путем повышения уровня самодостаточности экономики), необходимо, в частности, в электроэнергетике заострить внимание на строительстве ГЭС, быстрее создавать или развивать импортозамещающие и ориентированные на экспорт производства в пищевой и легкой промышленности, укрепляя при этом сырьевую сельскохозяйственную базу этих отраслей, развивать и отчасти и реанимировать отрасли промышленности строительных материалов, развивать новые отрасли химической и металлургической промышленности (в частности, производство металлопластиков и изделий из них) и т. д. А главное, без чего невозможно существенное улучшение экспортно-импортного сальдо страны, необходимо перейти к ускоренному развитию (новому строительству, реанимации на новой технологической базе) преимущественно экспортоориентированных, выбранных, согласно определенным **критериям приоритетности** и оценке возможностей сбыта предполагаемой к производству продукции, высокотехнологичных отраслей (например, производство оснащенных ИТ технологиями станков, производство солнечных элементов и т. д.).

Использованная литература

1. Burduli V., Abesadze R. 2013. Sectoral, Technological, and Institutional-Organizational Structures of the Georgian Economy: Development Issues in the Context of Globalization. – The Caucasus & Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Volume 7. Issue 1-2. CA&CC Press. SWEDEN.
2. External Trade of Georgia. 2012. Statistical Publication. National Statistical Office of Georgia. Tbilisi, 2013.
3. Statistical Yearbook of Georgia. 2012 / National Statistical Office of Georgia. Tbilisi, 2013.

4. Абел Аганбегян. Что делать, чтобы догнать и перегнать. 21 февраля 2014 г. (Ната Марк, ТПП-Информ). – Электронный ресурс: http://www.tpp-inform.ru/economy_business/4336.html
5. Абесадзе Р., Аревадзе Н. Экономика Грузии на рубеже 90-ых годов XX века (на груз. яз.). Proceedings of Scientific Works of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU. Volume IV. Tbilisi: 2011.
6. Абесадзе Р., Бурдули В. 2014. Структурные и инновационные проблемы экономического развития. Тбилиси.
7. Беридзе Т. 2007. Национальная экономическая модель: альтернатива глобализации? – Кавказ & Глобализация. Журнал социально-политических и экономических исследований. Том 1 (3). CA&CC Press. ШВЕЦИЯ.
8. Бурдули В. 2013. Генезис и пути преодоления аграрного кризиса в Грузии. – Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 90-th Birth Anniversary of Professor George Papava: Actual Problems of Economies of Post-Communist Countries at Current Stage. Tbilisi.
9. Бурдули В., Дагунашвили Л. Согласованное развитие смежных отраслей сельского хозяйства и промышленности – важное условие преодоления аграрного кризиса. – В сб.: Bioeconomy and Sustainable Development of Agriculture. Proceedings of II International Scientific-Practical Conference. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 2013.
10. Бурдули В. Пути развития отраслевой и технологической структуры экономики страны в условиях глобализации. – Ekonomisti, 2012, #3. Стр. 36-46. – Электронный ресурс: http://pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasva/jurnali_ekonomisti/3-2012_jurnali.pdf
11. Квеладзе К. 2013. Политика инноваций в развитии туризма (на груз. яз.). – Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 90-th Birth Anniversary of Professor George Papava “Actual Problems of economies of Post-Communist Countries at Current Stage. Tbilisi.
12. Оболенский В. Внешнеэкономические связи России: некоторые уроки глобального кризиса. – Вопросы экономики, 2012, №5.
13. ОЭСР: Ускорение роста ВВП в РФ возможно лишь в случае структурных реформ. – Интернет. Новости Google. 19 ноября 2013 г.
14. Рокфеллеры решили избавиться от нефтяных активов (23 сентября 2014 г.). – Электронный ресурс: www.interfax.ru/business/398170
15. Рокфеллеры решили инвестировать в ВИЭ. – Электронный ресурс: Greenevolution.ru/2014/24/rokkfellery-reshily-investirovat-v-vie/

ვახტანგ ბურდული
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

**საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის განვითარების
პრობლემები**

ვრცელი რეზიუმე

1990-ანი წლების დასაწყისში, ეკონომიკის პოსტსაბჭოური დაცემის შემდეგ, საქართველოში, ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების უმეტესობაში, მკვეთრად შეიცვალა ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა, დაიკარგა მრავალი აუცილებლად საჭირო დარგი და წარმოება. მართალია, მათი უმეტესობა მოქვეყნებულ ტექნოლოგიებს იყენებდა, მაგრამ სახალხო-სამეურნეო

კომპლექსი დივერსიფიცირებული და გარკვეულ ფარგლებში თვითკმარი იყო (პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს შორის საკმაო წონასწორობის გათვალისწინებით). იმ დროიდან მრავალი წელი გავიდა, საქართველოში მიღწეულია შედარებითი ეკონომიკური სტაბილურობა, ვითარდება სატრანსპორტო და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურა, საბინაო მშენებლობა, ხდება წარმოების ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიებით აღჭურვა, მაგრამ ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა არ შეესაბამება ინოვაციური ტიპის ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ნეონდუსტრიული განვითარების თანამედროვე სტანდარტებს. ამიტომ ვერ ხერხდება ექსპორტ-იმპორტის საღდოს დამაკმაყოფილებელი პარამეტრების მიღწევა, ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე ბევრი აქტუალური სამრეწველო დარგის რეანიმაცია, სოფლის მეურნეობის დაუშუშავებელი ფართობების გამოყენება.

სიტუაციის გასაუმჯობესებლად საჭიროა პრიორიტეტული დარგების წინმსწრები განვითარების საფუძველზე ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის რადიკალური ცვლილება, რაც შესაძლებელს გახდის მაღალი სტრუქტურული ეფექტის მიღწევას, რომელიც განისაზღვრება უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებით. ამისათვის საჭირო ეკონომიკური განვითარების დინამიზმის უზრუნველსაყოფად საჭიროდ მიგვაჩნია ეკონომიკის თანამედროვე დარგობრივი სტრუქტურის ნაკლოვანებების შეფასების განხორციელება და მისი გაუმჯობესების (რესტრუქტურიზაციის) გზების დასახვა.

შედარებით მცირე ქვეყანაში ყველა დაკარგული დარგის ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე რეანიმაციის შესაძლებლობა არ არის. ასევე, არ შეიძლება ვილაპარაკოთ წარმოების დიდ მასშტაბებზე ახალი და მოდერნიზებული ტრადიციული დარგების დიდ რაოდენობაში. ზოგიერთ სექტორში (სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა) უნდა სრულფასოვნად ფუნქციონირებდეს თითოეულ მათგანში შემავალი (ქვეყანაში არსებული) ყველა დეტალიზებული დარგი, რათა მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი მოსახლეობის მოთხოვნილებები და, სადაც ეს შესაძლებელია, დიდი მოცულობით წარმოებდეს პროდუქციის ექსპორტი (საქართველოში, მაგალითად, ხილის, ციტრუსებისა და ღვინის ექსპორტი), ზოგიერთ სხვა სექტორში (მაგალითად, მსუბუქი და სამშენებლო მასალების მრეწველობებში) მიზანშეწონილია მათში შემავალი დარგების უმეტესობის წონასწორული განვითარება ან რეანიმაცია მათი იმპორტ-ჩანაცვლებითი და ექსპორტული პოტენციალის ზრდის გათვალისწინებით. მაგრამ საქართველოში, ისევე, როგორც ნებისმიერ მცირე ან საშუალო ზომის სხვა ქვეყანაში, შეუძლებელია ენერგეტიკის, მაღალი ტექნოლოგიების სფეროს და ა. შ. მრავალი სახის დარგის განვითარება. ასეთ სექტორებში საჭიროა პრიორიტეტული დარგების დასახვა და მეწარმეებისა და სახელმწიფო კოორდინაციის ძალისხმევის მიმართვა მათ დაჩქარებულ განვითარებაზე. ამიტომ, სახელმწიფოს მიერ **დარგობრივ-სტრუქტურული** განვითარების (რესტრუქტურიზაციის) კოორდინაციისა და ბიზნესის მიერ ინვესტიციების განთავსების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას მნიშვნელოვანია არსებული სიტუაციის შეფასება როგორც საერთოდ მთელი დარგობრივი სტრუქტურის, ასევე ცალკეულ სექტორებში შემავალი დარგების ჭრილში.

ამასთან, დარგობრივი რესტრუქტურიზაციის განხორციელებისას საჭიროა ორიენტაციის აღება **“სტრუქტურული ეფექტის”** მიღებაზე. სტრუქტურული ეფექტის შეფასება, ჩვენი აზრით, შეიძლება ექსპორტის პოტენციალის და იმპორტ-ჩანაცვლების ზრდის მაჩვენებლებით, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის გამოშვების ზრდისა და სხვა მსგავსი მაჩვენებლებით, მაგრამ, ჩვენი აზრით, **სტრუქტურული ეფექტის ყველაზე მნიშველოვან მახასიათებელს წარმოადგენს ეკონომიკის თვითკმარობის დონე, რომლის ძირითადი ინ-**

დიკატორია დარგების ჯგუფების ჭრილში თვითკმარობის მაღალი დონე (კვებისა და მსუბუქი მრეწველობის, სამშენებლო მასალების მრეწველობისა და ენერგეტიკის პროდუქტების მიხედვით ასევე მნიშვნელოვანია თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი) და ექსპორტ-იმპორტის დადებითი სალდო დარგების ჯგუფების მიხედვით. სტრუქტურული ეფექტის მისაღწევად საჭიროა საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული შინაარსის მიზანმიმართული ტრანსფორმაცია.

დარგების ზოგიერთ ჯგუფში (სექტორებში) მეურნეობის თვითკმარობის (რაც შეიძლება შეფასდეს ამ დარგების ჯგუფების მიხედვით ექსპორტის და იმპორტის მოცულობებისა და, ასევე, ადგილობრივი წარმოების (ექსპორტის ჩათვლით) იმპორტის მოცულობასთან შედარებით) მიღწევა საჭიროა არა წარმოების სწრაფი ზრდის ხარჯზე მოცემული ჯგუფის (სექტორის) ყველა დარგში, არამედ ამ ჯგუფში შერჩეული პრიორიტეტული დარგების (ქვესექტორების) ხარჯზე, რომელთა პროდუქციის ექსპორტი იმპორტის კომპენსაციას მოახდენს ამ ჯგუფის სხვა დარგების სასაქონლო პოზიციების მიხედვით (ან, რაც უკეთესია, საქონლის ექსპორტი მოცემული ჯგუფის დარგების მიხედვით უფრო მეტი იქნება, ვიდრე იმპორტი).

ამ სტატიაში დარგობრივი სტრუქტურის ნაკლოვანებები გამოვლენილი და განხილულია დარგების ჯგუფების ჭრილში (სასაქონლო პოზიციების მიხედვით ადგილობრივი გამოშვების, ექსპორტის და იმპორტის გათვალისწინებით), დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების სავარაუდო საერთო მიმართულებები კი ისეთნაირად არის განსაზღვრული, რომ მიღწეულ იქნეს მნიშვნელოვანი სტრუქტურული ეფექტი.

დარგების ყველა განხილული ჯგუფის მიხედვით (ენერგეტიკის დარგები, კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგები, ქიმიური და პოლიმერული მრეწველობის დარგები, სამშენებლო მასალების მრეწველობის დარგები და ა. შ.) ეკონომიკის თვითკმარობის დონე მეტ-ნაკლებად დაბალია, მსუბუქი მრეწველობისა და მაღალტექნოლოგიური დარგების მიხედვით კი (დარგების უკანასკნელ ჯგუფში სტატისტიკური მასალების მიხედვით ჩემ მიერ გაერთიანებულია დარგების საკმაოდ ფართო სპექტრი, დაწყებული ავტომანქანებისა და ჩარხმშენებლობის დარგებიდან, დამთავრებული ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური საწარმოო ტექნოლოგიებისა და სამომხმარებლო ნაკეთობების მწარმოებელ დარგებით) – უკიდურესად დაბალი.

საქართველოს ეკონომიკის “სტრუქტურული გადაორიენტირება” უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი მიმართულებებით: 1) ჰესების აშენების ხარჯზე ელექტროენერგეტიკის სიმძლავრეების გაზრდა. ასევე, გურ-ის და აშშ-ის მაგალითზე ორიენტაციით მზის ელემენტებზე დამყარებული სიმძლავრეებით გამომუშავებული ელექტროენერჯის მთლიან ელექტროენერგეტიკულ ბალანსში ხვედრითი წილის თანდათანობით ამადლებით, დაახლოებით 10%-მდე მიყვანა; 2) მაღალტექნოლოგიური დარგების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხვედრითი წილის მიზერული დონიდან საგრძნობ დონემდე გადიდებით. ამისათვის საჭიროა განვითარების რამდენიმე მიმართულების არჩევა როგორც რომელიმე ტრადიციული დარგის რეანიმაციის საფუძველზე (მაგალითად, ახალი ტექნოლოგიების ბაზაზე მრავალპროფილიანი ჩარხმშენებელი ქარხნის აშენება; თანამედროვე ტელევიზორების და კომპიუტერული მონიტორების ქარხნის აშენება და სხვა), ასევე, ახალი დარგების ჩამოყალიბების გზით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არჩეული წარმოების ნიშა მსოფლიოში გადამეტებულიად არ იყოს გაჯერებული (მაგალითად, თანამედროვე მზის ელემენტების წარმოების დაფუძნება ან საკუთარი მეწარმეების ძალებით შესაბამისი საწარმოო ტექნოლოგიების იმპორტირების საფუძველზე, ან უცხოური კორპორაციის საწარმო-

ბის მოწვევით); ამასთან, როგორ ითქვამს, მრავალი საბოლოო პროდუქტის მიხედვით შეუძლებელია წარმოების მთელი ტექნოლოგიური ციკლის ცალკეულ ქვეყანაში განთავსება, ამიტომ, საჭიროა სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ტექნოლოგიურ ჯაჭვებში ეროვნული ფირმების ჩართვის ხელშეწყობა; 3) სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მომიჯნავე დარგების კოორდინირებული გაფართოება მათი იმპორტჩანაცვლებითი და ექსპორტზე ორიენტირებული ფუნქციების ზრდით; 4) სოფლის მეურნეობასთან მსუბუქი მრეწველობის მომიჯნავე დარგების წარმოების რეანიმაცია, რაც უპირველესი რიგის ამოცანაა; 5) ქიმიური, პოლიმერული, მეტალურგიული, კომპოზიტური (მათ შორის მეტალოპლასტიკების) და სამშენებლო მასალების წარმოების ისეთი დაჩქარებული განვითარება, რომ გარკვეულ პერიოდში ამ დარგებისათვის დამახასიათებელი პროდუქციის მიხედვით ჯამური ექსპორტ-იმპორტის საღი დადებითი გახდეს; 6) ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხნების განვითარება, უპირველეს ყოვლისა, ავეჯისა და ხის სამშენებლო ნაკეთობების წარმოებაში; 7) მომსახურების დარგების განვითარება მათი ექსპორტზე ორიენტირებული და იმპორტჩანაცვლებითი შესაძლებლობების გაზრდაზე ორიენტირებით.

მაშასადამე, იმისათვის, რომ ახლო მომავალში დარგობრივი რესტრუქტურისა და პროცესის პროცესში მიღწეულ იქნეს წონადი სტრუქტურული ეფექტი (უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკის თვითკმარობის დონის ამაღლების ხარჯზე), საჭიროა, კერძოდ: ელექტროენერგეტიკაში ყურადღების გამახვილება ჰესების მშენებლობაზე; კვებისა და მსუბუქი მრეწველობების დარგებში იმპორტჩანაცვლებითი და ექსპორტზე ორიენტირებული ახალი საწარმების უფრო სწრაფი შექმნა და არსებულების სიმძლავრეების გაზრდა, ამასთან, ამ დარგების სასოფლო-სამეურნეო სანედლეულო ბაზის იმავდროული გამაგრებით (გამყარებით); სამშენებლო მასალების დარგების შემდგომი განვითარება და, ნაწილობრივ კი, რეანიმაცია; მეტალურგიული და პოლიმერული მრეწველობების ახალი დარგების განვითარება (კერძოდ, კომპოზიტური, მათ შორის მეტალოპლასტიკური, მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოება) და ა. შ. მთავარი კი, რის გარეშეც შეუძლებელია ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის საღი არსებითი გაუმჯობესება, საჭიროა უპირატესად ექსპორტზე ორიენტირებული (არჩეული განსაზღვრული პრიორიტეტულობის კრიტერიუმებისა და წარმოებისათვის გათვალისწინებული პროდუქციის გასაღების შესაძლებლობის შეფასებების მიხედვით) მაღალტექნოლოგიური დარგების დაჩქარებულ განვითარებაზე გადასვლა (ახალ მშენებლობაზე ან ახალი ტექნოლოგიური ბაზის გამოყენებით რეანიმაციაზე), მაგალითად, ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიებით აღჭურვილი ჩარხების მშენებლობა, მზის ელემენტების წარმოება და ა.შ.

**მიკროეკონომიკა
MICROECONOMICS**

გიორგი ბერულავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პ.
გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
ირმა დიხამინჯია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,
თბილისი, საქართველო.
ნათია ღვინჯილია
საქართველოს რეფორმების ასოციაცია, თბილისი, საქართველო

**მიგრაციის მიკროეკონომიკური ეფექტები შრომის ბაზარზე:
საქართველოს მაგალითზე**

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია საქართველოში მიგრაციას და შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომის ბაზარზე მოქმედებას შორის ურთიერთკავშირი. ქართული ოჯახების კვლევის საფუძველზე შევეცადეთ პასუხი გაგვეცა ეკონომიკურ ლიტერატურაში შედარებით შეუსწავლელ საკითხებზე. პირველი, ჩვენ გამოვიყენეთ ინსტრუმენტული ცვლადების მეთოდის მიზნად შედეგობრივი კავშირის დასადგენად მიგრაციას და შრომის მიწოდებას შორის საქართველოში. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო მიგრაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შინ დარჩენილი ოჯახის წევრების გადაწყვეტილებებს შრომის ბაზარზე მონაწილეობის შესახებ და ეს გადაწყვეტილებები არსებითად განსხვავდება სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით. მეორე, შევისწავლეთ მიგრანტების გამგზავნი ოჯახის წევრების არააქტიურობის ალტერნატიული განმარტებები. წინამდებარე კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში მიგრაცია იწვევს შინ დარჩენილი ოჯახის წევრების არააქტიურობას ძირითადად შრომის ჩანაცვლების ან განათლების მიღების ეფექტის მეშვეობით.

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, შრომის მიწოდება, დროის განაწილება, საქართველო

შესავალი

1991 წლიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მიგრაცია საქართველოში სოციო-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. მიგრაციის პროცესს საქართველოში მთელმა რიგმა გარემოებებმა შეუწყო ხელი, მათ შორის პოლიტიკურმა და ეთნიკურმა კონფლიქტებმა, რასაც შედეგად ლტოლვილთა დიდი რაოდენობა მოჰყვა; ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ მოტივებსაც, რაც ეროვნული ეკონომიკის გაუარესებამ გამოიწვია [Gerber & Torosyan, 2013]. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, დაახლოებით 867.6 ათასი ადამიანი წავიდა ემიგრაციაში საქართველოდან 1991-2005 წლებში. საერთაშორისო მიგრაციის ზრდასთან ერთად, ფულადი გზავნილების შემოდინება ქართულ ეკონომიკაში მკვეთრად გაიზარდა. 2015 წელს უცხოეთიდან გზავნილების სუფთა რაოდენობამ დაახლოებით 1.5 მილიარდი აშშ დოლარი, ანუ მშპ-ს 10.4% შეადგინა [OECD/CRR-Georgia, 2017]. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მიგრაციის და ფულადი გზავნილების მაღალ დონეს საქართველოში, სოციო-

ეკონომიკურ მდგომარეობაზე დადებით გავლენასთან ერთად, შესაძლოა უარყოფითი გავლენაც მოეხდინა სამუშაო ბაზრის ფუნქციონირებაზე.

განვითარებად ქვეყნებში შრომის ბაზრის ცუდი მუშაობა ჩვეულებრივ დაკავშირებულია მიგრაციის მაღალ დონესთან [Kim, 2007]. სამეცნიერო ლიტერატურიდან კარგად არის ცნობილი, რომ საერთაშორისო მიგრაციამ შესაძლოა გავლენა იქონიოს შრომითი ბაზრის მუშაობაზე ორი სახით [Rodriguez & Tiongson, 2001]. პირველი, იგი პირდაპირ ამცირებს მუშახელს, როდესაც შრომის ბაზრის პოტენციური მონაწილე საზღვარგარეთ ემიგრაციაში მიემგზავრება. მეორე, ფულადი გადმორიცხვების შემოსვლამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს არამიგრანტებზე. ამგვარად, საერთაშორისო ემიგრაციიდან შემოსული გზავნილები შესაძლოა განიხლოს საქართველოში შრომის ბაზრის ცუდად ფუნქციონირების ერთ-ერთ ფაქტორად [Berulava & Chikava, 2012].

საქართველოში ფულადი გზავნილების არსებული კვლევების უმრავლესობა უმთავრესად დაკავშირებული იყო მათ გავლენაზე გარე ბალანსზე და მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე. მიუხედავად თავისი მნიშვნელობისა, საქართველოში მიგრაციის მაკროეკონომიკური ეფექტი შრომის ბაზარზე შედარებით შეუსწავლელი რჩებოდა. მაგალითად, საქართველოში არც ერთ არსებულ კვლევაში არ არის განხილული ენდოგენურობის საკითხები ოჯახის გადაწყვეტილებებზე მიგრაციის/ფულადი გზავნილების ეფექტის შესწავლისას. ამგვარად, აღნიშნული კვლევების შედეგებზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ენდოგენურობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, ამიტომ, მიზეზობრივი კავშირი მიგრაციას და შრომის ბაზარს შორის საქართველოში კვლავ შეუსწავლელია. ამასთან, არსებობს არამიგრანტების შრომის ბაზარზე ქცევის სხვა გამომწვევი მიზეზები, რომლებიც შედარებით შეუსწავლელია საქართველოს კონტექსტში. კერძოდ, ემიგრანტების შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომის ბაზარზე არააქტიურობის მიზეზები (იგი გამოწვეულია სტიმულის არარსებობით, საოჯახო საქმეების ჩანაცვლებით თუ განათლების ეფექტებით) საჭიროებს შემდგომ კვლევას. წინამდებარე ნაშრომში, ქართული ოჯახების კვლევის საფუძველზე ვგეგმავთ ამ სფეროს კვლევაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას შემდეგი საკითხების შესწავლით:

- მიგრაციის ეფექტი შინ დარჩენილი ოჯახის წევრების გადაწყვეტილებაზე შრომის ბაზარზე მონაწილეობის/არააქტიურობის შესახებ, სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით;
- ემიგრანტების ოჯახების შრომის ბაზარზე არააქტიურობის მიზეზები (კერძოდ, ვცდილობთ დავადგინოთ, ეს არააქტიურობა ფულადი გზავნილებისგან მიღებული დამატებითი შემოსავლით არის გამოწვეული, მოვალეობების/საშინაო საქმეების ჩანაცვლებით თუ განათლების ეფექტით);

ნაშრომის დანარჩენი ნაწილი შემდგენილია არის შედგენილი: პირველი ნაწილი იკვლევს მიგრაცია-შრომის ბაზართან დაკავშირებული ქცევითი ურთიერთობების სფეროში განხორციელებული კვლევების შესახებ არსებულ ლიტერატურას. ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე ყალიბდება კვლევის კითხვები და მიზნები. მე-2 ნაწილში ყურადღება ეთმობა კვლევის მეთოდოლოგიას, მათ შორის ემპირიულ სტრატეგიას და მეთოდოლოგიას. კვლევაში გამოყენებული მონაცემები და ცვლადების მახასიათებლები აღწერილია მესამე ნაწილში. მეოთხე ნაწილი მოიცავს კვლევის შედეგების ანალიზს, ხოლო საბოლოო დასკვნები მოცემულია მეექვსე ნაწილში.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

სამეცნიერო ლიტერატურის სწრაფად მზარდი მოცულობა აღიარებს მიგრაციის და ფულადი გზავნილების გავლენას ოჯახის შინ დარჩენილი წევრების ქცევაზე შრომის ბაზარზე, როგორცაა: შრომაში მონაწილეობის მანევრებელი, მიწოდებული სამუშაო საათების რაოდენობა, დასაქმების ტიპები, საგანმანათლებლო მიღწევები და ა.შ. მიგრაციასა და შრომის ბაზრის შედეგებს შორის კავშირის დასაბუთება ეყრდნობა შრომის ეკონომიკას, რომლის მიხედვითაც ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ოჯახის ინდივიდუალური წევრების გადაწყვეტილებები მუშაობის/დასვენების შესახებ ერთმანეთისგან გამიჯნული იყოს [Chiappori, 1988; Chiappori, Fortin, & Lacroix, 2002; Fortin & Lacroix, 1997; Blundell, Chiappori, Magnac & Meghir, 2007]. აღნიშნულ ვარაუდზე დაყრდნობით, ეკონომიკური ლიტერატურა განსაზღვრავს მთელ რიგ გზებს, რომელთა მეშვეობითაც მიგრაციამ და ფულადმა გზავნილებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს ემიგრანტების შინ დარჩენილი ოჯახის წევრების ქცევაზე შრომით ბაზარზე [Rodriguez & Tiongson, 2001; Görlich, Mahmoud, & Trebesch, 2007; Amuedo-Dorantes, 2006]. *პირველ რიგში*, კონკრეტულ ოჯახში დავალეების განაწილების მიხედვით, მიგრაციამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ემიგრანტების შინ დარჩენილი ნათესავების შრომით გადაწყვეტილებებზე ორივე მიმართულებით. მაგალითად, თუ ემიგრანტი და ოჯახის არამიგრანტი წევრი ასრულებენ კომპლემენტარულ სამუშაოებს, ოჯახის ერთ-ერთი წევრის საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასვლამ შესაძლოა გამოიწვიოს შინ დარჩენილი წევრის სამუშაოს გაზრდა. აღნიშნულის საპირისპიროდ, შრომის მოცულობა შესაძლოა შემცირდეს, თუ მოცემული პირები ასრულებდნენ ჩანაცვლების სამუშაოებს საოჯახო წარმოების ფარგლებში [Rodriguez & Tiongson, 2001]. *მეორე*, მიგრაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ფულად გზავნილებთან, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს არაშრომით შემოსავალს ოჯახის დანარჩენი წევრებისთვის. ეკონომიკური თეორიიდან კარგად არის ცნობილი, რომ შემოსავლის ეფექტმა, ზოგადად, შესაძლოა გამოიწვიოს შრომის მოცულობის შემცირება არაშრომითი შემოსავლის ზრდის პირობებში და პირიქით [Airola, 2008]. ამგვარად, ფულადი გზავნილებით მიღებულმა ზედმეტმა თანხებმა შესაძლოა შეამციროს არამიგრანტი ოჯახის წევრების მიერ მიწოდებული შრომის მოცულობა. *მესამე*, მიგრაციამ და ფულადმა გზავნილებმა შესაძლოა მოახდინოს არამიგრანტების თვითდასაქმების მანევრებლების სტიმულაცია. მთელი რიგი ემპირიული კვლევები გვიჩვენებს, რომ ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან როლს თამაშობს წარმოების ხელშეწყობაში, ხსნის რა კაპიტალის შეზღუდვებს განვითარებად ქვეყნებში [Amuedo-Dorantes, 2006; Woodruff & Zenteno, 2007]. *მეოთხე*, შინ დარჩენილ ოჯახის წევრებს, ძირითადად ახალგაზრდებს შეუძლიათ შეამცირონ საკუთარი მონაწილეობა შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მიღების მიზნით [Görlich et al., 2007]. კვლევის დანარჩენ ნაწილში, პირველ რიგში განვიხილავთ არსებულ ემპირიულ შედეგებს მიგრაციის და ფულადი გზავნილების გავლენაზე შრომის ბაზარზე და წინამდებარე მიმოხილვის საფუძველზე ვაყალიბებთ კვლევის კითხვებს და მიზნებს.

შრომის ბაზრისთვის ფულადი გზავნილების გავლენის ერთ-ერთი პირველი კვლევა მოცემულია ფუნკჰაუზერის მიერ ნიკარაგუაში მიგრაციის შესახებ ჩატარებულ კვლევაში [Funkhouser, 1992]. აღნიშნულ კვლევაში ავტორი ადგენს, რომ საერთაშორისო მიგრაციიდან მიღებული ფულადი გზავნილები უარყოფითად მოქმედებს შრომით მონაწილეობაზე ქალებში და ზრდის თვითდასაქმების მანევრებელს კაცებში. როდრიგესის და ტიონგსონის [Rodriguez & Tiongson, 2001] კვლევა აჩვენებს, რომ მიგრანტების და მათი არა-მიგრანტი ნათესავების გა-

დაწვევები შრომასთან დაკავშირებით განუყოფელია. ფილიპინებზე მცხოვრები ოჯახების კვლევის მონაცემების საფუძველზე მათ დადგინეს, რომ მიგრაცია ამცირებს არამიგრანტების შრომით მონაწილეობას და მათ მიერ ნამუშევარი საათების რაოდენობას, ხოლო აღნიშნული არმონაწილეობის ალბათობა განსხვავდება არამიგრანტების სქესის მიხედვით. თუმცა, ორივე კვლევა შეისწავლის შრომის მოცულობის მხოლოდ ექსტენსიურ სიდიდეებს.

შრომის მოცულობაზე მიგრაციის ეფექტის ინტენსიური სიდიდეები შესწავლილი იქნა ამუედო-დორანტესის და პოზოს კვლევაში [Amuedo-Dorantes & Pozo, 2006]. შემოსავლების და ხარჯების მექანიკური კვლევიდან მიღებული მონაცემების გამოყენებით ეს კვლევა შეისწავლის კავშირს ფულად გზავნილებს და შრომის მოცულობას შორის სოფლად და ქალაქად მამაკაცების და ქალების მიერ შესრულებული სხვადასხვა ტიპის სამუშაოებისთვის. კვლევა ითვალისწინებს ფულადი გზავნილების ენდოგენურობას და იკვლევს ფულადი გზავნილების გავლენას შრომის საათების რაოდენობასა და არადისკრეტულ გააწვევებზე შრომის ბაზარზე მონაწილეობის შესახებ. ავტორების მიერ მოპოვებული მონაცემებით, ფულადი გზავნილები დაკავშირებულია ქალების მუშაობის მთლიანად შემცირებასთან სოფლად და არაოფიციალურ სექტორში. ეს კვლევა ასევე გვიჩვენებს, რომ მიღებული ფულადი გადარიცხვების შედეგად ზოგადად მცირდება მამაკაცების მუშაობის მაჩვენებელი ოფიციალურ სექტორში და ურბანულ თვითდასაქმებაში. მეორე მხრივ, ფულადი გადარიცხვები დაკავშირებულია მამაკაცების არაოფიციალურ სექტორში დასაქმების შედარებით მაღალ მაჩვენებელთან. ავტორებმა დაასკვნეს, რომ მამაკაცის შრომის შემთხვევაში ოჯახისგან მოშორებით ემიგრაციაში წასვლის უარყოფითი ეფექტი კომპენსირდება შემოსავლის ეფექტით, შესაბამისად, ფულადი გზავნილები მამაკაცის მუშაობას შემცირების ნაცვლად სხვადასხვა ტიპის დასაქმებაზე ანაწილებს. მექანიკური ოჯახების კვლევის საფუძველზე აიროლამ [Airola, 2008] დაადგინა, რომ საერთაშორისო მიგრაციის ფარგლებში ფულადი გზავნილების ზემოქმედება შრომაზე ისეთივეა, როგორც ნებისმიერი არაშრომითი შემოსავლის სხვა ფორმების ზემოქმედება შრომის ბაზრის შედეგებზე, რაც დასაბუთებულია სხვა შესაბამის კვლევებში. კერძოდ, კვლევა აჩვენებს, რომ ფულადი გზავნილის მიღება დაკავშირებულია მცირე ხანგრძლივობის სამუშაო საათებთან. ასევე, აკოსტას [Acosta, 2006] კვლევა აჩვენებს, რომ ელ სალვადორში მცხოვრები არამიგრანტების ქცევა, რომლებიც ფულად გზავნილებს იღებენ, განსხვავდება სქესის მიხედვით. აღნიშნული კვლევის მიხედვით, ფულადი გზავნილები იწვევს ქალის შრომის მაჩვენებლის ვარდნას, თუმცა გავლენას არ ახდენს მამაკაცების მონაწილეობაზე შრომაში. იამაიკაში ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში კიმი [Kim, 2007] აჩვენებს, რომ ფულად გზავნილებს მძლავრი უარყოფითი გავლენა აქვს შრომაში მონაწილეობის ნიშნულზე, მაგრამ არა ყოველკვირეული სამუშაო საათების რაოდენობაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შემოსავლის ეფექტთან ერთად, მიგრაციამ შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს შრომის განაწილების ფორმებზე ოჯახში. მთელ რიგ კვლევებში დადგინდა საზღვარგარეთ მიგრაციის უარყოფითი ეფექტის მნიშვნელობა შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომის მიწოდების მიმართ გამოვლენილ უპირატესობებზე. მაგალითად, მენდოლა და კარლეტო [Mendola & Carletto, 2009] „ალბანეთის ცხოვრების სტანდარტების განმსაზღვრელი კვლევიდან“ მიღებული მონაცემების გამოყენებით იკვლევენ მიგრაციის ზემოქმედებას შრომით ქცევაზე სქესის მიხედვით ალბანეთში მცხოვრებ ოჯახებში. ამუედო-დორანტეს და პოზოს კვლევის [Amuedo-Dorantes & Pozo, 2006] მსგავსად, კვლევა ითვალისწინებს მიგრაციის და ფულადი გზავნილების პოტენციური ენდოგენუ-

რობის შეფასებას ინსტრუმენტული ცვლადების გამოყენებით. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ წარსულში განხორციელებულ და დღევანდელ მიგრაციას განსხვავებული ეფექტი აქვს მამაკაცების და ქალების შრომის ბაზრის შედეგებზე და მიგრაციის ეფექტები აღემატება გზავნილების ეფექტს. კერძოდ, კვლევის თანახმად, დღევანდელი მიგრაცია ამცირებს ქალის ანაზღაურებადი შრომის მოცულობას და ზრდის არაანაზღაურებადი სამუშაოს მოცულობას, თუმცა, ქალის შემთხვევაში, რომელსაც წარსულში შეეხება ჰქონდა მიგრაციასთან, გაცილებით დიდია თვითდასაქმების ალბათობა და ნაკლებია არაანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების ალბათობა. ასევე, კვლევა აჩვენებს, რომ ეს ურთიერთობები განსხვავდება მამაკაცების შემთხვევაში.

ყირგიზეთში კარიმშაკოვა და სულაიმანოვა [Karymshakov & Sulaimanova, 2017] შეისწავლეს მიგრაციის გავლენა შინ დარჩენილი ქალების შრომის მოცულობასა და დროზე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ოჯახის წევრის მიგრაცია ზრდის შინ დარჩენილი ქალების არჩევანის ალბათობას ოჯახის არაანაზღაურებადი სამუშაოს, ასევე ამ საქმიანობისთვის გამოყოფილი საათების სასარგებლოდ. ასევე, მამაკაცების მიგრაციის უარყოფითი ეფექტი ქალების ანაზღაურებადი სამუშაოს მოცულობაზე დაფიქსირა ნეპალში [Lokshin & Glinskaya, 2009], ფილიპინებზე [Cabegin, 2006] და ეგვიპტეში [Binzel & Assaad, 2011].

გორლიჩის და სხვების კვლევაში [Görlich et al., 2007] ნაჩვენებია იმედის-მომცემი პერსპექტივა შემოსავლის და ჩანაცვლების ეფექტების როლის გაცნობიერებაში შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომის მოცულობაზე მიგრაციის და ფულადი გზავნილების ეფექტის დადგენისას. ეს სტატია სადავოს ხდის ზოგადად მიღებულ მოსაზრებას, რომ ემიგრანტების ოჯახებში შრომის ბაზარზე მონაწილეობის შედარებით დაბალი დონე გამოწვეულია მხოლოდ მეტი დასვენების მიღების სურვილით. კერძოდ, ოჯახის შრომის ბაზრის შედეგებზე გავლენის განხილვისას ავტორები განასხვავებენ შრომის ბაზარზე არააქტიურობის შემდეგ სამ მიზეზს: 1) სტიმულის არარსებობა ან შემოსავლის ეფექტი, როდესაც შინ დარჩენილი ოჯახის წევრები მეტ დროს უთმობენ დასვენებას ფულადი გზავნილების შედეგად გაზრდილი შემოსავლის გამო; 2) შრომის ჩანაცვლების ეფექტი - შრომის ბაზარზე მუშაობის ჩანაცვლება საშინაო საქმეებით; და 3) განათლების ეფექტი, რაც ხსნის არააქტიურობას უმაღლესი განათლების მიღების პროცესში ჩართვით. მოდლოვას ოჯახების კვლევის საფუძველზე, სტიმულის არარსებობა სუსტ გავლენას ახდენს. პირიქით, ავტორები ამტკიცებენ, რომ ემიგრანტების ოჯახის წევრების არააქტიურობა ძირითადად აიხსნება ოჯახის საქმეების ჩანაცვლებით საზღვარგარეთ ემიგრაციაში მყოფ პირსა და შინ დარჩენილ არააქტიურ წევრებს შორის, ასევე, დიდია უმაღლესი განათლების მიღების ალბათობა. უნდა აღინიშნოს, რომ პერსპექტივა, რომლითაც აიხსნება შინ დარჩენილი ოჯახის წევრების არააქტიურობა, კვლავ შედარებით შეუსწავლელია ეკონომიკურ ლიტერატურაში და წარმოადგენს წინამდებარე კვლევის განსაკუთრებული ინტერესის საგანს.

ზოგადად, ზემოთ აღწერილი კვლევების მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ მიგრაციას და ფულად გზავნილებს უარყოფითი ეფექტი აქვს შინ დარჩენილი ოჯახის წევრების მუშაობის მოცულობაზე, მაგრამ ამავდროულად ეს ეფექტი შესაძლოა განსხვავდებოდეს სქესის, სამუშაოს ტიპის და დასახლების ტიპის მიხედვით. ასევე, შემოსავლის ეფექტთან ერთად, ჩანაცვლების ეფექტი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შინ დარჩენილ ოჯახის წევრებს შორის შრომის გადანაწილების თვალსაზრისით ბევრ ქვეყანაში.

მიმდინარე კვლევის ფარგლებში განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოში მიგრაცია-შრომის ბაზარს შორის არსებული ურთიერთობების შემსწავლელი კვლევების მიმოხილვა. სხვა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს

შორის საქართველოში ადგილი ჰქონდა ფართომასშტაბიან ემიგრაციას დამოუკიდებლობის მოპოვების და ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. შრომის ბაზარზე შესაძლებლობების შემცირების და სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო ათასობით ადამიანი საზღვარგარეთ ემიგრაციაში წავიდა მაღალანაზღაურებადი სამუშაოს საძებნელად. საერთაშორისო მიგრაციის მანქვინებლების ზრდის პარალელურად მკვეთრად გაიზარდა საქართველოში ფულადი გზავნილების შემოდინება, რამაც გავლენა მოახდინა როგორც მაკროეკონომიკურ ვითარებაზე ქვეყანაში, ასევე ოჯახის სტრატეგიებზე მიკროდონეზე. დღემდე საქართველოში ჩატარებული კვლევები ფულადი გზავნილების შესახებ ძირითადად დაკავშირებული იყო მათ ეფექტზე გარე სავაჭრო ბალანსსა და მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე. თუმცა, ძალიან მწირია ისეთი კვლევების რაოდენობა, რომლებიც საქართველოში ოჯახის ქცევაზე მიგრაციის და ფულადი გზავნილების ეფექტს შეისწავლის [Danzer & Dietz, 2009; Gerber & Torosyan, 2013; OECD/CRRC-Georgia, 2017]. დანზერი და დიეცი [Danzer and Dietz, 2009] იკვლევენ დროებითი შრომითი მიგრაციის ფორმებს და გამომწვევ მიზეზებს სომხეთში, ბელორუსში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში 2004 წელს განხორციელებული ევროკავშირის გაფართოების შემდეგ. მათი კვლევის შედეგად დგინდება, რომ მიგრაციის სისწორე, დანიშნულების ადგილის არჩევანი და მიგრაციის გამომწვევი მიზეზები განსხვავებულია შედარებით ღარიბ და უკეთესი მატერიალური მდგომარეობის მქონე ქვეყნებს შორის. ავტორების თანახმად, მიგრაცია გამოიყენება როგორც ოჯახის დაზღვევა უმუშევრობისგან და დაკავშირებულია სიღარიბის შედარებით დაბალ მანქვინებელთან. გერბერმა და ტოროსიანმა [Gerber and Torosyan, 2013] გამოიყენეს მონაცემები კვლევიდან „Georgia on the Move“ და შეისწავლეს ფულადი გზავნილების ეფექტი ოჯახის ხარჯებზე, დანახოებზე, შრომის მოცულობაზე, ჯანდაცვასა და კეთილდღეობის სხვა მანქვინებლებზე. მათ მიერ დაადგინეს, რომ საქართველოში ფულადი გზავნილები აუმჯობესებს ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას და მისი გავლენა გაცილებით მაღალია ურბანულ დასახლებებში. ავტორების თანახმად, ფულადი გზავნილები განაპირობებს სოციალური კაპიტალის შექმნას. ბოლო დროს ჩატარებული კვლევა [OECD/CRRC-Georgia, 2017] მოიცავს მიგრაციას, განვითარების საკითხებს და საჯარო პოლიტიკის ურთიერთკავშირის სიდრმისეულ შესწავლას საქართველოში. აღნიშნული კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა მიგრაცია/ფულადი გზავნილების გავლენის კვლევას შრომის ბაზარზე საქართველოში. კერძოდ, კვლევის თანახმად, ფულადი გზავნილები მნიშვნელოვნად ამცირებს ოჯახის შრომის მოცულობას როგორც სოფლად, ასევე ქალაქში, ამასთან, დიდია იმ ქალების უმუშევრობის ალბათობა, რომლებიც ფულადი გზავნილების მიმღებ ოჯახებში ცხოვრობენ. კვლევის თანახმად, უმუშევრობის ალბათობა ასევე, მაღალია იმ მამაკაცების შემთხვევაში, რომლებიც ქალაქში ცხოვრობენ და ოჯახიდან მინიმუმ ერთი ემიგრანტი ჰყავთ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არც ერთ არსებულ კვლევაში არ არის განხილული ენდოგენურობის საკითხები ოჯახის გადაწყვეტილებებზე მიგრაციის/ფულადი გზავნილების ეფექტის შესწავლისას. ამგვარად, აღნიშნული კვლევების შედეგებზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ენდოგენურობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, ამიტომ, მიზეზობრივი კავშირი მიგრაციას და შრომის ბაზარს შორის საქართველოში კვლავ შეუსწავლელია. ამასთან, არსებობს არამიგრანტების შრომის ბაზარზე ქცევის სხვა გამომწვევი მიზეზები, რომლებიც შედარებით შეუსწავლელია საქართველოს კონტექსტში. კერძოდ, ემიგრანტების შინ დარჩენილი შინ დარჩენილი ოჯახის წევრების არააქტიურობის მიზეზები (არის იგი გამომწვეული სტიმულის არარსებობით (შემოსავლის ეფექტით), საო-

ჯახო საქმეების ჩანაცვლებით თუ განათლების ეფექტებით) საჭიროებს შემდგომ კვლევას.

ამ სტატიაში, ქართული ოჯახების კვლევის საფუძველზე ვცდილობთ შევაგოსთ კვლევის ამ სფეროში დარჩენილი პრობლემები, რისთვისაც შევისწავლით შემდეგ საკითხებს:

- მიგრაციის ეფექტი შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომის ბაზარზე მონაწილეობაზე/არააქტიურობის გადაწყვეტილებაზე, სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით;
- მიგრანტების გამგზავნ ოჯახებში შრომის ბაზარზე არააქტიურობის მიზეზები (კერძოდ, ვცდილობთ, დავადგინოთ, არააქტიურობა დამატებითი არაშრომითი შემოსავლით არის გამოწვეული, ჩანაცვლებით/საოჯახო საქმეებით თუ განათლების ეფექტით);

ამასთან, კვლევა ცდილობს, მეთოდურად გააუმჯობესოს საქართველოში ამ საკითხის არსებული კვლევა და ამისთვის ენდოგენურობის პრობლემა გაითვალისწინოს. ემპირიული სტრატეგია, რომელიც ზემოთ მოცემული მიზნების მიღწევისთვის გამოიყენება და რომელიც უფრო დეტალურად არის განხილული მომდევნო ნაწილში, ეყრდნობა ინსტრუმენტული ცვლადების მეთოდოლოგიას ენდოგენურობის საკითხის შესასწავლად.

წინა კვლევების თეორიულ და ემპირიულ შედეგებზე დაყრდნობით ვვარაუდობთ, რომ აღმოვაჩინებთ მიგრაციის უარყოფით და მნიშვნელოვან ეფექტს შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომის ბაზარზე მონაწილეობაზე. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ეფექტები განსხვავებული იქნება სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით. ასევე, ვფიქრობთ, არამიგრანტების შრომის ბაზარზე არააქტიურობის ძირითადი მიზეზი შრომის ჩანაცვლება და განათლების ეფექტი იქნება.

2. ემპირიული სტრატეგია

წინამდებარე ნაშრომში ვიკვლევთ შრომის ბაზარზე მიგრაციის გავლენის რამდენიმე ასპექტს. პირველი, ჩვენ ვიკვლევთ მიგრაციის ზოგად გავლენას შრომის მიწოდების შესახებ შინ დარჩენილი ნათესავების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით. მეორე, ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ შრომის ბაზარზე არააქტიურობის მიზეზები მიგრანტის გამგზავნი ოჯახის შინ დარჩენილ წევრებს შორის. აღნიშნული მიზნების მისაღწევად საჭიროა სხვადასხვა ეკონომეტრული სტრატეგიის გამოყენება. კერძოდ, პირველი საკითხის გადაჭრა შესაძლებელია პრობიტის რეგრესიის მოდელის გამოყენებით ინსტრუმენტულ ცვლადებთან ერთად (IV Probit), ხოლო იმისთვის, რომ პასუხები ბოლო საკითხზეც მივიღოთ, ვაპირებთ მრავალგანზომილიანი პრობიტის რეგრესიის გამოყენებას ინსტრუმენტულ ცვლადებთან ერთად. ქვემოთ ეს ორი ეკონომეტრული მიდგომა კიდევ უფრო დეტალურად არის აღწერილი.

2.1. IV პრობიტის მოდელი. პირველ ეტაპზე, შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომის შედეგებს ვიყენებთ როგორც ოჯახის მიგრაციის სტატუსის ფუნქციად, ასევე ვიყენებთ მთელ რიგ საკონტროლო ცვლადს შესაბამისი პერსონალური და ოჯახური მახასიათებლების ჩათვლით. რადგან შრომის მიწოდების შესახებ გადაწყვეტილებების და ოჯახის მიგრაციის სტატუსის განსაზღვრა ერთობლივად არის შესაძლებელი, ვიყენებთ პრობიტის მოდელს ინსტრუმენტულ ცვლადებთან ერთად. იმის გათვალისწინებით, რომ როგორც დამოკიდებული ცვლადი, ასევე ენდოგენური დამოუკიდებელი ცვლადი დისკრეტული ბუნებისაა, ვაფასებთ შემდეგი ფორმის ორგანზომილებიან პრობიტის მოდელს:

$$\begin{cases} y_{1i} = 1 \text{ if } y_{1i}^* = \pi y_{2i}^* + \beta_1' x_{1i} + \varepsilon_{1i} > 0; \text{ and } y_{1i} = 0 \text{ otherwise;} \\ y_{2i} = 1 \text{ if } y_{2i}^* = \gamma_1' x_{1i} + \gamma_2' x_{2i} + \varepsilon_{2i} > 0; \text{ and } y_{2i} = 0 \text{ otherwise;} \end{cases} \quad (1)$$

სადაც y_{1i}^* არის შრომის მიწოდების ლატენტური ცვლადი, ხოლო y_{1i} - მანვენებლის ცვლადი, რომელიც უდრის ერთს იმ შემთხვევაში, თუ არამიგრანტი ოჯახის წევრი არააქტიურია შრომის ბაზარზე, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ნულის ტოლია. ასევე, y_{2i} წარმოადგენს ფიქტიურ ცვლადს, რომელიც უდრის ერთს იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტი ცხოვრობს ოჯახში, სადაც მინიმუმ ერთი მიგრანტია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ნულის ტოლია. y_{2i}^* არის მასთან დაკავშირებული ლატენტური ცვლადი. ჩვენ განვსაზღვრავთ y_{2i} -ს როგორც „მიგრანტის“ ცვლადი. π ; და β_1' ; γ_1' ; γ_2' წარმოადგენენ შესაფასებელი პარამეტრების კოეფიციენტს და ვექტორებს, ხოლო ε_{1i} და ε_{2i} არის ცდომილების მანვენებლები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს ერთობლივი ნორმალური განაწილების მოთხოვნებს ნულოვანი საშუალო მნიშვნელობით და 1-ის ტოლი დისპერსიის სიდიდით. კიდევ ერთი ვარაუდი ცდომილების მანვენებლებთან დაკავშირებით მდგომარეობს იმაში, რომ ε_{1i} და ε_{2i} დაკავშირებულია კორელაციის კოეფიციენტით ρ . ვექტორი x_{1i} მოიცავს დამოუკიდებელ ცვლადებს, რომელიც გავლენას ახდენს პიროვნების არჩევანზე, მონაწილეობა მიიღოს შრომის ბაზარზე. x_{2i} არის ინსტრუმენტული ცვლადების ვექტორი, რომელიც გავლენას ახდენს მხოლოდ y_{2i}^* -ზე, მაგრამ გამორიცხულია პირველი განტოლებიდან, რადგან ამ ვექტორში არსებული ცვლადები y_{1i}^* -ზე პირდაპირ გავლენას არ მოახდენს. სისტემის (1)-ის პირველი განტოლება - სტრუქტურული განტოლებაა და ინტერესის ძირითად საგანს წარმოადგენს, რადგან განსაზღვრავს სტრუქტურულ ურთიერთობას შრომის ბაზრის შედეგებს და მიგრაციას შორის. მეორე განტოლება (განტოლების შემცირებული ფორმა) ასრულებს დამხმარე ფუნქციას, განმარტავს ვარიაციას ენდოგენური „მიგრაციის“ ცვლადში მკაცრად ეგზოგენური ცვლადების x_{1i} და x_{2i} გამოყენებით. x_{1i} და x_{2i} ვექტორებში მოცემული განმარტებითი ცვლადები უფრო დეტალურად არის აღწერილი ქვემოთ.

საკონტროლო ცვლადების x_{1i} ვექტორი:

- **სქესი** - არის ფიქტიური ცვლადი, რომელიც განსაზღვრავს რესპონდენტის სქესს;
- **ასაკი** - აღნიშნავს რესპონდენტის ასაკს;
- **ასაკი კვადრატში** რესპონდენტის ასაკი კვადრატში;
- **ოჯახური მდგომარეობა** - არის ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის ერთს, თუ რესპონდენტი დაოჯახებულია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ნულის ტოლია;
- **ოჯახის უფროსი** - არის ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის ერთს, თუ რესპონდენტი ოჯახის უფროსია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ნულის ტოლია;
- **ქრონიკული დაავადება** - არის ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის ერთს, თუ რესპონდენტს მინიმუმ ერთი ქრონიკული დაავადება აღენიშნება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ნულის ტოლია;
- **განათლება** - ასახავს რესპონდენტის მიერ მიღწეული განათლების დონეს და წარმოდგენილია მთელი რიგი ფიქტიური ცვლადებით: უმაღლესი განათლება, პროფესიული განათლება; საშუალო განათლება; არასრული საშუალო განათლება;

- **დასახლების ტიპი** – ეს არის დისკრეტული ცვლადი, რომელიც უდრის ერთს, თუ რესპონდენტი ქალაქში ცხოვრობს და უდრის ორს, თუ რესპონდენტი სოფლად ცხოვრობს;
- **არაშრომითი შემოსავლის კოეფიციენტი** – გამოითვლება როგორც ოჯახის არაშრომითი შემოსავლის ბუნებრივი ლოგარითმი;
- **განათლების მაქსიმალური დონე** – კატეგორიული ცვლადი, რომელიც ასახავს ოჯახის წევრების მიერ მიღწეული განათლების მაქსიმალურ დონეს;
- **სიმდიდრე** – ასახავს ოჯახების ზოგად კეთილდღეობას და გამოითვლება როგორც ოჯახის განკარგულებაში არსებული აქტივების და ქონების ფაქტორთა მნიშვნელობა;
- **დამოკიდებულ პირთა წილი** – გამოითვლება როგორც ბავშვების და პენსიონერების თანაფარდობა ოჯახის მთლიან ზომასთან; ინსტრუმენტული ცვლადი მაჩვენებლების ვექტორია X_{2i} ;
- **მიგრაციის ქსელი (MN)** – გამოითვლება საქართველოს თითოეული რეგიონისთვის, როგორც იმ ოჯახების წილი რეგიონის ოჯახების მთლიან რაოდენობასთან მიმართებით, რომლის მინიმუმ ერთი წევრი მაინც იმყოფება საერთაშორისო ემიგრაციაში;
- **მიგრაციის ქსელის ურთიერთქმედება ზრდასრული მამაკაცების წილზე (MNSA)** – ასახავს მიგრაციის ქსელის ცვლადი მაჩვენებლის ურთიერთქმედებას ოჯახში მცხოვრები ზრდასრული მამაკაცების წილზე;
- **მიგრაციის ქსელის ურთიერთქმედება უმაღლესი განათლების მქონე ოჯახის წევრების წილთან (MNHE)** – ასახავს მიგრაციის ქსელის ცვლადის ურთიერთქმედებას ოჯახში უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობასთან.

მიგრაციის ცვლადის განსაზღვრის ინსტრუმენტად მიგრაციის ქსელის გამოყენების მართებულობა დაადასტურა ბოლო დროს ჩატარებულმა არაერთმა კვლევამ [Amuedo-Dorantes & Pozo, 2006; Görlich et al., 2007]. აღნიშნულ მოსაზრებას განამტკიცებს ის ფაქტი, რომ მიგრაციის ქსელები წარმოადგენს მნიშვნელოვან ხელშემწეობს მექანიზმს, რომელიც ეხმარება პირს საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასვლაში, შესაბამისად, იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას მიგრაციის არჩევანისთვის. ამავე დროს, აღნიშნულ ცვლადს გააჩნია მცირე პირდაპირი ეფექტი შინ დარჩენილი ოჯახის წევრების გადაწყვეტილებებზე, მონაწილეობა მიიღონ შრომის ბაზარზე. MN ცვლადთან დაკავშირებული მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მას გააჩნია მცირე დისპერსია ინდივიდუალური ოჯახის დონეზე. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით ვახდენთ MN ცვლადის ურთიერთქმედებას ოჯახში მცხოვრები ზრდასრული მამაკაცების წილთან და ოჯახში უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობასთან.

ორგანტოლებიან სისტემა (1)-ს ვაფასებთ ერთდროულად მაქსიმალური ალბათობის შეფასების ალგორითმის გამოყენებით.

2.2. მრავალგანზომილიანი პრობიტის მოდელი. ჩვენი შემდეგი მიზანია შინ დარჩენილი ოჯახის წევრების არააქტიურობაზე მიგრაციის გავლენის შეფასება. ამ ამოცანას ორი თანმიმდევრული ნაბიჯით ვასრულებთ. პირველი, ვაფასებთ ოჯახში მიგრანტის ყოლის ალბათობას პრობიტის რეგრესიის მოდელის გამოყენებით, რომელიც იგივეა, რაც განტოლებების სისტემა (1)-ის მეორე რეგრესია. ამ მოდელში საკონტროლო ცვლადების ვექტორი X_{1i} იგივეა, რაც განტოლების სისტემაში (1), ხოლო ინსტრუმენტული ცვლადების X_{2i} ვექტორი შეცვლილია და მოიცავს შემდეგ მახასიათებლებს:

- **მიგრაციის ქსელი (MN)** – გამოითვლება საქართველოს თითოეული რეგიონისთვის, როგორც იმ ოჯახების წილი რეგიონის ოჯახების მთლიან რაოდენობასთან მიმართებით, რომლის მინიმუმ ერთი წევრი მაინც იმყოფება საერთაშორისო ემიგრაციაში;
- **მიგრაციის ქსელის ურთიერთქმედება ზრდასრული მამაკაცების წილზე (MNSA)** – ასახავს მიგრაციის ქსელის ცვლადი მანველებლის ურთიერთ-ქმედებას ოჯახში მცხოვრები ზრდასრული მამაკაცების წილზე;
- **დაბრუნებული მიგრანტი** – ეს არის ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის ერთს, თუ ოჯახში მინიმუმ ერთი დაბრუნებული მიგრანტია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ნულის ტოლია;
- **პლუს - მამაკაცი** – ეს არის ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის ერთს, თუ ოჯახში ერთზე მეტი ზრდასრული მამაკაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ნულის ტოლია.

ამ განტოლების შეფასების შემდეგ განვსაზღვრავთ დამოკიდებულ ცვლადს და „მიგრანტის“ ცვლადის პროგნოზირებულ მანველებელს ვიყენებთ დამოუკიდებელი ფაქტორის სახით შემდეგი ნაბიჯის დროს.

მეორე ეტაპზე, მრავალ არჩევანთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარების მიზნით ვიყენებთ მრავალგანზომილებიანი პრობიტის მოდელს გამოთვლის ალგორითმის სახით. ზოგადად, აღნიშნული მოდელი შესაძლოა შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს [Green, 2003]:

$$U_j = x_j' \beta_j + \varepsilon_j, j = 1, \dots, J, [\varepsilon_1, \varepsilon_2, \dots, \varepsilon_j] \sim N[0, \Sigma] \quad (2)$$

სადაც J არის ალტერნატივის რიცხვი, ხოლო ε_j - ალტერნატივა J -ს ცდომილების ნიშნული. რომელიმე კონკრეტული ალტერნატიული m -ის არჩევანის ალბათობა შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სახით:

$$Prob[choice m] = Prob \left[\varepsilon_1 - \varepsilon_m > (x_m - x_1)' \beta, \dots, \varepsilon_j - \varepsilon_m > (x_m - x_j)' \beta \right] \quad (3)$$

ამ კვლევაში განვსახვავებთ შრომის ბაზარზე არააქტიურობის სამ ალტერნატიულ მიზეზს:

- **არააქტიურობა სტიმულის არარსებობის გამო** - არააქტიურობა სტიმულის არარსებობის გამო, რომელიც გამოწვეულია საზღვარგარეთ წასული მიგრანტისგან მიღებული დამატებითი შემოსავლით;
- **არააქტიურობა - ჩანაცვლება** - არააქტიურობა ჩანაცვლების გამო, როდესაც შინ დარჩენილი ოჯახის წევრი შრომის ბაზარზე მონაწილეობას ანაცვლებს საოჯახო საქმეებით;
- **არააქტიურობა - განათლება** - არააქტიურობა განათლების მიღების გამო, როდესაც შინ დარჩენილი ოჯახის ახალგაზრდა წევრი შრომის ბაზარზე მონაწილეობას უმადლესი განათლების დაწესებულებაში სწავლას ამჯობინებს.

ამ ცვლადების ოპერაციონალიზაციისათვის ვიყენებთ საქართველოს შინამეურნეობების გამოკითხვის კითხვარის შესაბამის კითხვას რომელიც ეხება შრომის ბაზარზე არააქტიურობის მიზეზებს.

არააქტიურობის სამი რეჟიმის გათვალისწინებით ვიყენებთ შემდეგი სამი განტოლების სისტემას:

$$\begin{cases} Y_i^{substitution} = \mu_1 M_i^{pr} + \beta'_1 x_{1i} + \varepsilon_{1i} \\ Y_i^{education} = \mu_2 M_i^{pr} + \beta'_2 x_{1i} + \varepsilon_{2i} \\ Y_i^{disincentive} = \mu_3 M_i^{pr} + \beta'_3 x_{1i} + \varepsilon_{3i} \end{cases} \quad (4)$$

სადაც, $\varepsilon \sim N(0, \Sigma)$

Y_i^k წარმოადგენს არააქტიურობის ზემოთ აღწერილ ალტერნატიულ მიზეზს; M_i^{pr} არის „მიგრანტის“ ცვლადის პროგნოზირებული მნიშვნელობა, რომელიც მიღებულია შემცირებული განტოლებიდან; x_{1i} - საკონტროლო ცვლადების ვექტორი, რომელიც იგივეა, რაც სისტემაში (1); μ_1, μ_2, μ_3 არის პარამეტრები და $\beta'_1; \beta'_2; \beta'_3$ პარამეტრების ვექტორები, რომლებიც უნდა გამოითვალოს; $\varepsilon_{1i}; \varepsilon_{2i}; \varepsilon_{3i}$ -ცდომილების მახვენებლები. **არააქტიურობას სტიმულის არარსებობის გამო** ძირითად კატეგორიად მივიჩნევთ. მოდელი გამოითვლება ერთდროულად, რომლის სიმულაცია მაქსიმალური ალბათობის შეფასების მეთოდიკით ხორციელდება.

3. შერჩევის და მონაცემების აღწერა

კვლევის მონაცემების მთავარ წყაროს წარმოადგენს ეროვნულ დონეზე წარმომადგენლობითი, შინამეურნეობების ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც 2,784 ოჯახს მოიცავს და რომელიც საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა¹⁶ 2012 წლის მეოთხე კვარტალში ჩაატარა საქართველოს ყველა რეგიონში, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რეგიონების გარდა. რადგან ჩვენი კვლევა მოიცავს ინდივიდუალურ პასუხებს, ყურადღებას გავამახვილებთ ინდივიდუალური მონაცემების აღწერაზე. მთლიანი შერჩევა მოიცავს 10,084 პირს, რომელთაგან 6,310 ადამიანი არის შრომის ასაკის მქონე - 15-65 წლის. პირველ ცხრილში მოცემულია აღწერილობითი სტატისტიკა ანალიზის დროს გამოყენებული ძირითადი ცვლადი მახვენებლების შესახებ.

ცხრილი 1

შერჩევის მონაცემები (საშუალო მახვენებლები და სტანდარტული გადახრა)

| ცვლადი მახვენებლები | საშუალო მახვენებელი | სტანდარტული გადახრა |
|---------------------------------|---------------------|---------------------|
| მიგრანტები | 0.0440 | 0.2052 |
| მამაკაცი (ფიქტიური) | 0.4755 | 0.4994 |
| ასაკი | 39.3 | 14.3 |
| დაოჯახებული (ფიქტიური) | 0.6483 | 0.4775 |
| ოჯახის უფროსი (ფიქტიური) | 0.2554 | 0.4361 |
| ქრონიკული დაავადება (ფიქტიური) | 0.1391 | 0.3461 |
| უმაღლესი განათლება (ფიქტიური) | 0.2489 | 0.4324 |
| პროფესიული განათლება (ფიქტიური) | 0.2237 | 0.4168 |
| საშუალო განათლება (ფიქტიური) | 0.4153 | 0.4928 |
| ქალაქი | 0.3792 | .4852 |
| არა-შრომითი შემოსავალი | 460.40 | 531.11 |
| დამოკიდებულ პირთა წილი | 0.2918 | 0.2266 |

¹⁶ <http://www.geostat.ge/index.php?action=0&lang=eng>

| | | |
|--|--------|--------|
| არააქტიური შრომის ბაზარზე | 0.2581 | 0.4376 |
| არააქტიური განათლების მიღების გამო | 0.0773 | 0.2671 |
| არააქტიური საოჯახო საქმეების შესრულების გამო | 0.1045 | 0.3060 |
| დასაქმებული | 0.6358 | 0.4812 |
| დაქირავებული დასაქმებული | 0.2351 | 0.4241 |
| თვითდასაქმებული | 0.3980 | 0.4895 |
| დაუსაქმებელი | 0.1060 | 0.3078 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, ოჯახების 4%-ზე ოდნავ მეტს მინიმუმ ერთი საერთაშორისო მიგრანტი ჰყავს. საშუალო არაშრომითი შემოსავალი თვეში დაახლოებით 460 ლარია. რესპონდენტების გაცილებით დიდი რაოდენობა ცხოვრობს სოფლად (62%). შერჩევის 25%-ზე მეტი არააქტიურია შრომის ბაზარზე, მათ შორის რვა პროცენტი, რომელიც არააქტიურია უმადლესი განათლების მიღების გამო, ათ პროცენტზე მეტი კი მონაწილეობას იღებს საოჯახო საქმეებში. შერჩევის თითქმის 64% დასაქმებულია, მათგან 23.5% დაქირავებული დასაქმებულია, ხოლო დაახლოებით 40% - თვითდასაქმებული. შერჩევის დემოგრაფიული მახასიათებლები შემდეგი სახისაა: შერჩევის 47,55% მამაკაცია, რესპონდენტის საშუალო ასაკი 39.4 წელია. ზოგადად 64%-ზე მეტი დაოჯახებულია, 25,5% არის ოჯახის უფროსი, ხოლო ნიმუშის დაახლოებით თოთხმეტ პროცენტს აღენიშნება მინიმუმ ერთი ქრონიკული დაავადება. მიღებული განათლების დონის მიხედვით, თითქმის 25% უმადლესი განათლება აქვს, 22%-ს პროფესიული განათლება, 41%-ს საშუალო განათლება და დანარჩენებს კი არასრული საშუალო განათლება.

4. კვლევის შედეგები

ამ ნაწილში მოცემულია შეფასების შედეგები იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს მიგრაცია შრომის ბაზარზე შინ დარჩენილი ოჯახის წევრების ქცევაზე. სექციაში 4.1, განვიხილავთ მიგრაციის ეფექტს შინ დარჩენილი ოჯახის წევრების ზოგად გადაწყვეტილებაზე, მონაწილეობა მიიღონ შრომის ბაზარზე. ვიკვლევთ ამ ეფექტის ცვალებადობას სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით. შემდეგ სექციაში ვცდილობთ, გავარკვიოთ შრომის ბაზარზე არააქტიურობის მიზეზები - შინ დარჩენილი ოჯახის წევრების არააქტიურობა შემოსავლის ეფექტით არის გამოწვეული, ჩანაცვლების თუ განათლების ეფექტით.

4.1. მიგრაციის ეფექტი შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომის ბაზარზე მონაწილეობაზე. პირველ რიგში განვსაზღვრავთ, გააჩნია თუ არა მნიშვნელოვანი გავლენა ოჯახში მიგრანტი წევრის ყოლას (წარმოდგენილია ცვლადით „მიგრანტი“) შინ დარჩენილი წევრების შრომის ბაზარზე მონაწილეობაზე. IV პრობიტი მოდელის შედეგები მამაკაცების და ქალებისთვის მოცემულია მე-2 ცხრილში¹⁷. ცვლადის „მიგრანტის“ ზღვრული ეფექტები, სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით, მოცემულია მე-3 ცხრილში. შედარების მიზნით მე-3 ცხრილში ასევე ვაჩვენებთ ორივე ინსტრუმენტული ცვლადების პრობიტის (IV Probit) და ჩვეულებრივი პრობიტის რეგრესიის მოდელების შეფასებებს.

პირველ რიგში, განვიხილავთ შეფასების მოდელების მართებულობას და მიზანშეწონილობას. „მიგრანტის“ ცვლადის ეგზოგენურობის Wald ტესტი აჩვენებს, რომ ერთი მოდელის გამოკლებით (განტოლება: მამაკაცი-სოფელი) ხი-კვადრატის

¹⁷ ამ ცხრილში მოცემულია რეგრესიის კოეფიციენტები და არა ზღვრული ეფექტები.

p-კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ყველა რეგრესიის შემთხვევაში (იხ. ცხრილი 2 და 3). ეს ტესტები აჩვენებს, რომ თითქმის ყველა განტოლებაში ცვლადი „მიგრანტი“ ენდოგენურია და შესაბამისად, IV პრობიტის რეგრესია უკეთესი ტექნიკაა თანმიმდევრული მახვენებლების მოსაპოვებლად. შეზღუდვების განმსაზღვრელი ტესტი (Amemiya–Lee–Newey Minimum ტესტი) გვიჩვენებს, რომ მოდელში გამოყენებული ინსტრუმენტები (მიგრანტების ქსელის ურთიერთქმედება ზრდასრული მამაკაცების წილთან და უმაღლესი განათლების მქონე ოჯახის წევრების წილთან) საფუძვლიანია, ე.ი. არ უკავშირდება ცდომილების მახვენებელს სტრუქტურულ განტოლებაში. ამგვარად, IV პრობიტის მოდელი წარმოადგენს შეფასების მართებულ მეთოდიკას და შერჩეული ინსტრუმენტები გამართლებულია, ხოლო მიგრაციის ცვლადის ენდოგენურობის გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა მიკერძოებული და არათანმიმდევრული შეფასების შედეგები მოგვცეს. ამასთან, ამ ორი მიდგომის მახვენებლების შედარება გვიჩვენებს (იხ. ცხრილი 3), რომ პრობიტის მოდელში, რომლებიც არ ითვალისწინებს ენდოგენურობის პრობლემას, მიგრაციის ეფექტები უმნიშვნელოა, ან უმეტეს შემთხვევაში არასწორი ნიშნები აქვს, ხოლო IV პრობიტის განტოლებები უზრუნველყოფს მიგრაციის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ეფექტების დადგენას შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომითი საქმიანობის გადაწყვეტილებებზე. ამ თავში შემდგომი მსჯელობა დაეთმობა მხოლოდ IV პრობიტის რეგრესიის მოდელებიდან მიღებულ შედეგებს.

ცხრილი 2

არააქტიურობის IV პრობიტი მოდელი სქესის მიხედვით

| ცვლადები | ქალი | | მამაკაცი | |
|--|-------------|--|-------------|--|
| | კოეფიციენტი | რობასტული სტანდარტული გადახრა (Robust S.E) | კოეფიციენტი | რობასტული სტანდარტული გადახრა (Robust S.E) |
| სტრუქტურული განტოლება | | | | |
| დამოკიდებული ცვლადი: არააქტიურობა შრომის ბაზრებზე | | | | |
| მიგრანტი | 0.3145*** | 0.081 | -0.437*** | 0.075 |
| ასაკი | -0.136*** | 0.033 | -0.109*** | 0.039 |
| ასაკი კვადრტში | 0.140*** | 0.034 | 0.138*** | 0.050 |
| დაოჯახებული (ფიქტიური) | 0.187** | 0.081 | -0.183 | 0.146 |
| ოჯახის უფროსი (ფიქტიური) | 0.121 | 0.081 | -0.193** | 0.091 |
| ქრონიკული დაავადება (ფიქტიური) | 0.141* | 0.072 | 0.262* | 0.154 |
| უმაღლესი განათლება (ფიქტიური) | -0.668*** | 0.194 | -0.752** | 0.307 |
| პროფესიული განათლება (ფიქტიური) | -0.517*** | 0.135 | -0.604** | 0.271 |
| საშუალო განათლება (ფიქტიური) | -0.425*** | 0.101 | -0.388* | 0.208 |

| | | | | |
|--|-----------|--------|-----------|--------|
| დასახლების ტიპი (1 - ქალაქი; 2 სოფელი) | -0.411*** | 0.110 | -0.293** | 0.135 |
| არაშრომითი შემოსავლის კოეფიციენტი | -0.051** | 0.020 | 0.091*** | 0.015 |
| მიღებული განათლების მაქსიმალური დონე | 0.041** | 0.020 | 0.048** | 0.022 |
| სიმდიდრე (ფაქტორის კოეფიციენტი) | -0.00261 | 0.002 | -0.003 | 0.002 |
| დამოკიდებულ პირთა წილი | 0.485*** | 0.092 | -0.192 | 0.122 |
| მუდმივა | 3.327*** | 0.721 | 1.759** | 0.736 |
| შემცირებული განტოლება | | | | |
| დამოკიდებული ცვლადი: მიგრანტი | | | | |
| მიგრანტთა ქსელი | 0.348** | 0.165 | 0.1758 | 0.1435 |
| მიგრანტების ქსელების ურთიერთქმედება ოჯახში ზრდასრული მამაკაცების წილთან | 0.485** | 0.228 | -0.3599* | 0.2160 |
| მიგრანტების ქსელების ურთიერთქმედება ოჯახში უმაღლესი განათლების მქონე ზრდასრულების წილთან | -0.539** | 0.215 | -0.4999** | 0.2225 |
| ასაკი | -0.0007 | 0.002 | -0.0034 | 0.0018 |
| კვადრატული ასაკი | 0.0006 | 0.002 | 0.0041 | 0.0022 |
| დაოჯახებული (ფიქტიური) | 0.0068 | 0.009 | 0.0129 | 0.0095 |
| ოჯახის უფროსი (ფიქტიური) | -0.0013 | 0.012 | -0.0060 | 0.0088 |
| ქრონიკული დაავადება (ფიქტიური) | 0.0032 | 0.0107 | -0.0061 | 0.0111 |
| უმაღლესი განათლება (ფიქტიური) | 0.0014 | 0.018 | -0.0002 | 0.0177 |
| პროფესიული განათლება (ფიქტიური) | 0.0065 | 0.015 | -0.0077 | 0.0152 |
| საშუალო განათლება (ფიქტიური) | 0.0184 | 0.013 | 0.0078 | 0.0122 |
| დასახლების ტიპი (1 - ქალაქი; 2 სოფელი) | -0.0052 | 0.008 | -0.0047 | 0.0079 |
| არაშრომითი შემოსავლის კოეფიციენტი | 0.0166*** | 0.002 | 0.0129*** | 0.0020 |

| | | | | |
|--|---|---------|---|--------|
| მიღებული განათლების მაქსიმალური დონე | 0.0052* | 0.002 | 0.0049* | 0.0029 |
| სიმდიდრე (ფაქტორის კოეფიციენტი) | -0.00002 | 0.00029 | -4,17E-06 | 0.0002 |
| დამოკიდებულ პირთა წილი | -0.039*** | 0.0157 | -0.0764** | 0.0210 |
| მუდმივა | -0.092** | 0.046 | 0.0204 | 0.0409 |
| | | | | |
| დაკვირვებების რაოდენობა | 3,309 | | 3,001 | |
| Wald chi2(30) | 1156.44 | | 849.71 | |
| Prob > chi2 | 0.0000 | | 0.0000 | |
| ფსევდოალბათობის კოეფიციენტი | -1234.5743 | | -238.25138 | |
| /athrho | -0.878*** | 0.315 | 1.254** | 0.506 |
| /Insigma | -1.556*** | 0.036 | -1.638*** | 0.0421 |
| ენდოგენურობის Wald ტესტი (/athrho=0) | chi2(1) = 7.75; Prob > chi2 = 0.0054 | | chi2(1) = 6.14; Prob > chi2 = 0.0132 | |
| განმსჯელურელი შეზღუდვების ტესტი: Amemiya-Lee-Newey minimum chi-sq statistic | Chi-sq(2) = 0.598; P-value = 0.7415 | | Chi-sq(2) = 0.533; P-value = 0.7661 | |
| შენიშვნები: *** — კოეფიციენტი მნიშვნელოვანი $p < 0.01$ დონეზე; ** — კოეფიციენტი მნიშვნელოვანი $p < 0.05$ დონეზე; * — კოეფიციენტი მნიშვნელოვანი $p < 0.1$ დონეზე | | | | |

ცხრილი 3

მიგრაციის ზღვრული ეფექტი შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომის ბაზარზე მონაწილეობაზე სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით

| შეფასების მეთოდი/მიგრანტის სტატუსი | ქალი | მამაკაცი | ქალი | | მამაკაცი | | |
|---|--------------------|-----------|-----------|----------|-----------|----------|---------|
| | | | ქალაქი | სოფელი | ქალაქი | სოფელი | |
| IV პრობიტი (ორგანზომილებიანი პრობიტი) | | | | | | | |
| მიგრანტი | m.e | 0.0952*** | -0.133*** | 0.169*** | 0.0974*** | -0.153** | -0.083 |
| | Wald ტესტი chi.sq. | 7.75*** | 6.14** | 13.67*** | 6.33** | 3.74* | 1.83 |
| პრობიტის მოდელი | | | | | | | |
| მიგრანტი | m.e | -0.0752** | -0.005 | -0.050 | -0.088** | 0.0388 | -0.0268 |
| შენიშვნები: m.e.- საშუალო ზღვრული ეფექტი *** — კოეფიციენტი მნიშვნელოვანი $p < 0.01$ დონეზე; ** — კოეფიციენტი მნიშვნელოვანი $p < 0.05$ დონეზე; * — კოეფიციენტი მნიშვნელოვანი $p < 0.1$ დონეზე | | | | | | | |

მე მე-2 და მე-3 ცხრილებში მოცემული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო მიგრაცია არა-მიგრანტების შრომის ბაზარზე მონაწილეობის გადაწყვეტილების მნიშვნელოვანი განმსჯელურელია. სოფლად მამაკაცების შრომითი საქმიანობის გამოკლებით, ცვლადს „მიგრანტი“ გააჩნია სტატისტიკურად

მნიშვნელოვანი გავლენა ($p < 0.05$ დონე) შინ დარჩენილი ოჯახის წევრების მიერ შრომის ბაზარზე მონაწილეობაზე უარის თქმაზე. მაგალითად, ქალების შემთხვევაში ისეთ ოჯახში ცხოვრება, რომელსაც მიგრანტი ჰყავს, შრომის ბაზარზე არააქტიურობის ალბათობა 9.5%-ით იზრდება. ეს ეფექტი გაცილებით მაღალია ქალაქად მცხოვრები ქალების შემთხვევაში (17.0 პროცენტზე მეტით ზრდა), ვიდრე სოფლად მცხოვრები ქალების შემთხვევაში (9.7 % ზრდა). თუმცა, ვხედავთ, რომ ზემოქმედების მიმართულება განსხვავდება სქესის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ ქალების არააქტიურობაზე მიგრაციის ეფექტის ნიშნული დადებითია, რაც მოსალოდნელი იყო, მამაკაცების არააქტიურობაზე უარყოფითად მოქმედებს ცვლადი „მიგრანტი“. მაგალითად, ოჯახში მიგრანტის ყოლა ამცირებს მამაკაცის შრომით ბაზარზე არააქტიურობის ალბათობას 13.0%-ზე მეტით მთელი შერჩევის ფარგლებში და 15.0%-ზე მეტით ქალაქად (სოფლად ამ ფაქტორის ეფექტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის). ეკონომიკური ლიტერატურის თანახმად, ეს შედეგი შესაძლებელია თუ ემიგრანტი და ოჯახის არა-ემიგრანტი წევრი ოჯახში ასრულებდნენ კომპლემენტარულ ფუნქციებს [Rodriguez & Tiongson, 2001].

მე-2 ცხრილის მიხედვით, საკონტროლო ცვლადების ეფექტები მამაკაცების და ქალების არააქტიურობის გადაწყვეტილებაზე უმეტეს შემთხვევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და ფიქსირდება მოსალოდნელი ნიშნები. მაგალითად, ასაკი ამცირებს არააქტიურობის ალბათობას როგორც მამაკაცების, ასევე ქალების შემთხვევაში. ოფიციალურ ქორწინებაში ყოფნა ზრდის შრომის ბაზარზე არამონაწილეობის ალბათობას ქალებისთვის, ხოლო მამაკაცებისთვის ეს ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის. პირიქით, ოჯახის უფროსობა ამცირებს მამაკაცების არააქტიურობის ალბათობას, თუმცა, არ მოქმედებს ქალის გადაწყვეტილებაზე შრომის ბაზარზე მონაწილეობის შესახებ. ქრონიკული დაავადება ამცირებს შრომითი აქტივობის ალბათობას როგორც ქალების, ასევე მამაკაცების შემთხვევაში, თუმცა, მხოლოდ 10% მნიშვნელობის დონეზე. კვლევა აჩვენებს განათლების მოსალოდნელ და მნიშვნელოვან ეფექტს. რაც უფრო მაღალია განათლების დონე, მით უფრო დაბალია შრომის ბაზარზე არააქტიურობის ალბათობა როგორც მამაკაცების, ასევე ქალების შემთხვევაში. განათლების ეფექტი განათლების მაღალ დონეზე კიდევ უფრო ძლიერდება. როგორც ქალები, ასევე მამაკაცები ნაკლებად არიან არააქტიურები სოფლად, ვიდრე ურბანული ტიპის დასახლებაში. არაშრომითი შემოსავლის ზემოქმედება გამოირჩევა მოსალოდნელი ნიშნებით მამაკაცების შემთხვევაში, ხოლო ქალების განტოლების თანახმად, იგი მოულოდნელად ასტიმულირებს შრომის ბაზარზე მონაწილეობას. დამოკიდებულ პირთა წილის ზრდა (შვილები და პენსიონერები) ამცირებს ქალების შრომით ბაზარზე მონაწილეობის ალბათობას, თუმცა გავლენას არ ახდენს მამაკაცების გადაწყვეტილებაზე. ჩვენი მოლოდინის საპირისპიროდ, ვერ ვხედავთ ოჯახის სიმდიდრის მჩვენებლის მნიშვნელოვან გავლენას მამაკაცის და ქალის გადაწყვეტილებაზე შრომის ბაზარზე მონაწილეობის შესახებ.

4.2. შინ დარჩენილი ოჯახის წევრების არააქტიურობის მიზეზების განმარტება. ამ თავში განვიხილავთ მიგრანტების გამგზავნი ოჯახის წევრების არააქტიურობის ალტერნატიულ განმარტებას. კერძოდ, შესწავლილია სამი ეფექტი: სტიმულის არარსებობა, რაც გამოწვეულია ფულადი გზავნილების სახით მიღებული დამატებითი არაშრომითი შემოსავლით; ჩანაცვლება, რაც შრომის ბაზარზე მონაწილეობის ნაცვლად საოჯახო საქმეების შესრულებას გულისხმობს და განათლების მიღება, რა შემთხვევაშიც შრომის ბაზარზე არააქტიურობა უმაღლესი განათლების მიღების პროცესით აიხსნება. მრავალგანზომილებიანი პრობიტი მოდელის შეფასების შედეგები მოცემულია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4

მრავალგანზომილური პრობიტი მოდელი არააქტიურობის მიზეზების შესახებ

| ცვლადები | განათლების ეფექტი | | ჩანაცვლების ეფექტი | |
|--|-------------------|--------------------------------------|--------------------|--------------------------------------|
| | კოეფიციენტი | ბუტსტრა-პირებული სტანდარტული გადახრა | კოეფიციენტი | ბუტსტრა-პირებული სტანდარტული გადახრა |
| „მიგრანტის“ პროგნოზირებული მანქანებელი | 0.6032** | 0.254 | 1.207*** | 0.228 |
| მამაკაცი (ფიქტიური) | -0.682*** | 0.185 | -4.276*** | 0.529 |
| ასაკი | -0.415*** | 0.063 | 0.211*** | 0.041 |
| კვადრატული ასაკი | 0.333*** | 0.078 | -0.336*** | 0.052 |
| დაოჯახებული (ფიქტიური) | -0.537** | 0.249 | 1.464*** | 0.176 |
| ლუჯახის უფროსი (ფიქტიური) | 1.227** | 0.474 | 0.609** | 0.261 |
| ქრონიკული ავადმყოფობა (ფიქტიური) | -1.090*** | 0.405 | -0.274 | 0.220 |
| უმაღლესი განათლება (ფიქტიური) | -0.685 | 0.463 | 1.375*** | 0.328 |
| პროფესიული განათლება (ფიქტიური) | -2.568*** | 0.836 | 1.186*** | 0.292 |
| საშუალო განათლება (ფიქტიური) | -0.133 | 0.234 | 0.518** | 0.233 |
| დასახლების ტიპი (1 -ქალაქი; 2 სოფელი) | -0.607*** | 0.202 | 0.102 | 0.156 |
| არაშრომითი შემოსავლის კოეფიციენტი | -0.0218187 | 0.075 | -0.206*** | 0.065 |
| განათლების მაქსიმალური დონე | 0.104*** | 0.047 | -0.161*** | 0.049 |
| სიმდიდრე (ფაქტორის კოეფიციენტი) | 0.035*** | 0.007 | 0.024*** | 0.006 |
| დამოკიდებულ პირთა წილი | 0.226 | 0.447 | 0.619* | 0.331 |
| მუდმივა | 7.513*** | 1.082 | -2.197** | 0.873 |
| საბაზისო კატეგორია: სტიმულის არარსებობის ეფექტი | | | | |
| დაკვირვებების რაოდენობა | 1,629 | | | |
| Wald chi2(30) | 510.98 | | | |
| Prob > chi2 | 0.0000 | | | |
| ფსევდოლაბათობის კოეფიციენტი | -611.45622 | | | |
| შენიშვნები: *** — კოეფიციენტი მნიშვნელოვანი $p < 0.01$ დონეზე; ** — კოეფიციენტი მნიშვნელოვანი $p < 0.05$ დონეზე; * — კოეფიციენტი მნიშვნელოვანი $p < 0.1$ დონეზე | | | | |

ამ მოდელში სტიმულის არარსებობის ეფექტი გამოიყენება ძირითადი კატეგორიის სახით. ასევე, ამ მოდელში ვითვალისწინებთ მხოლოდ იმ მიგრანტებს, რომლებიც ბირთვულ ოჯახებს მიეკუთვნებიან. მე-4 ცხრილის მიხედვით, ოჯახში მიგრანტის ყოლა მნიშვნელოვნად (1% დონეზე) ზრდის შინ დარჩენილი ოჯახის წევრების არააქტიურობის ალბათობას განათლების მიღების ან ჩანაცვლების ეფექტის გამო, სტიმულის არარსებობით გამოწვეული არააქტიურობასთან შედარებით. მოდელში გამოყენებული კონტროლის სხვა ცვლადები ზოგადად გამოირჩევა მოსალოდნელი ნიშნით და სტატისტიკური მნიშვნელობებით. შინ დარჩენილი წევრების არააქტიურობის მიზეზებზე „მიგრანტის“ ცვლადის ზღვრული ეფექტების ანალიზი მოცემულია მე-5 ცხრილში, სადაც ნაჩვენებია, რომ ცხოვრება მიგრანტის გამგზავნ ოჯახში 1.2 პროცენტით ზრდის არააქტიურობის ალბათობას უმაღლესი განათლების მიღების პროცესში ჩართვის გამო. მიგრაციის ეფექტი ჩანაცვლებაზე კიდევ უფრო ძლიერია, შრომის ბაზარზე მონაწილეობის საოჯახო საქმეებით ჩანაცვლების ალბათობა მიგრანტის გამგზავნ ოჯახში 10.8 პროცენტით იზრდება, ამადროულად, მიგრაციის შედეგად მიღებული დამატებითი შემოსავლის გამო მუშაობის სტიმულის არარსებობით გამოწვეული არააქტიურობა 12.0%-ით ნაკლებად არის მოსალოდნელი მიგრანტის გამგზავნ ოჯახში.

ცხრილი 5

მიგრაციის ზღვრული ეფექტები შინ დარჩენილი ოჯახის წევრების არააქტიურობის მიზეზებზე

| შეფასების ტექნიკა | არააქტიურობის მიზეზები | | |
|--|-----------------------------|---------------------------|--------------------|
| | სტიმულის არარსებობის ეფექტი | განათლების მიღების ეფექტი | ჩანაცვლების ეფექტი |
| მრავალგანზომილიანი პრობიტის მოდელი | -0.1203*** | 0.01204* | 0.1082*** |
| მრავალგანზომილიანი ლოგიტის მოდელი | -0.1233*** | 0.01455* | 0.1087*** |
| შენიშვნები: *** — კოეფიციენტი მნიშვნელოვანი $p < 0.01$ დონეზე; ** — კოეფიციენტი მნიშვნელოვანი $p < 0.05$ დონეზე; * — კოეფიციენტი მნიშვნელოვანი $p < 0.1$ დონეზე | | | |

ჩვენი მოდელის უტყუარობის შემოწმების მიზნით გამოვითვალეთ იგივე ეფექტი მრავალგანზომილიანი ლოგიტის მოდელის გამოყენებით. მიგრაციის ზღვრული ეფექტები მრავალგანზომილიანი ლოგიტის მოდელი, რაც მე-5 ცხრილშია მოცემული, მხოლოდ მცირე სხვაობას აჩვენებს მრავალგანზომილებიანი პრობიტის მოდელთან შედარებით, რაც გვიჩვენებს, რომ ჩვენი შედეგები უტყუარია.

რომ შევაჯამოთ, მიღებული შეხედულება მიგრაციის შედეგების შესახებ შრომის ბაზარზე მდგომარეობს იმაში, რომ მიგრაციას გააჩნია სტიმულის არარსებობის ეფექტი შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომის ბაზარზე მონაწილეობაზე, რადგან მიგრანტი შინ დარჩენილ ოჯახის წევრებს დამატებითი შემოსავლით უზრუნველყოფს. თუმცა, ჩვენი კვლევის შედეგები არ ადასტურებს ამ შეხედულებას. წინამდებარე კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში მიგრაცია იწვევს შინ დარჩენილი ოჯახის წევრების არააქტიურობას ძირითადად შრომის ჩანაცვლების ან განათლების მიღების გამო.

დასკვნები

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია საქართველოში მიგრაციას და შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომის ბაზარზე მოქმედებას შორის ურთიერთ-კავშირი. ქართული ოჯახების კვლევის საფუძველზე შევეცადეთ პასუხი გაგვეცა ეკონომიკურ ლიტერატურაში შედარებით შეუსწავლელ საკითხებზე. პირველი, ჩვენ გამოვიყენეთ ინსტრუმენტული ცვლადების მეთოდოლოგია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად მიგრაციას და შრომის ბაზრის შედეგებს შორის საქართველოში. ჩვენმა ანალიზმა დაადასტურა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მიგრაცია და არამიგრანტი ნათესავების გადაწყვეტილებები შრომის ბაზარზე მონაწილეობის დაკავშირებით ერთობლივად განისაზღვრება (ანუ მათ შორის ენდოგენური კავშირი არსებობს). კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო მიგრაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შინ დარჩენილი ოჯახის წევრების გადაწყვეტილებებს შრომის ბაზარზე მონაწილეობის შესახებ და ეს გადაწყვეტილებები არსებითად განსხვავდება სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით. შინ დარჩენილი ქალების შემთხვევაში მიგრაციის ეფექტი მათ გადაწყვეტილებაზე შრომით ბაზარზე მონაწილეობის შესახებ მნიშვნელოვანია და მოსალოდნელი ნიშნით ხასიათდება. ასევე, ეს ეფექტი გარკვეულწილად უფრო ძლიერია იმ ქალების შემთხვევაში, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ. თუმცა, კვლევის შედეგების მიხედვით, მიგრანტის ყოლა ზრდის მამაკაცების შრომის ბაზარზე მონაწილეობის ალბათობას ურბანული ტიპის დასახლებაში (სოფლად ეს ეფექტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის). თეორიული თვალსაზრისით ეს შედეგი შეიძლება აიხსნას მიგრანტის და არამიგრანტი ოჯახის წევრების მიერ ოჯახში შესრულებული ფუნქციების კომპლემენტარობით.

მეორე, ჩვენ შევისწავლეთ მიგრანტების გამგზავნი ოჯახის წევრების არააქტიურობის ალტერნატიული განმარტებები. კერძოდ, შესწავლილია სამი ეფექტი: სტიმულის არარსებობა, რაც გამოწვეულია ფულადი გზავნილების სახით მიღებული დამატებითი არაშრომითი შემოსავლით; ჩანაცვლება, რაც შრომის ბაზარზე მონაწილეობის ნაცვლად საოჯახო საქმეების შესრულებას გულისხმობს და განათლების მიღება, რა შემთხვევაშიც შრომის ბაზარზე არააქტიურობა უმაღლესი განათლების მიღების პროცესით აიხსნება. მრავალგანზომილებიანი პრობიტი მოდელის გამოყენებით დავადგინეთ, რომ მიგრაციის შედეგების შესახებ შრომის ბაზარზე მიღებული შეხედულება იმის შესახებ, რომ მიგრაციას გააჩნია სტიმულის არარსებობის ეფექტი შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომის ბაზარზე მონაწილეობაზე, რადგან მათ დამატებითი შემოსავლით უზრუნველყოფს, საქართველოს შემთხვევაში არ დადასტურდა. წინამდებარე კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში მიგრაცია იწვევს შინ დარჩენილი ოჯახის წევრების არააქტიურობას ძირითადად შრომის ჩანაცვლების ან განათლების მიღების ეფექტის მეშვეობით.

ფინანსური მხარდაჭერა

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [№ 217556, მიგრაცია, შრომის მიწოდება და სკოლის მიღწევები: საქართველოს მაგალითზე].

გამოყენებული ლიტერატურა

1. Acosta, P. (2006). Labor supply, school attendance, and remittances from international migration: The case of El Salvador. Policy Research Working Paper Series 3903, The World Bank. <http://dx.doi.org/10.1596/1813-9450-3903>.

2. Airola, J. (2008). Labor supply in response to remittances income: The case of Mexico. *The Journal of Developing Areas*, 41(2), 69-78.
3. Amuedo-Dorantes, C. (2006). Remittances and their microeconomic impacts: Evidence from Latin America. Proceedings of the 2006 Conference on Migration, Trade, and Development. Federal Reserve Bank of Dallas, Dallas, Texas. <http://dallasfed.org/assets/documents/research/pubs/migration/amuedo.pdf>
4. Amuedo-Dorantes, C., & A. Pozo (2006). Migration, remittances and male and female employment patterns. *American Economic Review (Papers and Proceedings)* 96 (2), 222–226.
5. Berulava G. & G. Chikava (2012). The determinants of household labour supply in Georgia, France and Romania: A comparative study. *Eurasian Journal of Business and Economics*, 5(9), 141-164.
6. Binzel, C., & R. Assaad (2011). Egyptian men working abroad: Labour supply responses by the women left behind. *Labour Economics*, 18, 98-114. DOI: <http://doi.org/10.1016/j.labeco.2011.03.002>.
7. Blundell, R., P.-A. Chiappori, T. Magnac and C. Meghir (2007). Collective labor supply: Heterogeneity and nonparticipation. *Review of Economic Studies*, 74, 417-455.
8. Cabegin, A. (2006). The effect of Filipino overseas migration on the non-migrant spouse's market participation and labor supply behavior. Discussion Paper 2240. Bonn: IZA. <http://ftp.iza.org/dp2240.pdf>
9. Chiappori, P.-A. (1988). Rational household labor supply. *Econometrica*, 56, 63-89.
10. Chiappori, P.-A., Fortin, B. and G. Lacroix (2002). Marriage market, divorce legislation, and household labor supply. *Journal of Political Economy*, vol.10(1), 37-72.
11. Danzer, A. M., & B. Dietz (2009). Temporary labour migration and welfare at the new European fringe: A comparison of five Eastern European countries. IZA Discussion paper No. 4142. <http://www.oei-dokumente.de/publikationen/wp/wp-273.pdf>
12. Fortin, B. & G. Lacroix, (1997). A test of neoclassical and collective models of household labor supply. *Economic Journal*, 107, 933-955.
13. Funkhouser, E. (1992). Migration from Nicaragua: Some recent evidence. *World Development*, 20, 1209-1218.
14. Gerber, T.P., & K. Torosyan (2013). Remittances in the Republic of Georgia: Correlates, economic impact, and social capital formation. *Demography*, Springer, 50(4), 1279-1301.
15. Görlich, D., T. O. Mahmoud, & C. Trebesch (2007). Explaining labour market inactivity in migrant-sending families: Housework, hammock, or higher education. Kiel Working Paper №1391, December, Kiel Institute for the World Economy. <https://www.econstor.eu/bitstream/10419/4121/1/kap1391.pdf>
16. Green, H. W. (2003). *Econometric analysis*. 5th ed. Prentice-Hall, Inc. Englewood Cliffs, New Jersey.
17. Karymshakov, K. & Sulaimanova, B. (2017). Migration impact on left-behind women's labour participation and time-use: Evidence from Kyrgyzstan. WIDER Working Paper 2017/119. Helsinki: UNU-WIDER. <https://www.wider.unu.edu/sites/default/files/wp2017-119.pdf>
18. Kim, N. (2007). The impact of remittances on labor supply: The case of Jamaica. World Bank Policy Research Working Paper 4120, February. <http://documents.worldbank.org/curated/en/926051468044132562/pdf/wps4120.pdf>
19. Lokshin, M., & E. Glinskaya (2009). The effect of male migration on employment patterns of women in Nepal. *World Bank Economic Review*, 23(3), 481–507.
20. Mendola, M., & G. Carletto (2009). International migration and gender differentials in the home labor market: Evidence from Albania. The World Bank Policy Research Working Paper № 4900. <http://documents.worldbank.org/curated/en/892271468006291314/pdf/WPS4900.pdf>

21. OECD/CRRC-Georgia (2017). Interrelations between public policies, migration and development in Georgia. OECD Development Pathways, OECD Publishing, Paris. <http://dx.doi.org/10.1787/9789264272217-en>
22. Rodriguez, E. R., & E.R. Tiongson (2001). Temporary migration overseas and household labor supply: Evidence from urban Philippines. *International Migration Review*, 35(3), 709-725.
23. Woodruff, C. & R. Zenteno (2007). Migration networks and microenterprises in Mexico. *Journal of Development Economics*, 82, 509–528.

Berulava George

*P. Gugushvili Institute of Economics, Ivane Javakishvili
Tbilisi State University, Tbilisi, Georgia,*

Dikhaminjia Irma

Faculty of Business and Economics, Sokhumi State University, Tbilisi, Georgia,

Ghvinjilia Natia

Georgia's Reforms Associates, Tbilisi, Georgia

**THE MICROECONOMIC EFFECTS OF MIGRATION ON LABOR MARKET: EVIDENCE
FROM GEORGIA
Expanded Summary**

Georgia has experienced large-scale emigration since the period following the breakup of the former Soviet Union in 1991 and obtaining independence. There were several driving forces behind migration processes in Georgia: political and ethnic conflicts (and as sequence a substantial number of refugees) as well as economic motives due to deterioration of national economy (Gerber & Torosyan, 2013). Because of these processes, thousands of people emigrated from Georgia in a search of high-wage employment opportunities. According to National Statistics Office of Georgia, approximately 867.6 thousand of persons out-migrated from Georgia during the period of 1991-2005. Along with increase in international migration, remittance inflows into Georgian economy have boosted dramatically. In 2015, net remittances from abroad accounted for almost 1.5 billion US\$ or 10.4% of GDP (OECD/CRRC-Georgia, 2017). Though remittances from international migration, in general, have positive macroeconomic effects, recent empirical findings suggest that high migration and remittances levels, may have a negative impact on the functioning of labor market as well.

In developing countries, the weak performance of labor markets is usually associated with high migration and remittances levels (Kim, 2007). It is well known from academic literature that international migration affects labor market performance in two-ways (Rodriguez & Tiongson, 2001). First, it reduces the labor force directly when potential participant of labor market migrates abroad. Second, the inflow of remittances can negatively influence the behavior of left-behinds. Thus, emigration and remittances could be among the factors that explain poor functioning of the labor market in Georgia (Berulava & Chikava, 2012).

Despite its importance the link between migration and the labor market behavior of left-behind households' members remains relatively unstudied in Georgia. Moreover, the few studies that explore this relationship, don't account for potential endogeneity between migration and labor market choices of left-behinds. Hence, the causal link between these two household choices is still undetermined. Another comparatively unexplored issue is the reasons of inactivity in migrant-sending households (in particular, we try to ascertain whether the inactivity is caused by income, substitution/housework or education effects). In this paper, on the basis of the Georgian Household Survey, we aim to fill these gaps through studying the effects of migration on labor market participation/inactivity decisions of left-behind family

members. We account for potential endogeneity issue between migration and labor market behavior of left-behinds by employing instrumental variable (IV) estimation technique. We also explore the impacts of migration, differentiated by household status of international migrant on labor market participation/inactivity decisions of left-behinds.

This paper explores the existing interrelationships between migration and labor market outcomes of left-behind household members in Georgia. Based on the Georgian Household Survey, we tried to answer the questions that remained relatively unexplored in economic literature.

First, we employed IV-technique to establish causal link between migration and labor market outputs in Georgia. Our analysis has proved the hypothesis that migration and labor market decisions of left-behinds are jointly determined. The study results suggest the international migration is an important predictor of labor participation choices of non-migrants and that the effects of migration on labor market participation/inactivity decisions of left-behind family members differ substantially by gender of left-behinds and settlement type. For left-behind females, the effect of migration on their labor participation decisions is significant and has expected positive signs. Also, this impact to some extent is stronger for females living in urban areas as compared to females living in rural settlements. However, according to the study results, having a migrant in a household increases probability of male’s participation in labor market in urban areas (in rural settlements this effect is not statistically significant). From the theoretical point of view this result can be explained by complementarity of performed functions by the migrant and left-behind male household member.

Second, we explored alternative reasons of inactivity among left-behind members in migrant-sending households. Specifically, the three effects are studied: the disincentive effects caused by additional non-labor income from remittances; substitution effect, which assumes performing a housework instead of participating in labor markets; and education effect which explains non-participation by engaging in higher education. Applying multinomial Probit model, we ascertained that disincentive effect of migration on labor participation of left-behind household members, is less likely to occur in Georgia. According to the findings of this study, in Georgia, migration affects inactivity of left-behinds mainly through substitution or education effects.

This study is focused only on the extensive margins of the effect of migration on labor market outcomes. Further research should be focused on the exploration of the intensive margins of the microeconomic effects of migration in Georgia. The impact of migration on the choice of employment types of left-behinds deserves further investigation as well. Also applying time-series or panel data can provide better understanding of the casual link between migration and labor market behavior of the left-behind household members.

FUNDING

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNFSF) [№ 217556, Migration, labor supply and school attainment: evidence from Georgia].

ხათუნა ბარბაქაძე
ასოცირებული პროფესორი
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაციის შესახებ

რეზიუმე

კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაცია ერთ-ერთი ყველაზე რთული პროცედურაა კორპორაციული ფინანსების მართვის პროცესში რადგან ის წარმოადგენს კომპანიის სასესხო კაპიტალის გამოყენებას და საკუთარი ფინანსური რესურსების საიმედოობასა და სტაბილურობას შორის. კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაციის მექანიზმი კომპანიის ფინანსური მდგრადობის მართვის სისტემის განუყოფელი ნაწილია, რაშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კაპიტალის ლიკვიდობას და გადახდისუნარიანობას.

საკვანძო სიტყვები: კაპიტალის სტრუქტურა; გადახდისუნარიანობა; ანტიკრიზისული მართვა; ეფექტიანობა; ლიკვიდობა.

შესავალი

კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა წარმოადგენს თანაფარდობას საკუთარ და სასესხო საშუალებებს შორის, როცა ხდება ეფექტიანი ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა საკუთარი კაპიტალის რენტაბელობასა და დავალიანების კოეფიციენტებს შორის [Бланк И. А. 2000]. კაპიტალის სტრუქტურა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის შედეგებზე, აგრეთვე, აქტივებისა და საკუთარი კაპიტალის რენტაბელობაზე [Бочаров В. В., Леонтьев В. Е. 2004]. კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაცია ერთ-ერთი ყველაზე რთული პროცედურაა კორპორაციული ფინანსების მართვის პროცესში, რადგან იგი წარმოადგენს კომპანიის პოტენციურ ფინანსურ სიძნელეებს, სასესხო კაპიტალის გამოყენებას და საკუთარი ფინანსური რესურსების საიმედოობასა და სტაბილურობას შორის.

კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაციისას მთავარია დადგინდეს ისეთი თანაფარდობა საკუთარ და სასესხო კაპიტალს შორის, როდესაც კომპანიის აქციების ღირებულება მაღალვებს მაქსიმუმს. ინვესტორისათვის სასესხო კაპიტალის დონე წარმოადგენს მგრძობიარე ინდიკატორს ემიტენტის ფინანსური მდგრადობის შესაფასებლად, ვინაიდან დავალიანების მაღალი დონე მოწმობს მსესხებლის გაკოტრების რისკის დონის მატეხას.

კვლევის მიზანია კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაციის პრობლემების შესწავლა და მათი აღმოფხვრის გზების პოვნა.

კვლევის მეთოდები. ნაშრომის შესრულებისას საკვლევი თემის პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა კვლევის სისტემური და ლოგიკური განზოგადების მეთოდები, ასევე გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

* * *

გადახდისუნარიანობა არის მოვალის უუნარობა, დაფაროს თავისი ვალდებულებები მათი შესრულების მომენტისთვის. როდესაც ხდება მოვალის მიერ გადახდის დროებით შეწყვეტა ან დაუფარავია ცალკეული მოთხოვნები, მოვალის გადახდისუნარიანობაზე დასკვნების გაკეთება რთულია. გადახდისუნარიანობა რთული ეკონომიკურ-სამართლებრივი მოვლენაა, რომელიც, ერთი მხრივ, ოპერაციული საქმიანობის არაეფექტიანი პროდუქტია, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოადგენს სტიმულს კომპანიების ეფექტიანი მუშაობისათვის. კომპანიების

გადახდისუნარიობასთან დაკავშირებული პრობლემების გადასატრიალად საჭიროა თანამედროვე სამეცნიერო ცოდნის, ეკონომიკური გამოცდილების, ბიზნეს-საზოგადოებებისა და ფინანსური ინსტიტუტების ძალისხმევის გაერთიანება.

კომპანიის არასტაბილურობის პირობებში ფუნქციონირება დაკავშირებულია მმართველობითი გადაწყვეტილებების ანტიკრიზისული მართვის მექანიზმებთან, რომელიც გულისხმობს მიზეზების დიაგნოსტიკას და დაძლევის ღონისძიებებს ყველა დონეზე. არასტაბილური მდგომარეობის დიაგნოსტიკის სისტემის დანერგვით შესაძლებელია წარუმატებლობის პროგნოზირება და მისი განვითარების თავიდან აცილება. ასეთი ღონისძიებების ეფექტიანობა მთლიანად დამოკიდებულია რამდენად დროულად იქნება აღმოჩენილი მოახლოებული წარუმატებლობის ნიშნები და რამდენად კვალიფიციურად იქნება განსახილველი მიმდინარე უარყოფითი პროცესების გამომწვევი ძირითადი მიზეზები. არასტაბილური მდგომარეობის დიაგნოსტიკის მეშვეობით კომპანიის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ობიექტური ინფორმაციით შიდა და გარე ფაქტორების განვითარების ტენდენციის შესახებ, რომელიც მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველია.

ანტიკრიზისული მართვის მექანიზმის გამოყენების აუცილებლობა განპირობებულია მკაცრი კონკურენციით, ქვეყნის არასტაბილური ფინანსური სისტემით და ბაზრის სწრაფად ცვალებადი კონიუნქტურით. ანტიკრიზისული ზომები ეხება კომპანიის ფუნქციონირების უმნიშვნელოვანეს პროცესს, როგორცაა კაპიტალის ფორმირება, გამოყენება და კვლავწარმოება, რომლის მართვის ეფექტიანობა აისახება კომპანიის კაპიტალის სტრუქტურაზე. როგორც წესი, კომპანიის კაპიტალის სტრუქტურაში ნეგატიური მოვლენების დიაგნოსტიკა საშუალებას იძლევა მისი განვითარების ყველაზე ადრეულ სტადიაზე იყოს შემუშავებული მენეჯმენტის სტრატეგია და ტაქტიკა ფინანსური არასტაბილურობის დაძლევის მიზნით. კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

1. გადასახადების მოცულობა. სტაბილური მოგების მიღების შესაძლებლობა კომპანიას საშუალებას მისცემს, სასესხო კაპიტალის ხარჯზე მიაღწიოს გადასახადებზე წმინდა ეკონომიას. ხოლო, არასტაბილური მოგების შემთხვევაში კომპანია ვერ გამოიყენებს სასესხო კაპიტალზე საგადასახადო დაცვის უპირატესობებს და შედეგი იქნება გადასახადებზე უარყოფითი წმინდა ეკონომია;
2. საქმიანი რისკი. კომპანიებში, რომლებიც ეწევიან მაღალ რისკს, ფინანსური სირთულეების ალბათობა და მათთან დაკავშირებული დანახარჯები მაღალია. მაღალი ფინანსური რისკების შემთხვევაში რისკიანი პროექტების უმრავლესობა ფინანსდება საკუთარი კაპიტალის ხარჯზე;
3. აქტივების ხარისხი. როდესაც კომპანიის ღირებულება დამოკიდებულია არამატერიალური აქტივების ღირებულების ზრდაზე, შესაბამისად მაღალია მათი ფინანსური სირთულეების ალბათობა. როგორც წესი, მიწითა და უძრავი ქონებით ვალის უზრუნველყოფა უფრო საიმედოა, ამიტომ რისკიანი არამატერიალური აქტივების გაზრდილი წილის მქონე კომპანიის სესხების მოცულობა ნაკლებია საიმედო ფიქსირებული აქტივების დიდი წილის მქონე კომპანიის სესხების მოცულობაზე;
4. დაფინანსების ხელმისაწვდომობა. კომპანიის ღირებულება უფრო მეტად დამოკიდებულია მის საინვესტიციო და ოპერაციულ გადაწყვეტილებებზე, ვიდრე მის გადაწყვეტილებებზე დაფინანსების წყაროების არჩევაზე.

კაპიტალის სტრუქტურის თეორიაში მნიშვნელოვანი პრობლემაა მთლიანი კაპიტალის – ძირითადი, საბრუნავი, საკუთარი და ნასესხები - ოპტიმალური

თანაფარდობის შერჩევა. კომპანიის მთლიანი ღირებულების და კაპიტალის სტრუქტურის თეორიას საფუძველი დაუდეს ფ. მოდილიანმა და მ. მილერმა, რომლებმაც აჩვენეს, რომ არჩევანი ნასესხებ და საკუთარ კაპიტალს შორის გაველენას არ ახდენს კაპიტალის მოზიდვის და კომპანიის ღირებულებაზე. კაპიტალის სტრუქტურის და შეფასების მიდგომა უშეუძლია, რომ არსებობს ოპტიმალური კაპიტალის სტრუქტურა და რომ მენეჯმენტს შეუძლია გაზარდოს კომპანიის მთლიანი ღირებულება ფინანსური ლევერეჯის გონივრული გამოყენებით. ამ მიდგომის მიხედვით, კომპანიას შეუძლია საწყის ეტაპზე შეამციროს მისი კაპიტალის ღირებულება და გაზარდოს მისი ღირებულება ლევერეჯის გაზრდით. როდესაც მაღალია ფინანსური ლევერეჯი, ინვესტორები ზრდიან კომპანიების აქციონერულ კაპიტალზე მოთხოვნილ მოგებას, სანამ ეს ზეგავლენა მთლიანად არ აანაზღაურებს სასესხო საშუალებების სარგებელს [ჯიმს ს. ვან ჰორნი; ჯონ მ. ვახოვიჩი, უმც. ფინანსური მენეჯმენტის საფუძველები. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2009].

კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრისათვის ზუსტი ფორმულა არ არსებობს. კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაცია კონკურენციის, საგადასახადო კანონმდებლობისა და ეკონომიკური სიტუაციის ცვლილებებისადმი ადაპტაციის უწყვეტი პროცესია. გადაწყვეტილება კაპიტალის სტრუქტურის არჩევის შესახებ, არ შეიძლება განვიხილოთ იზოლირებულად. ის უნდა იყოს დაფინანსების დასაბუთებული სტრატეგიის ნაწილი, რომელშიც გათვალისწინებულ იქნება როგორც კომპანიის საბაზრო პოზიცია და მომავალი საინვესტიციო შესაძლებლობები, ასევე, მოსალოდნელი ფულადი ნაკადები, სადივიდენდო პოლიტიკა და დაფინანსების მოთხოვნა [ბარბაქაძე ხ, 2016].

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კონკრეტული კომპანიისთვის შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რაც მისი ფინანსური მდგრადობის გაზრდის საშუალებას იძლევა. სწორედ ამიტომ, გადახდისუნარიანობის დაძლევის და აქტივების ლიკვიდობის დონესა და მათი დაფინანსების წყაროების სტრუქტურას შორის თანაფარდობის ოპტიმიზაცია გულისხმობს ბალანსის ანალიზს შემდეგი მაჩვენებლების საფუძველზე:

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი

$$K = \frac{A}{P}$$

სადაც **A** არის საბრუნავი აქტივები; **P** - მოკლევადიანი ვალდებულებები. მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტის მნიშვნელობა 2-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

საბრუნავი აქტივების საკუთარი საბრუნავი კაპიტალით უზრუნველყოფის კოეფიციენტი:

$$K_{\text{უზრუნ.}} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი-არასაბრუნავი აქტივები}}{\text{საბრუნავი აქტივები}}$$

აღნიშნული კოეფიციენტი საანგარიშო პერიოდის ბოლოს არ უნდა იყოს 0.1-ზე ნაკლები.

კომპანია რომ აღიარონ გადახდისუნაროდ - საანგარიშო პერიოდის ბოლოს მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი 2.0-ზე, ხოლო საბრუნავი აქტივების საკუთარი კაპიტალით უზრუნველყოფის კოეფიციენტი 0.1-ზე ნაკლები უნდა იყოს. ერთი კოეფიციენტის გაუმჯობესება იწვევს მეორის გაუარესებას, რადგან საბრუნავი საშუალებები იმყოფება ერთი კოეფიციენტის მრიცხველში და მეორე კოეფიციენტის მნიშვნელში. ამიტომ აუცილებელია, აღნიშნული კოეფიციენტები შეფასდეს ერთად.

საბრუნავ და არასაბრუნავ აქტივებს შორის ოპტიმალური თანაფარდობა კომპანიის მდგრადი ფინანსური განვითარების უზრუნველყოფის შესაძლებლო-

ბას იძლევა, ხოლო საკუთარ და სასესხო კაპიტალს შორის თანაფარდობის მიხედვით შესაძლებელია კაპიტალის ერთობლივი ღირებულების მინიმიზება, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას, მოიზიდოს საჭირო ფინანსური რესურსები და შეინარჩუნოს ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების მოქნილობა.

ზოგადად საზოგადოების ნებისმიერი განვითარება შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა. რაც ადრეულ პერიოდში განიხილებოდა, როგორც ელიტარული მოხმარების სფერო, ნელ-ნელა ხდებოდა საყოველთაო მოხმარების. ეს ტენდენცია ეფუძნებოდა მუდმივად მზარდ მწარმოებლურობას, რომლის საფუძველს ქმნიდა უფრო ჩქარი და მოქნილი ტექნოლოგიები, უფრო წარმადი მანქანა-დანადგარები. დღევანდელ დღეს აუცილებელი გახდა იგივე სისწრაფე, თუმცა გადაწყვეტილების მიღებაში. სწორედ ამას ემსახურება მე-4 ინდუსტრიული რევოლუცია, საჭირო ხდება გადაწყვეტილების მიღების დაჩქარება, ერთი ტექნიკური მოწყობილობა პირდაპირ უნდა დაუკავშირდეს მეორე ტექნიკურ მოწყობილობას და შეძლოს საუკეთესო ვარიანტის შერჩევა. კუნთური ენერჯის იმიტაცია აღარ კმარა, საჭირო ხდება ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების იმიტირება. ცხადია, გამოსატყვის ფორმა იქნება მრავალგვარი, ხოლო შედეგი – პროდუქცია და მომსახურება კიდევ უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდება. ამ ინდუსტრიულ რევოლუციას ექნება თავისებურებები, ამწყობი საწარმოების მაგიერ საჭირო გახდება ინფორმაციის შენახვის და გადაცემის ცენტრების ფორმირება, სამგანზომილებიანი ბეჭდვის განვითარებამ შესაძლებელია შეამციროს საქონლის სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობა. ასევე კარგად უნდა იქნეს გააზრებული ეკონომიკის განვითარების საერთო ტენდენციები: ასეთია “ციტიკულარული” ანუ უდანაკარგო ეკონომიკა; ზუსტი (კოორდინირებული) სოფლის მეურნეობა; საერთაშორისო კვლევითი ცენტრები, სადაც იქმნება ინოვაციების მენეჯმენტის თანამდროვე მიდგომები. უდანაკარგო ეკონომიკა ნიშნავს მეორადი ნედლეულის მაქსიმალურ გამოყენებას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ეკონომიკის რესურსებზე დამოკიდებულების დონეს. ამ მოვლენას შესაძლებელია მოჰყვეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უკუსვლა, ანუ თუ ადრე ინვესტიციები განვითარებული ქვეყნებიდან მიდიოდა ნაკლებ განვითარებულ, მაგრამ რესურსულად მდიდარ ქვეყნებში, ახლა ინვესტიციები წავა განვითარებული ტექნოლოგიების მქონე სახელმწიფოებში. სამრეწველო რევოლუციის მე-2 და მე-3 ეტაპისათვის დამახასიათებელი წვდომა იაფ მუშახელზე აღარ იქნება პრინციპული, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე შექმნილი პროდუქცია მინიმუმამდე მოითხოვს ხელით შრომას. ამდენად, საქართველოსათვის იხსნება ინვესტიციების შემოდინების ორი ძირითადი შემაფერსებელი ფაქტორი: რესურსული სიღარიბე და იაფი მუშახელის არარსებობა. მაგრამ რა ფაქტორები გახდება ინვესტიციების მოსაზიდად ყველაზე მნიშვნელოვანი? პირველ რიგში, ეს იქნება მონაცემთა ადვილად მიღებისა და გადაცემის შესაძლებლობები, დიდი მოცულობის მონაცემთა შენახვის შესაძლებლობები, ქვეყანაში შესაბამისი ტექნოლოგიების მცოდნე პირების რაოდენობა და მათი ხელმისაწვდომობა. ასევე თავიდან გასააზრებელი იქნება საგნების ინტერნეტის პარალელურად პროდუქციის მცირე პარტიების საქართველოდან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიწოდების შესაძლებლობა. ალბათ ხელმეტია საუბარი, რომ ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს ელექტროენერჯის შეუ-

ფერხებელი მიწოდებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უწყვეტი მუშაობა. თავისი არსით შეიცვლება ინვესტიციების ბუნებაც, მნიშვნელოვანწილად ეს იქნება პროგრამული პროდუქტები, რომლებსაც დაჭირდება უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე კადრები. ინდუსტრიული რევოლუციის მე-4 ეტაპი სულ უფრო მეტად იქნება ორიენტირებული მომსახურების ექსპორტზე. ამავდროულად გაჩნდება მოთხოვნები ახალ მასალებზე, რომლებიც აუცილებელია სხვა, ასევე ახალი პროდუქციის შესაქმნელად. საექსპორტო სტრატეგიები ასეთ შემთხვევებში წარმოდგენილი იქნება, როგორც თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკის გატარების კონკრეტული მექანიზმები.

ამდენად, ამ ეტაპზე უნდა განვსაზღვროთ შეზღუდული რესურსების პირობებში ექსპორტის ზრდის რომელი მოდელის გამოყენებაა გამართლებული: ექსპორტი, როგორც ეკონომიკის ზრდა; ექსპორტი და სტაბილური, დაცული სამუშაო ადგილები თუ სხვა. ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველაზე სწორია ექსპორტის ღირებულების ზრდა, რაც შესაძლებელია უფრო მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის გამოშვებით. პრიორიტეტი უნდა მიეცეს არსებული საექსპორტო პროდუქტებისაგან უფრო მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის წარმოებას ან არსებული საექსპორტო პროდუქტების უფრო მაღალ ფასებში გაყიდვას.

ამ მიმართულებებით უნდა გადაიდგას შემდეგი კონკრეტული ნაბიჯები: შოკოლადის და ნაყინის მსოფლიო მწარმოებლებისათვის, საიუველირო პროდუქციის მწარმოებლებისა და ფეროშენადნობების ბაზაზე პროდუქციის მწარმოებლებისათვის მოხდეს საინვესტიციო შეთავაზების ფორმირება, რომელიც ითვალისწინებს მოგების გადასახადის დაწევას 5%-მდე;

- მოხდეს რექსპორტის მაქსიმალური ხელშეწყობა საზღვაო პორტების ინფრასტრუქტურის განვითარების მეშვეობით. საერთაშორისო სატრანსპორტო ოპერატორებს გაუმარტივდეთ წვდომა საქართველოში არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.
- დამუშავდეს სპეციალური პაკეტი, რათა მოხდეს პუი-ს მაქსიმალური ხელშეწყობა მომსახურების სფეროში.

2. საექსპორტო სტრატეგიის და თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკის ურთიერთკავშირი საქართველოს რეალობაში

ინდუსტრიული პოლიტიკის მნიშვნელობა და მისი წარმატებული მაგალითები ცალსახად მიუთითებს, რომ წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკა მთლიანად იზიარებს მსოფლიოში არსებულ სამრეწველო განვითარების დონეს. შეუძლებელი იყო მე-20 საუკუნის 50-იან წლებში წარმატების მიღწევა, თუ ძირითადად გამოყენებული იქნებოდა ორთქლზე მომუშავე მანქანა-დანადგარები. სწორედ იგივე ვითარებაა ახლა, როდესაც წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკის ფორმირებას ცდილობენ სამრეწველო რევოლუციის უკვე არსებული ან განვლილი ეტაპების გათვალისწინებით. შეუძლებელია წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკა არ დაეფუძნოს სამრეწველო რევოლუციის მეორე და მესამე ეტაპებს. დღევანდელ გლობალურ მსოფლიოში წარმატების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, როდესაც კონკურენტული ხარ გლობალურად. შესაძლებლობა, რომ იყო კონკურენტული გლობალურად წარმოადგენს ძირითად პირობას იმისათვის, რომ ქვეყანამ მიაღწიოს ინდუსტრიული სექტორის ზრდას. ეს დებულება მიხნეული უნდა იქნეს აქსიომატურად, ვინაიდან მიღწეული გლობალიზაციის პირობებში მანძილი აღარ თამაშობს მნიშვნელოვან როლს.

კონკურენციის გლობალური ხასიათი აყალიბებს ახალ ვითარებას, როდესაც წარმოიშობა კარგად ცნობილი “წითელი დედოფლის” ფენომენი – იმისათვის, რომ იმავე ადგილზე დარჩე სადაც ხარ, უნდა იმოძრაო ძალიან სწრაფად. ის ქვეყნები, რომლებიც ვერ მიჰყვებიან ამ თამაშის წესებს, სულ უფრო და უფრო ჩამორჩებიან ინდუსტრიული განვითარების თვალსაზრისით. ქვეყნის წარმატების საწინდარია მუდმივი სწრაფი მოძრაობა წინ. სხვა შემთხვევებში ხდება გარკვეული ქვეყნების მარგინალიზაცია და ისინი ვეღარ შეძლებენ ინდუსტრიული ზრდის პროცესიდან მიიღონ სარგებელი. ეს უკანასკნელი დებულება ალბათ ძალიან კარგად ასახავს საქართველოს რეალობას. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ჩამორჩენამ განაპირობა საქართველოს მარგინალიზაცია და რეტროეკონომიკის ფორმირება [Papava, V., 2013]. ამ პერიოდში, გარდა ობიექტური სირთულეებისა (სამოქალაქო ომი, პოლიტიკური არასტაბილურობა), დაემატა არსებული ვითარების არასწორი გააზრება. ეს ძირითადად გამოიხატებოდა ორ, შეიძლება ითქვას, ურთიერთდაკავშირებულ შეცდომაში: ერთი ეფუძნებოდა პრობლემის გადაწყვეტის მცდელობას ტრადიციული სამეურნეო კავშირებისა და ბაზრების აღდგენით, მეორე კი წარუმატებლად ცდილობდა საქართველოს ინტეგრირებას მსოფლიო ეკონომიკაში ამჟამინდელი საფუძველზე. ორივე ამ შეცდომის მეთოდოლოგიური საფუძველი ერთია – ორივე შემთხვევაში ცდილობდნენ სამრეწველო რეკონსტრუქციის მეორე ფაზის შესაბამისი გადაწყვეტილებებით მომხდარიყო არსებული პრობლემების გადაწყვეტა, მაშინ, როცა მსოფლიოში მიმდინარეობდა სამრეწველო რეკონსტრუქციის მესამე ეტაპი – რობოტოტექნიკის დანერგვა. ცხადია, არასწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზე შექმნილი პროგრამები და პროექტები ვერ მოიტანდა შედეგს. ამ სავალალო ვითარებას ამძიმებდა სოციალური ფონი და საქართველოს ხელისუფლებების მუდმივი მცდელობა, გადაეღვათ პოპულისტური ნაბიჯები. მარგინალიზებული ქვეყნისათვის ამ მდგომარეობიდან გამოსვლა უნდა დაეფუძნოს რამდენიმე შესაძლო ვარიანტს - გაზარდოს საკუთარი უნარები. საკუთარი უნარების ზრდა შესაძლებელია: 1) კვლევების დაფინანსებით; 2) პუი-ს მოზიდვით; 3) ორივე ამ გზის კომბინირებით. უახლოეს წარსულში ძირითად მიმართულებად, ისევე, როგორც დღეს, მიჩნეული იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამ მიდგომის მომხრეები აყალიბებდნენ ერთი შეხედვით საკმაოდ ლოგიკურ მოდელს. მოზიდული ინვესტიციები შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ახალი სამუშაო ადგილები ნიშნავს უმუშევრობის შემცირებას და ავტომატურად სოციალური ფონის გაუმჯობესებას. ასეთ ვითარებაში კი, ყველა შემდგომ ნაბიჯს დაარეგულირებს საბაზრო მექანიზმი. ამ მოდელის ნაკლოვანება ის არის, რომ ის ეფუძნება 60-იანი ან 70-იანი წლების რეალობას. 21-ე საუკუნეში კი, თანამედროვე ინდუსტრიული რეკონსტრუქციის გათვალისწინებით, სრულიად განსხვავებული ვითარებაა. კერძოდ, კი ინდუსტრიული რეკონსტრუქციის 4.0. კონცეფციის მიხედვით, არსებობს გარკვეული პრობლემები ექსპორტის ზრდისა და დასაქმების შემცირების თვალსაზრისით. კერძოდ, ხდება ძველი სამუშაო ადგილების ჩანაცვლება ახლით, ხოლო მომუშავეთა გადაყვანა ძველი სამუშაო ადგილებიდან ახალში შეუძლებელი ხდება კვალიფიკაციის განსხვავების საფუძველზე. რეალურად, ინდუსტრია 4.0. ითხოვს თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკის ფორმირებას. ინდუსტრიული პროდუქციის წარმოებაში კონკურენტული პოზიციების შენარჩუნება მოითხოვს მუდმივად პროდუქციის დანახარჯების შემცირებას, ეს კი, თავის მხრივ, ამცირებს დასაქმებულთა რიცხოვნობას. სავსებით გასაგებია, თუ რატომ ვიღებთ ერთი შეხედვით პარადოქსულ ვითარებას – იზრდება პროდუქციის წარმოების მოცულობა, იზრდება მისი ექსპორტი, ხოლო პარადოქსულად მცირდება დასაქმებულთა რაოდენობა. ასევე საკმაოდ ურთიერთსაწინააღმდეგოა სოციალური

შედგები. ერთი მხრივ იზრდება უკვე დასაქმებულთა რეალური შემოსავლები, ხოლო უკვე დასაქმებულებიდან გარკვეული ნაწილი კარგავს სამუშაო ადგილებს. ამდენად აუცილებელია ყველა ამ მოვლენის გათვალისწინება და ამის შესაბამისად თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკის ფორმირება. ალბათ ცალსახად გასაგებია, რომ თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს ინდუსტრიული რევილუციის თანამედროვე ეტაპს. თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, კარგად გაიაზროს ყველა მიმდინარე ტენდენცია.

გარკვეული გატაცება ულტრალიბერალური მიდგომებით საკმაოდ ძვირი დაუჯდა საქართველოს, ბაზრის აბსოლუტიზაცია და სრული ჩაურევლობის “იდეალური” სურათი ილუზიაა, რომელიც იმსხვრევა რეალობასთან შესებისას. საქართველოს საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალი და სტრუქტურა ნათელი დადასტურებაა, თუ რატომ დაიმსხვრა ეს წარმოდგენები. რასაკვირველია, წარმატებული საექსპორტო სტრატეგია თანამედროვე პირობებში უნდა იზიარებდეს წარსული წარმატებული სტრატეგიების ზოგად მიდგომებს. ცხადია, უნდა ხდებოდეს თანამედროვე რეალობის გათვალისწინება. მიდგომებში იგულისხმება იმ კონკრეტული მოდელის გამოყენება, როდესაც ყველა პირობა ესადაგება კონკრეტულ ინვესტორებს. ამჟამად საწარმოებში (ინდუსტრიული რევილუციის მე-2 ეტაპი) განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ორ ფაქტორს: სტანდარტიზაციას და ხელით შრომის წარმადობას. სწორედ ამ ორი ფაქტორის შერწყმა წარმოადგენდა “აზიური ვეფხვების” წარმატების საფუძველს. პრაქტიკულად იგივე მიდგომა გამოიყენა ირლანდიამ, ოღონდ იმ დაშვების გათვალისწინებით, რომ დადგა ინდუსტრიული რევილუციის მე-3 ეტაპი (რობოტოტექნიკის გამოყენება) და მნიშვნელოვანი გახდა მომსახურების და არა პროდუქციის უფრო იაფად შეთავაზება მსოფლიო ბაზრისათვის. კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ე.წ. მომსახურების ცენტრების ირლანდიაში გახსნა. საქართველოს რეალობაში გათვალისწინებული უნდა იქნეს, თუ სად შეგვიძლია მივაღწიოთ კონკურენტულ უპირატესობას ინდუსტრიული რევილუციის მე-4 ეტაპზე, სად გვაქვს გარკვეული პოტენციალი, რომელ კონკრეტულ ინვესტორებზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული, როგორი პროექტები უნდა შევთავაზოთ მათ. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინება საექსპორტო სტრატეგიაში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ქვეყნის ინდუსტრიული პოლიტიკა. საქართველო უახლოეს წარსულში საკმაოდ გავრცელებულ მოდელს იყენებდა ინვესტორთა მოსახიდად – სახელმწიფო ახორციელებდა მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ხოლო შემდეგ ინვესტორები თვითონ წყვეტდნენ რა უნდა გაეკეთებინათ. ამ მიდგომას აქვს ორი ფუნდამენტური ხარვეზი: პირველი, ეს მიდგომა უფრო ორიენტირებულია ამჟამად საწარმოებზე, სადაც ინფრასტრუქტურა, გზები, ხიდები, საწყობები, სასაქონლო ბირჟები და სხვა ძალიან მნიშვნელოვანია, მეორე, ამჟამად საწარმოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ხელით მომუშავეთა მაღალი წარმადობა. ამდენად ამ მიდგომის ეფექტიანად რეალიზაციისათვის აუცილებელია წარმადი სამუშაო ძალის იმპორტი საქართველოში, რაც ეკონომიკური აზრით სავსებით რეალისტურია, მაგრამ აუცილებელია ასეთი გადაწყვეტილების სოციალური და დემოგრაფიული ასპექტების გათვალისწინება.

ინდუსტრიული განვითარების თანამედროვე ეტაპზე ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია: საკომუნიკაციო სისტემები, ინფორმაციის გადაცემისა და მიღების დაცული არხები, ინტერნეტწვდომა და დაფარვა. მოკლედ რომ ვთქვათ, აუცილებელია ეკონომიკის ყველა სფეროს “დიჯიტალიზაცია” (გაციფრულება); უაღრესად წარმადი სამუშაო ძალა. ამდენად ნაბიჯები უნდა გადაიდგას, ერთი მხრივ, საინფორმაციო-საკომუნიკაციო არხების განვითარების თვალსაზრისით, ახლავე ყურადღება უნდა დაეთმოს “დამატებული რეა-

ლობის” შექმნის შესაძლებლობას; მეორე მხრივ, მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული განათლების ყველა საფეხურზე ინდუსტრიული რევოლუციის მე-4 ეტაპის მოთხოვნები, გაიზარდოს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების დონე, მაქსიმალური ყურადღება დაეთმოს საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალობებს, ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით პრიორიტეტად გამოცხადდეს ციფრულ ტექნოლოგიებსა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესსტრუქტურები. ცხადია, ყველა ამ მიმართულებას ესაჭიროება დეტალიზაცია, კონკრეტული მოთხოვნების ფორმირება და მათი რეალიზაციის კონკრეტული გზების განსაზღვრა. ამ დეტალიზაციისათვის კი აუცილებელია თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკა. ცხადია, უნდა განისაზღვროს ის რეგიონები და სახელმწიფოები, რომლებიც ყველაზე ადრე დაიწყებენ ინდუსტრიული რევოლუციის თანამედროვე ეტაპის მიღწევების დანერგვას. ნებისმიერ ამ სიახლეს დასჭირდება ფასეულობათა ჯაჭვი, თუმცა ის განსხვავებული იქნება, ვინაიდან მოხდება არა პროდუქციის, არამედ მომსახურების შექმნა. ცხადია, ამ ფასეულობათა ჯაჭვში საქართველომ უნდა იპოვოს თავისი ნიშები და დაინტერესებულ ინვესტორებს შეუქმნას მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობები. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტრადიციული ფაქტორები, როგორცაა ტერიტორიული სიახლოვე, გადაზიდვის ხარჯები აზრს კარგავს და აქცენტი გადატანილი უნდა იქნეს ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა სოფტვერის შექმნის დანახარჯები, პატენტების გაფორმების სიმარტივე, საჭირო პატენტების შეძენის სიმარტივე, კვალიფიციური იურიდიული მომსახურება, საინფორმაციო-საკომუნიკაციო მომსახურების გადაცემის დაცულობა. ეს მიდგომები არ ჯდება ტრადიციულ წარმოდგენებში, თუმცა სწორედ დღეს, ახლებური მიდგომები განაპირობებს წარმატებას თანამედროვე ეტაპზე. სამგანზომილებიანი ბეჭდვის ტექნიკის განვითარება უსარგებლოს ხდის სატრანსპორტო სისტემებს, თუმცა თავისთავად ცხადია ზრდის მოთხოვნებს ამ ტიპის პრინტერებზე. სად აქვს საქართველოს პოტენციალი და სად შეუძლია ჰქონდეს კონკურენტული უპირატესობა, ამ კითხვებზე პასუხები რეალიზებული უნდა იქნას თანამედროვე ინდუსტრიულ პოლიტიკაში. აქვე აუცილებლად უნდა გამოიკვეთოს შემდეგი საკითხი, საექსპორტო სტრატეგიების ფორმირება არ წარმოადგენს მოლოდინის რეჟიმს, სანამ არ დამუშავდება ინდუსტრიული პოლიტიკა. საექსპორტო სტრატეგიები თავის მხრივ გავლენას ახდენენ ინდუსტრიული პოლიტიკის ფორმირებაზე. საექსპორტო სტრატეგიები ერთი მხრივ ახდენენ აკუმულირებას თუ რა უპირატესობები გვაქვს, მეორე მხრივ თუ რა შეღავათები უნდა მიენიჭოთ ექსპორტიორებს. ვინაიდან მომსახურების ექსპორტის დროს ძალიან რთულია დარგობრივი კუთვნილების დადგენა ამდენად შეუძლებელი იქნება ცალკეული მომსახურების პრიორიტეტების გამოყოფა. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნები, რათა ექსპორტიორები არ აღმოჩნდნენ განსხვავებულ დაბეგვრის რეჟიმში. ამდენად მიზანშეწონილია განვსაზღვროთ საექსპორტო ხელშეწყობის ფორმები, და შემდგომ განვსაზღვროთ მათი გამოყენების კონკრეტული გზები. საექსპორტო ხელშეწყობის ღონისძიებები ტრადიციულად იყოფა რამდენიმე ნაწილად: ზოგადი, საინფორმაციო, სპეციფიური. ზოგადს მიეკუთვნება საერთო საგადასახადო სისტემა, კერძოდ ექსპორტის განთავისუფლება დამატებული ღირებულების გადასახადისაგან. ექსპორტის ზოგადი მხარდამჭერი ღონისძიებებს მიეკუთვნება, საერთო საბაზო ტრენინგები, ზოგჯერ გარკვეული დარგის სპეციალისტებისათვის ორგანიზებული ტრენინგები სპეციფიურ ტექნიკურ საკითხებზე. საინფორმაციო უზრუნველყოფა მოიცავს, როგორც საბაზო, ასევე საბაზრო ინფორმაციის მიწოდებას. სპეციფიურ ღონისძიებებში შედის გამოფენა-ბაზრობებზე მონაწილეობა, სავაჭრო მისიების ორგანიზაცია. რა ცვლი-

ლებები შემოიტანა თანამედროვე ინდუსტრიამ? რა უნდა გახდეს კონკურენტული უპირატესობის საფუძველი არსებულ რეალობაში? პირველი და მთავარია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მეორე თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე მანძილი აღარაა ბარიერი. საგადასახადო შეღავათები ექსპორტისათვის პრაქტიკულად ყველგან დაწესდა და ამდენად ამ მექანიზმებით უპირატესობის მიღწევა ძალიან რთული გახდა. ზოგადად მობილობის ზრდამ კიდევ უფრო გაამართივა ახალ გეოგრაფიულ ლოკაციაში გადასვლა. ამდენად ყველა ეს ფაქტორი ერთდროულად უნდა იქნეს განხილული. მომსახურების ექსპორტის განვითარებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს იურიდიული ასპექტები. სტანდარტული საექსპორტო კონტრაქტი აფიქსირებს რამოდენიმე ადგილს: საბაჟო ტერმინალი გამგზავნის ქვეყანაში, სასაზღვრო-გამშვები პუნქტი, მიმღები ქვეყნის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი, მიმღები ქვეყნის ტერმინალი. როგორ განვსაზღვროთ იგივე სოფტვერის პროდუქციის ექსპორტირებისას? ყველა ეს ასპექტები მოითხოვს დაზუსტებას და ახლებური ვითარების გათვალისწინებით მათ ასახვას საექსპორტო სტრატეგიებში. ამდენად აუცილებელია ჩამოყალიბდეს წარმატებული საექსპორტო სტრატეგიების ფორმირებისა და განხორციელების მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ასპექტების თანამედროვე ინდუსტრიულ პოლიტიკასთან დაკავშირების მექანიზმები. აუცილებელია მკაფიოდ დაფიქსირდეს შემდეგი მოცემულობები, რასაკვირველია საექსპორტო სტრატეგიები ეფუძნებიან ინდუსტრიულ პოლიტიკას, მაგრამ ამავდროულად წარმოადგენენ ინდუსტრიული პოლიტიკის გარკვეული ახალი მიმართულებების აღმოჩენის მოწყობილობას. დროითი განზომილებების მიხედვით ინდუსტრიული პოლიტიკა უფრო ხანგრძლივადიანი უნდა იყოს ვიდრე საექსპორტო სტრატეგია. მოქნილობის თვალსაზრისით, საექსპორტო სტრატეგიები უფრო მოქნილი უნდა იყოს, ვიდრე ინდუსტრიული პოლიტიკა, ვინაიდან მათი გამოყენება ხდება კონკრეტულ საბაზრო ვითარებაში. ამასთან ერთად ინდუსტრიული პოლიტიკა უნდა ქმნიდეს პროდუქციისა და მომსახურების სპექტრს, რომლის გამოყენება დამოკიდებული იქნება ცალკეულ ბაზრებზე არსებულ ვითარებაზე. ცხადია, ინდუსტრიული პოლიტიკისა და საექსპორტო სტრატეგიების ურთიერთობა უნდა ჰგავდეს დამოუკიდებელი მოდულების ურთიერთქმედებას, როდესაც შესაძლებელია გარკვეული მოდულების აღება ინდუსტრიული პოლიტიკიდან და მისი კომბინირება საექსპორტო სტრატეგიასთან, რათა მიღებულ იქნეს კონკრეტულ ბაზარზე ორიენტირებული საექსპორტო სტრატეგია. ცხადია, ასეთ ვითარებაში ძალიან მნიშვნელოვანი ხდება თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკისა და საექსპორტო სტრატეგიების კოორდინირების საკითხები. აუცილებელია სწორად იქნეს გააზრებული მონაწილე მხარეების და საკოორდინაციო ღონისძიებების რაოდენობა. ამ საკითხებზე ვისაუბრებთ სტატიის მომდევნო ნაწილში.

3. საექსპორტო სტრატეგიების წარმატების უზრუნველყოფის ორგანიზაციული ასპექტები

წარმატებული საექსპორტო სტრატეგია უნდა დაეფუძნოს წარმატებულ ინდუსტრიულ პოლიტიკას, რაც თავისთავად გულისხმობს ამ ორი ელემენტის აუცილებლობას. თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, სამეცნიერო კვლევების დაფინანსება, უმაღლესი და უმაღლესის შემდგომი განათლების დაკავშირება პრაქტიკასთან, არსებული იდეების რეალურ პროდუქტებად და მომსახურებად გარდაქმნის ეტაპები, ინოვაციების მენეჯმენტის აპრობირებული სისტემები. თავისთავად ეს მოიცავს სხვადასხვა სტრუქტურ-

რების ურთიერთქმედებას, სადაც წარმოდგენილი იქნება ორგანიზაციულ-სამართლებრივი მრავალფეროვნება, პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის განსხვავებული მიდგომები, დანახარჯების გათვალისწინების სრულიად სხვადასხვა ფორმები. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკა არ არის ქაღალდზე არსებული დოკუმენტი, არამედ ის წარმოადგენს სამოქმედო პროგრამას, რომელსაც აქვს მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული: გააჩნვეადი მიზნები, რეალიზაციის ბერკეტები, კონტროლის მექანიზმები. საქართველოში ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობდა სხვადასხვა კონცეფციების შექმნა, რომლებიც არანაირად არ იყო გამყარებული ფინანსური რესურსებით, ეს მიდგომები უნდა დაევიწყოთ და მკაფიოდ უნდა ჩამოვყალიბოთ ინდუსტრიული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ასპექტები. პირველ რიგში საკითხი ეხება დაფინანსებას, აუცილებელია ნათლად იქნეს ხაზგასმული, რომ დაფინანსების საკითხი არ მოიცავს ახალი ფინანსური რესურსების მოზიდვას, პირველ რიგში უნდა მოხდეს არსებული ფინანსური რესურსების ოპტიმალურად განაწილება. ცხადია, ასეთი მნიშვნელოვანი და მრავალ-ასპექტიანი პოლიტიკის რეალიზაცია, როგორც აღინიშნა, წარმოადგენს კროს-სამინისტროების ფუნქციას და ამდენად რესურსები თითოეული სამინისტროს შიგნით უნდა იქნეს გადანაწილებული. სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების პრიორიტეტული მიმართულებები, ცხადია, უნდა შესაბამისად დაფინანსდეს, ცხადია, ასეთივე პრიორიტეტი უნდა იყოს შესაბამისი ახალი სამეცნიერო კადრების მომზადება და ცხადია სასკოლო პროგრამებში აუცილებელია საბუნებისმეტყველო საგნების მომზადების დონის გაზრდა. ამდენად გასაგები უნდა იყოს, თუ რომელი სპეციალობები იქნება სრულად სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული და რომელ სპეციალობებზე დადგინდება მინიმალური მოთხოვნები. ასეთივე მიდგომა უნდა განხორციელდეს საწარმოებისა და მეწარმეების წახალისებისას. მიზანშეწონილია ბიზნესის წახალისების სხვადასხვა პროგრამების გაერთიანება ერთ პროგრამაში და ამ უკანასკნელში პრიორიტეტების გამოყოფა. კარგად უნდა გავიაზროთ, რომ პოპულისტური მიდგომა – ყველას გავუწიოთ დახმარება და გავზარდოთ ბუნეფიციართა რიცხვი – არ მოიტანს სასურველ შედეგს შეზღუდული რესურსების პირობებში. არ უნდა მოხდეს ახალი სტრუქტურების ფორმირება, ვინაიდან, როგორც გამოცდილებამ აჩვენა, ხდება ძალიან დიდი ძალისხმევა ახალი სტრუქტურის შესაქმნელად, ხოლო ამ უკანასკნელის ეფექტიანობა დაბალია. მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული უკვე არსებული სტრუქტურები, როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო, ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლების პოტენციალი უნდა იქნეს ათვისებული სრულად. ცხადია, უნდა მოხდეს უკვე არსებული პროდუქციის, მომსახურების, ტექნოლოგიების ინვენტარიზაცია და ამავედროულად განისაზღვროს ყველაზე უფრო პერსპექტიული მიმართულებები.

შეუძლებელია თანამედროვე ინდუსტრიულმა პოლიტიკამ შედეგი მოიტანს 1 ან 2 წელიწადში, მაგრამ გარკვეული რეზულტატები უკვე ამ დროის განმავლობაში უნდა არსებობდეს. თანამედროვე ინდუსტრიულმა პოლიტიკამ ასევე უნდა განსაზღვროს უკვე არსებული პროდუქციის შემდგომი დიფიტიციის შესაძლებლობები. ხშირად ეს შესაძლებლობები საკმაოდ მარტივია, მაგალითად ქართულ დვინოებს ჰქონდეს თანდართული კომპიუტერული ჩიპები, სადაც ჩაწერილი იქნება ინფორმაცია როგორც საქართველოზე, ასევე ამ კონკრეტულ დვინოზე. პრაქტიკულად ეს წარმოადგენს დამატებული რეალობის კონცეფციის რეალიზაციას. თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკა თავისი მნიშვნელობით იმდენად რთული და მრავალმხრივია, რომ მისი განხორციელება არ შეიძლება იყოს ერთი სამინისტროს ან უწყების საქმე. პრაქტიკულად ესაა საქართველოს განვითარების სტრატეგია ინდუსტრიული რევოლუციის

მეოთხე ეტაპზე. ცალკე ყურადღება უნდა დაეთმოს ახალ ფასეულობათა ჯაჭვების ფორმირებაში საქართველოში მაქსიმალურად ხელშემწყობი გარემოს შექმნას, ასეთ ფასეულობათა ჯაჭვებში საქართველოს მიერ ნიშების გამოყოფას. მიზანშეწონილია, ცალკე იქნეს გააზრებული თანამედროვე სამეცნიერო კვლევებით ცენტრების შექმნის შესაძლებლობა საქართველოში.

სწორად უნდა შეირჩეს საექსპორტო სტრატეგიის მოდელი. საკითხი ეხება ექსპორტორიენტირებული საწარმოების მიერ გადაწყვეტილების მიღებას, თუ რა მოდელი გამოიყენონ: საერთაშორისო ხელშემწყობი პროგრამების ადაპტირების თუ სტანდარტიზების. ადაპტირებული პროგრამები უკეთ ითვალისწინებს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს, მაგრამ მათი რეალიზაცია უფრო ძვირია. სტანდარტიზებული პროგრამები იაფია, მაგრამ არ ითვალისწინებს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს. ამ საკითხის მიმართ მაღალია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ინტერესი. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა დადებითი კავშირი ადაპტირებასა და შედეგებს შორის [Shoham, 1999], ზოგიერთმა აჩვენა რომ არ არსებობს კავშირი [Lages, Sandy D. Jap, and David A. Griffith 2008], ხოლო ზოგიერთმა აჩვენა უარყოფითი კავშირი [Cavusgil, S. Tamer and Shaoming Zou 1994]. ამ საკითხის უკეთ განხილვისათვის მიზანშეწონილია, მოხდეს ექსპორტიორთა რანჟირება, რათა უფრო სრულად დავინახოთ სურათი და შევგვეძლოს ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღება. რანჟირების კრიტერიუმები დამოკიდებული იქნება ზომაზე, საექსპორტო გამოცდილებაზე, საექსპორტო ბაზრებზე და ა.შ.


წარმატებული საექსპორტო სტრატეგია თანამედროვე პირობებში წარმოადგენს კონკურენტულ უპირატესობაზე დაფუძნებულ კარგად გააზრებულ სექტორულ-რეგიონულ მოქმედებათა გეგმას. როგორც მოვლენათა განვითარების ლოგიკა აჩვენებს, საქართველოსათვის მიზანშეწონილია რეგიონულ სავაჭრო ბლოკებთან ურთიერთობის გააქტიურება. ამ თვალსაზრისით ალბათ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია საქართველოსა და სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს ქვეყნებთან ურთიერთობის ინტენსიფიკაცია. გეოგრაფიული სიახლოვე, ბაზრებზე თავისუფალი წვდომა და სავაჭრო ბლოკის წევრი ქვეყნების ცხოვრების მაღალი დონე და აქედან გამომდინარე ბაზრის მაღალი ტევადობა. შესაბამისად, ეს რეგიონი შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ პრიორიტეტად. ამდენად, საექსპორტო სტრატეგია შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც ხანგრძლივადიანი და მოკლევადიანი მოქმედებების ერთობლიობა. ხანგრძლივადიანი, ცხადია, იქნება თანამედროვე ინდუსტრიულ პოლიტიკაზე დაფუძნებული ღონისძიებები. ეს წარმოადგენს საექსპორტო სტრატეგიის საფუძველს. ამის შემდეგ ყალიბდება მოკლევადიანი ღონისძიებები, რომელთა ინტენსიურობა და მოქმედების კონკრეტული გეგმები დეტალიზებული იქნება რეგიონების მიხედვით. აუცილებელია დეტალურად გავწიროთ ამ ღონისძიებების ჩამონათვალი. აქ შედის საბაზრო კვლევები, სავაჭრო მისიების ორგანიზება, გამოფენა-ბაზრობებზე მონაწილეობის მიღება, საექსპორტო ოპერაციების დაზღვევა. აქვე ხაზი უნდა გაესვას შემდეგ მნიშვნელოვან საკითხს, ყველა ამ ღონისძიების გატარებას რეზულტატი მოაქვს მაშინ, როდესაც საწყისი სამუშაოები ჩატარებულია და განსაზღვრულია პრიორიტეტული საექსპორტო პროდუქტები/მომსახურება და საექსპორტო ბაზრები. სხვა პირობებში ასეთი ტიპის ღონისძიებების ჩატარება უკეთეს შემთხვევაში იქნება დაბალი ეფექტიანობის მქონე პიარული აქციები, ხოლო უარეს შემთხვევაში გადაიქცევა მორიგ არამიზნობრივად გახარჯულ თანხებად.

აუცილებელია მხედველობაში გვქონდეს უახლესი ტრენდები, ვაჭრობის ხელშემწყობის ღონისძიებებისადმი ინტერესის ახალი ტალღის გაჩენა. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა შეიმუშავა

ახალი გლობალური ინდექსი – ვაჭრობის ხელშეწყობის ინდექსი. სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ვაჭრობის ხელშეწყობის სხვადასხვა ასპექტებს. ასე მაგალითად, მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევის მიხედვით, “ვაჭრობის ხელშეწყობის ქვეშ განიხილება ნებისმიერი ქმედებები, რომლებიც ამცირებს ექსპორტის/იმპორტის ტარიფებს. ზღვრული ეფექტიანობა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში მცირდება ერთ სულზე შემოსავლების ზრდასთან ერთად, და იზრდება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლი”. გამოიყოფა ვაჭრობის ხელშეწყობის “მყარი” და “რბილი” ფაქტორები. ვაჭრობის ხელშეწყობ “მყარ” ფაქტორებში გამოიყოფა ინფრასტრუქტურა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ხოლო “რბილ” ფაქტორებში – გამჭვირვალობა/საბაჟო მენეჯმენტი და ბიზნეს გარემო” [Alberto Portugal-Perez, John S. Wilson, 2010]. ცხადია, საქართველომ აქცენტი უნდა გადატანოს ე.წ. “რბილ” ფაქტორებზე, რაც ხელს შეუწყობს საექსპორტო სტრატეგიების წარმატებით განხორციელებას.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია საექსპორტო სტრატეგიების შექმნასა და განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია. ცხადია, მონაწილეობას მიიღებენ სამთავრობო, არასამთავრობო, კერძო სექტორის წარმომადგენლები. მნიშვნელოვანია, რომ შეირჩეს ურთიერთქმედების ისეთი მექანიზმი, სადაც ყველა მონაწილე მხარე დარწმუნებულია საკუთარი ინტერესების სამართლიან დაცვასა და რეალიზაციაში. ამ მხრივ სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა მოდელებს იყენებენ. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ ბევრ ქვეყანაში არსებობდა ურთიერთქმედების გარკვეული ტრადიციები, მთავრობებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ ისინი მოქმედებენ როგორც ხალხის მიერ დაქირავებული პირები. ცხადია, ჩვენს რეალობაში, სადაც მთავრობა ნაკლებად გრძნობს თავს დაქირავებულად და უფრო მეტად თავი წარმოუდგენია, წარმმართველ ძალად, რთული იქნება კოორდინირების ისეთი მექანიზმის შემუშავება, სადაც ყველა მხარე საქმიანობის თანაბარი მონაწილე და პარტნიორია. ამდენად აუცილებელი იქნება ისეთი სტრუქტურების გამოყენება, რომლებიც თანაბრად დაცვილებული არიან როგორც სამთავრობო სტრუქტურებიდან, ასევე კერძო სექტორისაგან. გამომდინარე ამ მოცემულობიდან, საჭირო იქნება ისეთი სტრუქტურა, სადაც კერძო სექტორისა და სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან ნდობა მაღალი იქნება. ასეთად შეიძლება წარმოვიდგინოთ კონკურენტუნარიანობის საბჭო, სადაც მონაწილეობენ სამთავრობო სტრუქტურები, კერძო სექტორი, კვლევითი ორგანიზაციები. პრაქტიკულად, საბჭო წარმოადგენს სტრუქტურას, რომელიც მუდმივად მუშაობს ქვეყნისა და ცალკეული პრიორიტეტული დარგების კონკურენტუნარიანობის საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ ასეთი სამუშაოები მუდმივად მოითხოვს საკმაოდ ინტენსიური კვლევის წარმოებას. ამ ტიპის კვლევის წარმოება ერთი მხრივ აუცილებელია ტარდებოდეს ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, თუმცა მეორე მხრივ, ისინი საკმაოდ ძვირადღირებულია. აუცილებელია დაფინანსების ძალიან კარგად აპრობირებული და მოქნილი მექანიზმის ფორმირება. ცხადია, დაფინანსება არ შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო სახსრებიდან, ამდენად, მიზანშეწონილია, დაფინანსების შერეული სქემის განხორციელება. ძალიან მნიშვნელოვანია იმ საკითხის სწორად გააზრება, რომ საბჭო ამავდროულად შეასრულებს კერძო სექტორისა და სამთავრობო სტრუქტურების ურთიერთობის საკომუნიკაციო პლატფორმის როლს. აუცილებელია საბჭოში უზრუნველყოფილ იქნეს საექსპორტო პოტენციალის მქონე ყველა სექტორის თანაბარი მონაწილეობა. საბჭო წარმოადგენს სხვადასხვა ინტერესებისა და მოქმედებების მქონე ვექტორების გაერთიანებისა და საერთო გეგმების ფორმირების ყველაზე უფრო კარგად მორგებულ ინსტრუ-

მენტს. შესაძლებელია სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს რომელიმე მოდელის ბრმა კოპირება. სქემატურად ეს შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:



ცხადია, როგორც ნებისმიერი სქემატური წარმოდგენა ეს სქემაც ბოლომდე ვერ ასახავს მოვლენის ყველა მხარეს და ყველა ასპექტს, თუმცა გადმოსცემს მოვლენებისა და პროცესების განვითარების სწორ თანამიმდევრობას. ალბათ, ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ კონკურენტუნარიანობის საბჭოში ფართოდ უნდა იქნეს წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, ყველაზე უფრო ავტორიტეტული უმაღლესი სასწავლებლები.

დასკვნა. ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ცალსახად გამოიყოს საექსპორტო სტრატეგიებისა და თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკის ურთიერთობის აუცილებლობა. თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ინდუსტრიული რევოლუციის მე-4 ეტაპს. აუცილებელია კონკურენტუნარიანობის საბჭოს ფორმირება, ასევე მიზანშეწონილია მწარმოებელთა დახმარების სხვადასხვა პროგრამების გაერთიანება ერთ პროგრამაში, სადაც გაწერილი იქნება პრიორიტეტები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. O’Cass, Aron and Craig Juliann (2003), “Examining Firm and Environmental Influences on Export Marketing Mix Strategy and Export Performance of Australian Exporters”. *European Journal of Marketing*, 37 9314) 366-84.
2. Best, M.H./ Garnsey, E., Edith penrose, 1914-1996, *The Economic Journal*, 109,453, 1999, pp.187-201; Garnsey, E, *The Resource Based Theory of the Growth of the Firm*, in Ellis, k./ Gregory, a./Ragsdell,G. (eds) *Critical Issues in Systems Theory and Practice*, New York:Plenum Press 1995,pp. 239-244.
3. Papava, Vladimer, *Retroeconomics – Moving from Dying to Brisk Economy*, *Journal of Reviews on Global economics*, 2017, 6, pp 455-462.

4. Papava, V. (2013). *Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After*. New York: Nova Science Publishers.
5. Alberto Portugal-Perez, John S. Wilson, 2010 WB- Policy Research Working Paper, *Export Performance and Trade Facilitation Reform*.
6. Shoham (1999), “Bounded Rationality, Planning, Standardization of International Strategy and Export Performance: A Structural Model Examination,” *Journal of International Marketing*, 7(2), 24-50
7. Lages, Sandy D. Jap, and David A. Griffith (2008), “The Role of past Performance in Export Ventures: A Short-Term Reactive Approach,” *Journal of International Business Studies*, 39, (2), 304-325
8. Cavusgil, S. Tamer and Shaoming Zou (1994), “Marketing Strategy-Performance Relationship: An Investigation of the Empirical Link in Export market Ventures,” *Journal of International Business Studies*, 25(2), 225-245
9. Gaganidze, G.(2016). *Georgian Export Potential Utilization on the EU Market*, *Journal of International Management Studies*, Volume 16, Number 1.
10. Gaganidze, G.(2015). *Export Potential and Competitive Advantage*, scientific and practical journal, *Economics and Business*, N3.
11. Gaganidze, G.(2015). *Export Potential of Georgian Agricultural Products on the EU Market (Based on Competitive Advantages and Market Entry Modes)*, *European Journal of Business Research*, Volume 15, Number 2, ISSN326:1945-2977.
12. Gaganidze, G.(2014) *Competitive advantages of Georgian non-agricultural products on the EU Market*, International Academic Conference, *Business and Globalization*, Dubai, 2-3rd February, ABRM, ISBN 2047-2854.
13. Gaganidze, G.(2014). *Competitive Advantage of Georgian Agricultural Products on the EU Market*, International Academic Conference on Economics, Management and Marketing in Prague, (IAC-EMM 2014) 7-8, August, Conference proceedings, ISBN 978-80-905442-6-0.
14. Gaganidze, G. (2014). *Systematic Approach to Research the Competitive Advantage*, TSU, scientific and practical journal, *Economics and Business*, N4, 2014 .
15. Gaganidze, G. (2014). *Determining the production export potential index*, TSU, scientific and practical journal, *Economics and Business*, N1, January-February.
16. Silagadze, A., Zubiashvili, T. (2015). *Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia’s Economy*. *Refereed International Journal of Business and Management Studies (IJBMS)*, pp. 441–448.
17. Silagadze, A., Atelishvili, T. (2014). *The main economic indicators of the EU and Georgia “Topical problems of the development of economy and economic science.”* Collection of scholarly works of Paata Gugushvili Institute of Economics TSU, pp.50-52.

Giorgi Gaganidze

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

CREATION OF THE EFFICIENCY EXPORT STRATEGIES IN MODERN PERIOD Expanded Summary

1. Priorities for the creation of the export strategies in Georgia: products vs. markets

Efficient export strategies always reviewed as one of the main indicators of the successful economic policy provided by Government. Successful export strategies improve many fundamental economic indices, such as balance of payments, employment, budget revenues. Thus due to the importance of the topic many authors researched different aspects. In the new reality of the globalization many things are changing. Export markets become the

source for the survival for the firms, thus export opportunities aren't considered as the ways of growth, now it's the way to survive.

Different models for the export growth have been presented, as the well-known “Uppsala model”, also there are other different ideas re-firm growth. International Donor organization also were quite interested to introduce export growth models which lead to the poverty reduction or intensified economic growth of the least developed countries. In depth analysis give us opportunity to distinguish export promotion two major directions: export promotion based on the existing export models and export promotion through creation of the new export products. Export promotion strategies based on the existing export products are mainly oriented to approach new export markets, to find out opportunities of the higher price market niches on the existing markets or to produce higher value added export products on the base of the existing export products. These approaches are quite limited for Georgian export products. In the search for the new markets Georgian Government is trying to reach Free Trade Agreements with the world major players. Georgia already has FTAs with EU, CIS, EFTA and China. New Georgian Government seeks this opportunity with USA.

Should be noted that creation of the higher value added products always connected with the changes of the market counterparts, thus Georgian companies should increase transaction costs to reach deals with the new buyers. These activities always are painful for exporters. To have better understanding of the problem we need to look through export figures.

Table I. World and Georgian Exports in Thousand \$

| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | %- 2016 |
|------------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|------------|
| World exports | 18,459234570 | 18,597098844 | 18,969800644 | 16,508463885 | 15,862397780 | |
| Georgian exports | 2,376634 | 2,910582 | 2,861043 | 2,204676 | 2,113734 | 0,01 |

Source: ITC

Table II. World and Georgian service exports in thousand \$

| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | %- 2016 |
|------------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|------------|
| World Exports | 4,518752202 | 4,807800693 | 5,139077647 | 4,848731160 | 4,833009772 | |
| Georgian Exports | 2,561980 | 2,983840 | 3,043300 | 3,154558 | 3,366636 | 0,07 |

Source: ITC

Detailed analysis of the export product groups and export geography lead as to the interesting conclusions. All export promotion concepts in Georgia have one fundamental problem. Georgian export promotion strategies are based on the economic models which loose relevance in the new realities. Successful export promotion models of the 60th and 70th of the 20th century were based on the industrial development phase 2, with the stress on the relevant for that period low labor costs .From the 80th and 90th situation dramatically changed as the industrial development 3-rd phase appeared, with the stress on the robototechnics. Nowadays we are facing industrial development 4th phase with the elements such as augmented reality, internet of things and cloud computing. In these realities successful export strategies should be dramatically changed.

Nevertheless Georgian Government should use some of the models from the previous phases, for example world ice cream and chocolate producers could be interested to grow hazelnuts in Georgia, jeweler and ferroalloy producers also should be attracted by special tax incentives in case they would increase production operations in Georgia.

Same time Georgian Government should promote re-export activities, by increasing sea port infrastructure and capacities in Georgia. Special attention should be paid for the investors seeking opportunities to increase service exports from Georgia.

2. Relation between export strategies and modern industrial policy in Georgian reality

Industrial policy should be used as the basis for the creation of the export policies. Industrial policies should acknowledge all changes going in the industrial world and be ready for new challenges. In nowadays competitiveness concept changed, now company should be competitive globally. Georgian reality which has the very heavy burden of the soviet period, almost negative experience of the 90th (civil war, political instability) also was seriously damaged by the methodological mistakes. Mainly this lead to the misunderstanding of the modern development phase.

Ultraliberal economic views also didn't lead to the any positive steps in order to make good connection between industrial policy and export promotion strategies. s of the modern realities even the infrastructure should be changed and priority should be given to the communication technologies, systems for the delivery of the information, internet opportunities. Digitization of the all spheres of economy changes the meaning of the competitiveness. Now competitive are companies which have high skilled workforce, who operates with the modern communication systems.

Thus Georgian Government should undertake steps to increase competitiveness in this direction. Also crucially important would be to find out potential investors, find out their preferences and build u solid base for their investments. Georgia needs to identify its own place in the new value chains. 3D printing technology making useless transporting systems, but increasing demand on the materials for 3D printers. Finding out competitive advantages should be based on the modern industrial policy. Export strategies also influence creation of the industrial policy, as they are identifying opportunities and accumulating some preferences. Export strategies also giving clear indications what type of preferences should be given to the exporters. Industrial policy should be oriented on the long lasting objectives, while export strategies are more oriented on the utilization of the existing market opportunities.

3. Organizational Aspects of the Efficient export Strategies

As we already mentioned efficient export strategy should based on the modern industrial policy. Modern industrial policy should define the development of the higher education, research & development activities, structure of the learning process in Universities. Any industrial strategy would work if it's based on the sufficient financial and managerial resources. Successful export strategies should be well-defined sector-regional approach. Following this logic Georgia should intensify relations with the regional trading blocs. In this case special attention should be paid to Gulf States, with the high living standards and special emphasis on the quality of the exported products.

Special interest should be paid for the Country rankings by different indices. World Economic Forum now introduced the new Enabling Trade Index, which could serve as the guide to find out best export opportunities and same time bottom necks in the exporting process. Special interest should be paid for the coordination of the activities provided by different Agencies and players. In different countries are their own traditions for the coordination. In Georgian reality the coordination should be provided by the structure which has high authority from both and private sector sides. In this case would be optimal to create Competitiveness Council based on the Higher Education Institutions. Competitiveness Council would investigate major problems of the competitiveness and same time serve as the platform for the dialogue between Government, non-governmental organizations and private sector.

Key words: export strategy; competitive advantage; modern industrial policy

Nino Papachashvili

Associate Professor, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia.

Paskal Zhelev

Associate Professor, University of National and World Economy, Bulgaria

Lela Jamagidze

Assistant Professor, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia.

ECONOMIC RELATIONS BETWEEN GEORGIA AND BULGARIA: CURRENT STATE AND PROSPECTS

Summary

Currently progressive steps are being taken to develop Georgia-EU economic cooperation. A new Association Agenda for 2017-2020 has officially entered into force [Association Agenda, 2017], which enables Georgia to ensure the highest possible degree of approximation with EU standards and norms by 2020. The EU confirms its willingness to continue its eastern enlargement, while Georgia has an ambition to further expand its regional economic cooperation and ultimately become a member [Grigalashvili, p. 2, 2017]. At the Eastern Partnership Summit 2017, it was clearly stressed that the support by the EU for bilateral relations among the partners is very important, so that partner countries get real gains from the DCFTA [Eastern Partnership - 20 Deliverables for 2020, p. 20, 2017]. Considering the above political orientation, the study of the opportunities and the foundations of economic cooperation with EU countries is paramount because the success and achievements in institutional cooperation have not been adequately translated into the economic gains. Evaluation of the depth of bilateral economic cooperation is a precondition for the appropriate political decision-making. Considering the context above, the present article is devoted to the issues of Georgia's cooperation with Bulgaria. The topic is noteworthy because Georgia has not reached so large trade with any of the EU country, as it has with Bulgaria. The goal of the research is to study different areas of economic cooperation and evaluate their prospects of further development between Georgia and Bulgaria. To this end we set the following tasks: to present the general economic background indicators of both countries; to evaluate the dynamics of bilateral exports, imports, trade balance and product structure of the bilateral trade relations; to outline the main trends in the bilateral foreign direct investment flows; to present the recent developments in the other forms of foreign economic relations (tourism, money transfers and energy cooperation) between the two countries. Based on the research the paper gives the systemic evaluation of the depth of economic cooperation and provides recommendations on the future development of Georgian-Bulgarian economic ties.

Keywords: *Georgia, Bulgaria, Georgian-Bulgarian economic relations*

JEL Codes: *F13, F15, F21, F24, F29.*

Introduction

In 2017 Georgia and Bulgaria mark 25 years of the establishment of bilateral diplomatic relations. Throughout this quarter century the political, cultural, trade and economic relations have been developing on an upward trend without however reaching their full potential due to various external reasons. Historically those two nations have had friendly and dynamic ties based on their geographical proximity being situated on the west and east sides of the Black sea and their cultural and religious similarity based on common Orthodox faith.

After the collapse of the Eastern bloc Bulgaria has been faster in its strategy to return to Europe. It has already passed through the way of EU (2007) and NATO (2004) accession that Georgia considers as the top foreign policy orientation priority and is striving at now. Georgia

is now a partner country of the Eastern Partnership within the European Neighborhood Policy. Bulgaria has been actively supporting the integration efforts of Georgia and is committed to share its experience with the European and Euro-Atlantic path. The Georgian embassy in Sofia is assigned as a contact point for communication with NATO and Bulgaria will take over the Presidency of the EU in the first half of 2018 with the main priority the European perspective of the Western Balkans and the Eastern Partnership – that creates prerequisites for further boost of the bilateral dialogue and cooperation. Both countries are members of the Black Sea Economic Cooperation Organization.

For the last decade Bulgaria has been among the top 10 export markets for Georgia and also the biggest export destination within the EU as it is the closest geographically situated EU Member State. A significant stimulus for the bilateral trade and economic relations is expected by the EU-Georgia Association Agreement that entered into force in July 2016 and aims at political association and economic integration between the EU and Georgia. The agreement introduces a preferential trade regime – the Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA), provisionally applied since September 2014 that removes all import duties on goods and provides for broad mutual access to trade in services. It allows the EU and Georgian companies to set up a subsidiary or a branch office on a non-discriminatory basis. Furthermore, visa liberalization for short stays in the EU of Georgian citizens entered into force on March 28, 2017 [*EU External Action, 2017*].

Besides the EU integration developments another impetus for the Bulgarian-Georgian bilateral foreign economic relations in the coming years might come from another major player in the global economy. The “One Belt and One Road” initiative unveiled by China in 2013 will encompass land routes (the “Belt”) and maritime routes (the “Road”) with the goal of improving trade relationships in Central Asia, the Middle East and Europe primarily through infrastructure investments. Sixty-two countries (among which Georgia and Bulgaria) could see investments of up to US\$500 billion over the next five years mostly in transportation and energy projects [*Bruce-Lockhart, A., 2017*].

Approximation with the EU is impossible without expanding bilateral economic cooperation with separate EU countries. Therefore, the analysis of the achieved level of development of economic linkages in order to open potential areas of cooperation is very important, especially with relatively new EU member countries. Bulgaria is geographically close to Georgia and there are similarities in the economic structure and development levels of the two countries. Bulgaria can be a certain channel to reach the markets of more developed members of the EU. In this regard, the study of cluster development potential and making appropriate recommendations for the government and the firms can bring tangible positive outcomes.

The present paper analyzes current state of bilateral economic relations between Georgia and Bulgaria in order to reveal the areas, where existing potential is not fully used. Considering the above the major research goal of the paper is to study different areas of economic cooperation and evaluate their prospects of further development between Georgia and Bulgaria. To this end we set the following tasks: to present the general economic background indicators of both countries; to evaluate the dynamics of bilateral exports, imports, trade balance and product structure of the bilateral trade relations; to outline the main trends in the bilateral foreign direct investment flows; to present the recent developments in the other forms of foreign economic relations between the two countries and to come up with conclusion about the future prospects of Georgian-Bulgarian economic ties.

ახალი აბრეშუქის გზის ინიციატივის რეალიზაციაში როგორც საქართველოს, ისე ბულგარეთს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს და მოლოდინი დიდია ტვირთების მოზიდვასთან დაკავშირებით. ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ინდექსის ანალიზით ირკვევა, რომ თუმცა საქართველო ბევრად ჩამორჩება ბულგარეთს, ორივე ქვეყანას რიგი ნაბიჯები აქვს გადასადგმელი ლოჯისტიკური კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად, რათა რეალურად შეასრულონ მულტიმოდალური გადაზიდვების სისტემაში ევროპა-აზიის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია.

აგტორთა აზრით, სახელმწიფო, კერძო და აკადემიური სექტორების ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი და საჭიროა ინტერპერსონალური საკომუნიკაციო ქსელების განვითარება და ორივე ქვეყნის ურთიერთცნობადობის ამაღლება, რაც ხელს შეუწყობს სავაჭრო და საინვესტიციო საქმიანობის განვითარებას. ეს ნაბიჯები შეიძლება მოიცავდეს: მთავრობების მხრიდან გამოფენების ორგანიზებას, საინფორმაციო სივრცეების ადეკვატურ გამოყენებას, საელჩოების ეკონომიკური სამსახურების აქტიურ ჩართვას და ა.შ.; კერძო სექტორის მხრიდან შესაძლებელია ერთობლივი ტურების ინიცირება და ორგანიზება; აკადემიური წრეების მხრიდან საჭირო და აუცილებელია კვლევების ინიცირება და განხორციელება ორმხრივი თანამშრომლობის პოტენციური სფეროების გამოსავლენად; გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღება არა მარტო გამოცდილების გაზიარების, არამედ სხვა კულტურის "აღმოჩენის" და კომუნიკაციის გაფართოებისთვის, რაც თავის მხრივ შესაძლოა ახალი ბიზნესების საფუძვლად იქცეს. მნიშვნელოვანია იმ საქონელთა საექსპორტო პოტენციალის შეფასება, რომელიც ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი საქართველოს-ბულგარეთის საგარეო ვაჭრობაში; ასევე, საექსპორტო და გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში ჩართვის შესაძლებლობების გამოვლენა კლასტერების განვითარების კონტექსტით. ეს ნაბიჯები მაკროეკონომიკურ დონეზე ეფექტიანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო მიკროდონეზე არსებული და პოტენციური ფირმების ეფექტიან ფუნქციონირებას შეუწყობს ხელს, რაც უზრუნველყოფს ღრმა და მტკიცე ორმხრივ ეკონომიკურ კავშირებს და გაამყარებს პოლიტიკურ ორიენტირებს.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ბულგარეთი, საქართველო-ბულგარეთის ეკონომიკური ურთიერთობები.

JEL Codes: F13, F15, F21, F24, F29.

ინოვაციური ეკონომიკა
INNOVATIVE ECONOMY

Tea Lazarashvili

Doctor of economics,

Caucasus International University

Associate Professor

THE CHARACTERISTICS OF THE FORMATION OF NATIONAL INNOVATIVE SYSTEMS AT THE MODERN STAGE

Summary

The article discusses the formation of the national innovative systems and factors influencing them. Are highlighted those signs of general national systems characteristic to them as interactive blocks. In particular creative block, technology transfer block, production block and staff training block.

Analysis of the national innovation systems in the world has shown that 5 basic types of national innovation systems are explicit. These are: euroatlantic, easterasian, three-dimensional spiral and four-dimensional spiral model.

Each system is characterized by their peculiarities and accordingly the countries where these systems are used.

Keywords: *National Innovation System, Atlantic, Oriental, Triple Spiral.*

Introduction

At the beginning of the XXI century the change of the main factor of economic development started, which laid the basis for the formation of a new type of economy, where the knowledge factor plays a decisive role, while knowledge production is the source of economic growth. In this case new forms of scientific knowledge, new technologies, innovative processes, goods and services systems and business organizations are dominant of economic growth. Innovations will turn into a strategic form of economic growth, affect the structure of public production, change the face of the economic organization of society and eventually promote stabilization of the social situation in the country. The formation of national innovative systems is in progress in relatively developed countries. Formation of different types and models of national innovation systems depends on the country's national peculiarities and economic potential.

Common signs of national innovation systems

While national innovation systems differ significantly from each other, they have common signs, which include a combination of interactive blocks. These blocks are: creative block, technology transfer block, production block and staff training block.

The creative block is often called the Knowledge Block, which includes universities, scientific institutes, social networks, which provide informal interaction of researchers from different institutions and universities.

Various mediators are integrated into the technology transfer block. Nonprofit organizations of professional experts who form a special environment with wide network connections and provide authors' contacts with potential buyers.

The financing block includes sources of funding needed for the transformation of the idea into the experimental sample and then for its mass production. The three sources of external financing are known: bank credit, selling of innovations and venture financing.

There are two alternative options for the innovative production organization in the production block: 1. Such a production can be involved in manufacturing structure of any major firm and accordingly the advantage of vertical integration, which reduces transaction costs. 2. Creating a new enterprise where the production transaction costs are minimized at the expense of small size.

The staff training block is focused on formation of scientific personnel.

The opinion of both domestic and foreign researchers is unmatched in relation to the blocks of national innovations. Some believe that the main elements of the national innovation system can be combined in 6 major blocks, while others – in 10. No matter how many elements national innovation systems contain, they generate knowledge and prepare innovative staff; Create innovative infrastructure, produce innovative products and carry out state policy. The interaction between the blocks is carried out according to the following schemes: "state-science", "science-production", "state-production". According to this scheme, the role of the private sector is based on its own research and development of technologies and innovations. The main role of the state is to promote production in the complex of the fundamental knowledge and strategic technologies and to create infrastructure and positive institutional conditions for innovative activity. Various options for realizing this conditional model are forming national innovation systems.

National Innovation System Models

Analysis of the national innovation systems in the world has shown that 4 main types of national innovation systems are classified. These are: Euro-Atlantic, Eastern-Asian style, alternative and triple spiral.

The Euro-Atlantic model is a complete innovative cycle model, which includes all the stages from the emergence of innovative ideas to mass production of finished products. In the countries where this model is used, all components of the innovation system are presented: fundamental and applied sciences, research and development, creation of experimental samples and their putting in mass production. As a rule, the model is used by developed countries that are leading the world competitiveness of national economies. These countries are: Great Britain, Germany, France and others.

The Eastern Asian model is distinguished by the fact that there is no stage for the formation of a fundamental idea in its innovation cycle. Innovative systems based on this model have virtually no components of fundamental science. This model is used by the countries of the East Asia region. These include: Japan, South Korea, Hong Kong, Taiwan and others. East Asian countries, which are oriented on high-tech products, are borrowing technologies from "traditional" model countries. Japan's innovative system is considered a classic example of the innovative development of this model.

An alternative model of innovative development is predominantly used in agricultural countries, which lack significant resources in the field of fundamental and applied science, as well as rich processing technologies, etc. In such an innovation system not only a block of fundamental and applied science is represented weaklog, but a high-tech component too. Countries that do not have the opportunity to develop new technologies, in innovative policies they focus on training, on the fields of economics, finances, management, labor, sociology and psychology, as well as on development of light industry, creative industry and recreational sectors. Major attention is paid to the management for the representatives of transnational corporations, local banks and international political structures. An East Asian model of innovative development is used in Thailand, Chile, Turkey, Portugal and others.

As for the "triple-spiral" model, which has developed in the US in the last decade, is fundamentally different from the above models not only with the structure of the national innovative system, but also by the mechanism of interaction with its individual elements. The

process of forming individual elements of this model has been observed in some of Western Europe Countries and Japan.

Let's briefly consider each of them.

The Euro-Atlantic model of the national innovation system is widely developed in Western European countries, with many years of scientific traditions and experience. After World War II, these countries gradually changed the priorities of the research and emphasized the relatively cheap means of receiving scientific and technical information. For example, in the late 1940s, Great Britain refused long-term research in nuclear physics and emphasized the study of the biological properties of radio astronomy and high-molecular substances. Great Britain has achieved great success and laid the basis for two fundamental scientific disciplines: astrophysics and molecular biology. Today, the British Innovation System is concentrated around the world class universities such as Oxford, Cambridge, University of London and others. The development of Great Britain's innovation system has occurred due to the development of the board of innovative technologies strategy and innovation strategy of long-term development in the early 2000s. The Technological Strategy Board is implementing investments in new technologies and supports their development and commercialization. In addition, two types of innovative centers are created in the country. The first type is designed to develop specific technologies and promote their use in terms of business needs and capabilities. The second type of innovative centers are focused on for a certain sectors of economy or market the unification of science and technology.

In Italy and Germany, national innovation systems are concentrated around large universities.

As for the small European countries, national innovation systems are focused on the development of fundamental science in universities that are funded by the state. These countries are: Sweden, Netherlands, Denmark, Switzerland, Finland. They have an important place in innovative systems in the National Academy of Sciences. In some of them there are institutions of higher studies that provide highly skilled staff in the field of fundamental science. Applied research in small European countries is mainly funded by a grant project with large transnational corporations within the joint project. In addition, small and medium businesses are actively involved in financing such studies. Any country has national characteristics to build national innovation systems. For instance, in addition to universities in Denmark, a significant part of the innovative system is sectoral scientific-research institutes attached to various ministries and scientific researches in accordance with the requirements of the relevant ministry. There is a system of institutes that are independent consulting companies that develop and sell their knowledge and technological services to private enterprises and state institutions. These institutions are non-profit organizations created by the Ministries of Science, Technology and Innovation and are engaged in the following main directions: independently development of Know-how; Participation in joint projects and commercial activities together with state scientific-research institutions and private companies,.

In the Western European countries the processes of unification of national innovations are underway in united scientific-technical and innovative space. For this purpose special mechanisms have been developed that promote the implementation of the new innovative strategy of the European Union. Unified European Innovative Space is a complex interdependence between the level of formation, the constituent elements and instruments. The national innovation system is constantly changing, new forms of cooperation emerge. Transnational cooperation strengthens and expands the united European innovation system.

The East Asian region has developed an eastward model of the national innovative system that differs first from other models with its structure which is expressed in the fact that universities here as a fundamental development center play a much smaller role than research laboratories of corporations. The typical example of this is Japan, where innovation system is

focused primarily on technical innovations and the latest technologies and not on fundamental knowledge.

The Japanese National Innovation System was gradually emerging, and it consisted mainly of 3 stages. The first phase – the 50-80s of the 20th century, the second stage – from the 80s to the year 2000 and the third stage - from the beginning of the XXI century. Each phase is distinguished by the peculiarities that were caused by the policy conducted in scientific, technical, educational and social spheres.

The formation of the Japanese National Innovation System is mainly based on national fundamental research by leading overseas technologies and know-how, based on their original designs and scientific-technical achievements.

It is noteworthy that most of the fundamental studies are taking place in universities and state laboratories in Japan. The main part of expenditure on scientific research and experimental projects is of the private sector in Japan, which contributed to the success of this country in the areas of technical progress related to the production of consumer goods.

In countries with no significant scientific potential, where there is no fundamental and applied science block, an alternative model of innovative development is formed. Examples of this model are the National Innovation System: Thailand, Chile, Turkey, Portugal and others. When forming a national innovation system Thailand and Chile prefer to develop innovative management of agriculture and to borrow new technologies and develop them. Innovative infrastructure is gradually developing, which includes the strategy elaboration of innovative development and the competitiveness of national economy. It is noteworthy that fundamental science in these countries is predominantly in universities. Leading national universities enjoy government support. It is an alternative model for the development of national innovative development that does not include the creation of a complete production cycle of fundamental science and high technologies that are very beneficial for those countries who do not have a strong financial and organizational expenditure.

The third model, known as the Triple Spiral Model, is the latest model of the formation of the National Innovative System, which has developed on the basis of the Euro-Atlantic model, but has not yet completed its form in any country. Most of it is developed in the US. At the beginning of the XXI century, the triple spiral theory laid the foundation for a triple-shaped model. The use of three-dimensional spiral model for innovative development implies the interaction of three institutions (science-state-business) and the creation of an innovative product at each stage. It is a dynamic model of interorganizational interactions between the economy and the evolution of the society. Previously, in the industrial era was linear, in this model are already created spiral structures that enable institutions to change and maintain some of the characteristics of each other. Its main elements are: 1. The community based on scientific knowledge is characterized by the strengthening of the role of universities in interaction with industry and government; 2. The three institutions - the university, the state and the business are working to cooperate, while the innovative constituents are generated from this interaction rather than the state initiative; 3. In addition to traditional functions, each of these three institutions is partially taking over the functions of other institutional spheres, and the realization of non-traditional functions is an innovative source. In practice it is implemented as follows: Universities who are engaged in education and scientific research, through the creation of new companies in the incubators of the university, have contributed to the development of the economy. Business is partially engaged in educative services, and the state, besides its traditional legislative and regulatory role is a public entrepreneur and venture investor. The leading role in this model is given to universities that transform into entrepreneurial universities or industrial types of universities, use knowledge in practice and result in new educational disciplines.

It is noteworthy that the complicated type of the three-dimensional spiral – the fourth-spiral model is worked out that deals with interactive network relations at the national level.

Because other institutes have also started to influence innovative processes in the form of different social layers, this circumstance has raised the issue of adding a fourth element to the triple spiral. It is considered that the fourth sphere characterizes better the modern postindustrial economy than the triple, caused by the acquisition of a vital role for civil society in the XXI century, in the creation and development of new well-being and values.

Conclusion

The overseas experience of the formation of different types of national innovations suggests that in most countries today, they are looking forward to innovative development and are thus choosing a model of a national innovation system that is most relevant and capable of their economy. In addition, the selection of a specific model should be determined by the level of education and science of the country's economic development.

Establishment and development of a national innovation system is a long process for the economy of any country where business, state and science are very closely interconnected and in addition to their traditional functions, they acquire non-traditional functions and perform them. However, it should be noted that the rapid success of the countries that have great scientific and educational potential will enable them to quickly develop and implement innovative products in the industry. In order to do all this, there is a need for harmonious relationships between science and business, which is impossible without the active protectionist policies of the state.

References

1. Avdokushin E.F. (2010). The national Innovation System of Japan.// Issues of the New Economy №4 (16).
2. Global Transformation Innovation System. (2010). Under edition of #1. Ivanov, M., IMEMO RAN.
3. Itskovits G. (2011). Model of Triple Spiral// Innovation Russia, #4.
4. Katikov D.D., Maligin V.E., Smorodinskaia N.V. (2012), Institutional Environment of Globalized Economy: Development of Network Interaction. M. Institute of Economy
5. Review of international experience of innovative development. Science and Technology of Russia. www.strf.ru/material.aspx?d_no=39679
6. Sergeev V.M. Aleseenkova E.S., Nechaev V.D. (2008). Typology of the Models of Innovation Development//Politiya, No. 4(51).
7. http://kapital-rus.ru/articles/article/modeli_formirovaniya_nacionalnyh_innovacionnyh_sistem/

თეა ლაზარაშვილი

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
განყოფილების გამგე,
აკაკასის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

**ეროვნული ინოვაციური სისტემების ფორმირების თავისებურებები
თანამედროვე ეტაპზე**

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ეროვნული ინოვაციური სისტემების ფორმირება და მათზე მოქმედი ფაქტორები. გაშუქებულია ეროვნული ინოვაციური სისტემებისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშან-თვისებები ურთიერთმოქმედი ბლოკების სახით. კერძოდ: კრეატიული ბლოკი, ტექნოლოგიების ტრანსფერის ბლოკი, წარმოების ბლოკი და კადრების მომზადების ბლოკი.

მსოფლიოში არსებული ეროვნული ინოვაციური სისტემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ გამოკვეთილია ეროვნული ინოვაციური სისტემების 5 ძირითადი ტიპი. ესენია: ევროატლანტიკური, აღმოსავლეთაზიური, სამმაგი სპირალის და ოთხმაგი სპირალის მოდელი.

დახასიათებულია თითოეული სისტემა, გამოკვეთილია მათი თავისებურებები და შესაბამისად ის ქვეყნები, სადაც გამოყენებულია ეს სისტემები.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული ინოვაციური სისტემა, ევროატლანტიკური, აღმოსავლეთაზიური, სამმაგი სპირალი.

შესავალი

XXI საუკუნის დასაწყისში დაიწყო ეკონომიკური განვითარების ძირითადი ფაქტორის ცვლილება, რამაც საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირებას, სადაც ცოდნის ფაქტორი გადამწყვეტ როლს თამაშობს, ხოლო ცოდნის წარმოება ეკონომიკური ზრდის წყაროს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ეკონომიკური ზრდის დომინანტი მეცნიერული ცოდნის, ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციური პროცესების, საქონლისა და მომსახურების სისტემების და ბიზნესის ორგანიზაციის ახალი ფორმები ხდება. ინოვაციები ეკონომიკური ზრდის სტრატეგიულ ფორმად გადაიქცევა, ზემოქმედებს საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურაზე, ცვლის საზოგადოების ეკონომიკური ორგანიზაციის სახეს და საბოლოოდ ქვეყანაში სოციალური სიტუაციის სტაბილიზებას უწყობს ხელს. ეროვნული ინოვაციური სისტემების ფორმირების პროცესი შედარებით ინტენსიურად განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს. ეროვნული ინოვაციური სისტემების სხვადასხვა ტიპისა და მოდელის ფორმირება დამოკიდებულია ქვეყნის ეროვნულ თავისებურებებსა და ეკონომიკურ პოტენციალზე.

ეროვნული ინოვაციური სისტემების საერთო ნიშნები

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ინოვაციური სისტემები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მათ გააჩნიათ საერთო ნიშნები, რომელიც მოიცავს ურთიერთმოქმედი ბლოკების ერთობლიობას. ეს ბლოკებია: კრეატიული ბლოკი, ტექნოლოგიების ტრანსფერის ბლოკი, წარმოების ბლოკი და კადრების მომზადების ბლოკი.

კრეატიულ ბლოკს ხშირად ცოდნის წარმომშობ ბლოკსაც უწოდებენ, მასში შედის უნივერსიტეტები, სამეცნიერო ინსტიტუტები, სოციალური ქსელები, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა ინსტიტუტებიდან და უნივერსიტეტებიდან მკვლევარების არაფორმალურ ურთიერთობებს.

ტექნოლოგიების ტრანსფერის ბლოკში გაერთიანებული არიან სხვადასხვა შუამავლები, მ.შ. პროფესიონალი ექსპერტების არაკომერციული ფონდები, რომლებიც ფართო ქსელური კავშირებით, განსაკუთრებული გარემოს ფორმირებას ახდენენ და უზრუნველყოფენ კრეატიული იდეების ავტორთა კონტაქტებს პოტენციურ მყიდველებთან.

ფინანსირების ბლოკი მოიცავს დაფინანსების წყაროებს, რომელიც საჭიროა საცდელ ნიმუშში იდეის ტრანსფორმაციისა და შემდგომ მის მასობრივ წარმოებაში გაშვებისათვის. საგარეო ფინანსირების 3 წყაროა ცნობილი: საბანკო კრედიტი, ინოვაციების გაყიდვა და ვენჩურული დაფინანსება.

წარმოების ბლოკში ინოვაციური წარმოების ორგანიზაციის ორი ალტერნატიული ვარიანტია შესაძლებელი: 1. ასეთი წარმოება შეიძლება ჩაერთოს რომელიმე მსხვილი ფირმის საწარმოო სტრუქტურაში და შესაბამისად გამოვიყენოთ ვერტიკალური ინტეგრაციის უპირატესობა, რაც ტრანსაქციურ ხარჯებს ამცირებს. 2. ახალი საწარმოს შექმნა, სადც საწარმოო ტრანსაქციური დანახარჯების მინიმიზება ხდება მცირე ზომების ხარჯზე.

კადრების მომზადების ბლოკი ორიენტირებულია სამეცნიერო კადრების ფორმირებაზე.

სამამულო და უცხოელი მკვლევარების აზრი ეროვნული ინოვაციური სისტემების ბლოკებთან მიმართებაში არაერთგვაროვანია. ნაწილი მიიჩნევს, რომ ეროვნული ინოვაციური სისტემის ძირითადი ელემენტები 6 ძირითად ბლოკში შეიძლება გაერთიანდეს, კი – 10-ში. რამდენი ელემენტისაგანაც არ უნდა შედგებოდეს ეროვნული ინოვაციური სისტემები, ისინი ახდენენ ცოდნის გენერირებას და ინოვაციური კადრების მომზადებას; ქმნიან ინოვაციურ ინფრასტრუქტურას, აწარმოებენ ინოვაციურ პროდუქტს და ატარებენ სახელმწიფო პოლიტიკას. ბლოკებს შორის ურთიერთქმედება შემდეგი სქემის მიხედვით ხორციელდება: „სახელმწიფო-მეცნიერება“, „მეცნიერება-წარმოება“, „სახელმწიფო-წარმოება“. ამ სქემის მიხედვით, კერძო სექტორის როლი გამოიხატება საკუთარი კვლევების საფუძველზე ტექნოლოგიების შემუშავებასა და ინოვაციების ათვისებაში. სახელმწიფოს ძირითადი როლი მდგომარეობს წარმოების ხელშეწყობაში ფუნდამენტური ცოდნისა და სტრატეგიული ხასიათის ტექნოლოგიების კომპლექსში და ინოვაციური საქმიანობისათვის ინფრასტრუქტურისა და კეთილსასურველი ინსტიტუციური პირობების შექმნაში. ამ პირობითი მოდელის რეალიზაციის სხვადასხვა ვარიანტები ეროვნული ინოვაციური სისტემების ფორმირებას ახდენს [Сергеев В.М. 2008].

ეროვნული ინოვაციური სისტემის მოდელები

მსოფლიოში არსებული ეროვნული ინოვაციური სისტემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ გამოკვეთილია ეროვნული ინოვაციური სისტემის 4 ძირითადი ტიპი. ესენია: ევროატლანტიკური, აღმოსავლეთაზიური, ალტერნატიული და სამმაგი სპირალის [Козлова Ж.М., 2011].

ევროატლანტიკური მოდელი სრული ინოვაციური ციკლის მოდელს წარმოადგენს, ანუ ის მოიცავს ინოვაციური იდეის წარმოქმნიდან მზა პროდუქციის მასობრივ წარმოებამდე ყველა ეტაპს. იმ ქვეყნებში, სადაც ეს მოდელი გამოიყენება, ინოვაციური სისტემის სტრუქტურის ყველა კომპონენტია წარმოდგენილი: ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებები, კვლევები და შემუშავებები, საცდელი

ნიმუშების შექმნა და მათი გაშვება მასობრივ წარმოებაში. როგორც წესი, ასეთ მოდელს იყენებენ განვითარებული ქვეყნები, რომლებიც ეროვნული ეკონომიკების მსოფლიო კონკურენტუნარიანობის რეიტინგში ლიდერობენ. ეს ქვეყნებია: დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და სხვ.

აღმოსავლეთაზიური მოდელი გამოირჩევა იმით, რომ მის ინოვაციურ ციკლში ფუნდამენტური იდეის ფორმირების სტადია არ არსებობს. ამ მოდელზე დაფუძნებულ ინოვაციურ სისტემებს პრაქტიკულად არ გააჩნია ფუნდამენტური მეცნიერების კომპონენტი. აღნიშნული მოდელი გამოიყენება აღმოსავლეთ აზიის რეგიონის ქვეყნების მიერ. ესენია: იაპონია, სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, ტაივანი და სხვა. აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, რომლებიც მაღალტექნოლოგიური პროდუქტის ექსპორტზე არიან ორიენტირებულნი, სუსხულობენ ტექნოლოგიებს „ტრადიციული“ მოდელის მქონე ქვეყნებისაგან. ინოვაციური განვითარების აღნიშნული მოდელის კლასიკურ ნიმუშად იაპონიის ინოვაციური სისტემა ითვლება.

ინოვაციური განვითარების ალტერნატიული მოდელი უპირატესად სოფლის მეურნეობის ქვეყნებში გამოიყენება, რომელთაც არ გააჩნიათ მნიშვნელოვანი პოტენციალი ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების სფეროში, აგრეთვე ნედლეულის მდიდარი მარაგი, გადამამუშავებელი ტექნოლოგიები და ა.შ. ასეთ ინოვაციურ სისტემაში სუსტადაა ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი არა მარტო ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების ბლოკი, არამედ მაღალტექნოლოგიური კომპონენტი. ქვეყნებს, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, მიადწიონ შესამჩნევ შედეგებს ახალი ტექნოლოგიების შექმნაში, ინოვაციურ პოლიტიკაში აქცენტს აკეთებენ კადრების მომზადებაზე ეკონომიკის, ფინანსების, მენეჯმენტის, შრომის, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის სფეროებზე და აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის, კრეატიული ინდუსტრიის და რეკრეაციის ცალკეული დარგების განვითარებაზე. დიდი ყურადღება ეთმობა ტრანსნაციონალური კორპორაციების, საერთაშორისო ბანკების და საერთაშორისო პოლიტიკური სტრუქტურების ადგილობრივი წარმომადგენლებისათვის მენეჯმენტის მომზადებას. ინოვაციური განვითარების აღმოსავლეთაზიური მოდელი გამოიყენება ტაილანდში, ჩილეში, თურქეთში, პორტუგალიასა და სხვ.

რაც შეეხება „სამზაგი სპირალის“ მოდელს, რომელმაც, ბოლო ათწლეულში, აშშ-ში პოვა განვითარება, პრინციპულად განსხვავებულია ზემოთ აღნიშნული მოდელებისაგან არა მარტო ეროვნული ინოვაციური სისტემის სტრუქტურით, არამედ მისი ცალკეული ელემენტების ურთიერთქმედების მექანიზმითაც, დღეისათვის ამ მოდელის ცალკეული ელემენტების ფორმირების პროცესი შეიმჩნევა დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასა და იაპონიაში [7].

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ეროვნული ინოვაციური სისტემის ევროატლანტიკური მოდელი დასავლეთ ევროპის ქვეყნებშია ფართოდ განვითარებული, რომელთაც მრავალწლიანი სამეცნიერო ტრადიციები და გამოცდილება გააჩნიათ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ამ ქვეყნებმა კარდინალურად შეცვალეს კვლევის პრიორიტეტები და აქცენტი აიღეს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მიღების შედარებით იაფ საშუალებებზე. მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა 1940 წლის ბოლოს უარი თქვა ბირთვული ფიზიკის სფეროში გრძელვადიან კვლევებზე და აქცენტი გააკეთა რადიოასტრონომიისა და მაღალმოლეკულური ნივთიერებების ბიოლოგიური თვისებების შესწავლაზე. დიდმა ბრიტანეთმა მიადწია ძალიან დიდ წარმატებებს და საფუძველი ჩაუყარა ორ ფუნდამენტურ სამეცნიერო დისციპლინას: ასტროფიზიკასა და მოლეკულურ ბიოლოგიას. დღესდღეობით ბრიტანული ინოვაციური სისტემა კონცენტრირებულია მსოფლიო დონის უნივერსიტეტების გარშემო, როგორცაა გოქსფორდი, კემბრიჯი, ლონდონის უნივერსიტეტი და სხვა. დიდი ბრიტანეთის ინოვაციური სისტემის განვითარებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი 2000-

იანი წლების დასაწყისში ტექნოლოგიური სტრატეგიების საბჭოსა და გრძელვადიანი განვითარების ინოვაციური სტრატეგიის მიღებამ, ტექნოლოგიური სტრატეგიების საბჭო ახორციელებს ინვესტიციებს ახალი ტექნოლოგიების შექმნაში და მხარს უჭერს მათ განვითარებასა და კომერციალიზაციას. გარდა ამისა, ქვეყანაში იქმნება ორი ტიპის ინოვაციური ცენტრები. პირველი ტიპი ორიენტირებულია სპეციფიკური ტექნოლოგიების შემუშავებასა და ბიზნესის მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად მათი გამოყენების ხელშეწყობაზე. ინოვაციური ცენტრების მეორე ტიპი ფოკუსირდებიან ეკონომიკის ან ბაზრის გარკვეულ სექტორზე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების გაერთიანებისათვის [5].

იტალიასა და გერმანიაში ეროვნული ინოვაციური სისტემები კონცენტრირებულია მსხვილი უნივერსიტეტების გარშემო.

რაც შეეხება მცირე ევროპულ ქვეყნებს, აქ ეროვნულ ინოვაციურ სისტემებში აქცენტი კეთდება უნივერსიტეტებში ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებაზე, რომლებიც უპირატესად სახელმწიფოს მიერ ფინანსირდებიან. ამ ქვეყნებს მიეკუთვნება: შვეცია, ნიდერლანდები, დანია, შვეიცარია, ფინეთი. მათ ინოვაციურ სისტემებში მნიშვნელოვანი ადგილი ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიებს უკავია. ზოგიერთ მათგანში მოქმედებს უმაღლესი კვლევების ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას ფუნდამენტური მეცნიერების სფეროში. გამოყენებითი კვლევები მცირე ევროპულ ქვეყნებში უმეტესად გრანტის ხარჯზე ფინანსირდება მსხვილ ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან ერთობლივი პროექტის ფარგლებში. ამასთან, ასეთი კვლევების ფინანსირებაში აქტიურად მონაწილეობს მცირე და საშუალო ბიზნესი. ეროვნული ინოვაციური სისტემების მშენებლობაში ნებისმიერ ქვეყანას გააჩნია ეროვნული თავისებურებები. მაგალითად დანიაში, უნივერსიტეტების გარდა, ინოვაციური სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები წარმოადგენს, რომლებიც მიმაგრებული არიან სხვადასხვა სამინისტროებთან და სამეცნიერო კვლევებს შესაბამისი სამინისტროს მოთხოვნების შესაბამისად ატარებენ. არსებობს კიდევ ინსტიტუტების სისტემა, რომლებიც წარმოადგენენ დამოუკიდებელ კონსალტინგურ კომპანიებს, რომლებიც შეიმუშავებენ და ყიდიან გამოყენებით ცოდნას და ტექნოლოგიურ მომსახურებას კერძო საწარმოებსა და სახელმწიფო დაწესებულებებზე. ეს ინსტიტუტები არაკომერციულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ, რომლებიც შექმნილია მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების სამინისტროების მიერ და საქმიანობას შემდეგი ძირითადი მიმართულებით ახორციელებენ: ნოუ-ჰაუს დამოუკიდებლად განვითარება; სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და კერძო კომპანიებთან ერთად ერთობლივ პროექტებში მონაწილეობა და კომერციული საქმიანობა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარეობს ეროვნული ინოვაციური სისტემების გაერთიანების პროცესები ერთიან სამეცნიერო-ტექნიკურ და ინოვაციურ სივრცეში. ამ მიზნით შემუშავებულია სპეციალური მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობენ ევროკავშირის ახალი ინოვაციური სტრატეგიის რეალიზაციას. ერთიანი ევროპული ინოვაციური სივრცე წარმოადგენს რთულ ურთიერთდამოკიდებულებას ფორმირების დონეს, შემაღლენელ ელემენტებსა და ინსტრუმენტებს შორის. ეროვნული ინოვაციური სისტემა მუდმივად იცვლება, წარმოიქმნება თანამშრომლობის ახალი ფორმები. ტრანსნაციონალური კორპორაცია აძლიერებს და აფართოებს ერთიან ევროპულ ინოვაციურ სისტემას [Иванова Н.И., 2010].

აღმოსავლეთ აზიის რეგიონში განვითარდა ეროვნული ინოვაციური სისტემის აღმოსავლეთაზიური მოდელი, რომელიც სხვა მოდელებისაგან, პირველ რიგში, თავისი სტრუქტურით განსხვავდება, რაც იმაში გამოიხატება, რომ აქ უნივერსიტეტები, როგორც ფუნდამენტური შემუშავებების ცენტრი, თამაშობენ გაცილებით მცირე როლს, ვიდრე კორპორაციებთან არსებული კვლევითი ლაბორატორიები.

ამის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს იაპონია, სადაც ინოვაციური სისტემა ორიენტირებულია ძირითადად ტექნიკურ ინოვაციებსა და უახლეს ტექნოლოგიებზე და არა ფუნდამენტური ცოდნის წარმოებაზე.

იაპონიის ეროვნული ინოვაციური სისტემა თანდათანობით ყალიბდებოდა და ძირითადად 3 ეტაპისაგან შედგებოდა. პირველი ეტაპი XX საუკუნის 50-80-იანი წლები, მეორე ეტაპი – 80-იანი წლებიდან 2000 წლამდე და მესამე ეტაპი - XXI საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. თითოეული ეტაპი გამოირჩევა თავისებურებით, რაც გამოწვეული იყო იმ პოლიტიკით, რომელიც ტარდებოდა სამეცნიერო, ტექნიკურ, საგანმანათლებლო და სოციალურ სფეროში.

იაპონიის ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირება ხორციელდება ძირითადად მოწინავე საზღვარგარეთული ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს იმპორტირებით ეროვნული ფუნდამენტური კვლევების საფუძველზე, საკუთარ ორიგინალურ შემუშავებებსა და სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებზე დაყრდნობით [Авдокушин Е. Ф., 2010].

საყურადღებოა, რომ ფუნდამენტური კვლევების უმეტესი ნაწილი იაპონიაში უნივერსიტეტებსა და სახელმწიფო ლაბორატორიებში მიმდინარეობს. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე ხარჯების ძირითადი ნაწილი იაპონიაში ეკუთვნის კერძო სექტორს, რამაც განაპირობა ამ ქვეყნის წარმატებები ტექნიკური პროგრესის იმ მიმართულებებში, რომლებიც დაკავშირებულია მასობრივი მოთხოვნის სამომხმარებლო საქონლის წარმოებათან.

ქვეყნებში, რომელთაც არ გააჩნიათ მნიშვნელოვანი მეცნიერული პოტენციალი, ანუ სადაც საერთოდ არ არსებობს ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების ბლოკი, ფორმირდება ინოვაციური განვითარების ალტერნატიული მოდელი. ამ მოდელის ეროვნული ინოვაციური სისტემის მაგალითებია: ტაილანდი, ჩილე, თურქეთი, პორტუგალია და სხვა. ტაილანდი და ჩილე ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებისას უპირატესობას ანიჭებენ სოფლის მეურნეობის სფეროს ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებაზე და ახალი ტექნოლოგიების სესხებასა და არა მათ შემუშავებებზე. თანდათან ხდება ინოვაციური ინფრასტრუქტურის შემუშავება, რომელიც მოიცავს ინოვაციური განვითარების და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიის შემუშავებას. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებში ფუნდამენტური მეცნიერებები უპირატესად უნივერსიტეტებში ვითარდება. წამყვანი ეროვნული უნივერსიტეტები სარგებლობენ მთავრობის მხარდაჭერით. შექმნილია ეროვნული ინოვაციური განვითარების ალტერნატიული მოდელი, რომელიც არ მოიცავს ფუნდამენტური მეცნიერებისა და მაღალი ტექნოლოგიების სრული საწარმოო ციკლის შექმნას ძალიან ხელსაყრელია იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც არ შესწევთ ძალა მაღალი ფინანსური და ორგანიზაციული ხარჯებისათვის [7].

მესამე მოდელი, რომელიც ცნობილია როგორც სამმაგი სპირალის მოდელი, ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირების უახლესი მოდელია, რომელმაც განვითარება ევროატლანტიკური მოდელის ბაზაზე მიიღო, თუმცა დასრულებული სახე მას ჯერ არც ერთ ქვეყანაში არ აქვს. ყველაზე მეტად იგი აშშ-ია განვითარებული. XXI საუკუნის დასაწყისში სამმაგი სპირალის თეორიამ ჩაუყარა საფუძველი სამმაგი სპირალის მოდელის შექმნას. ინოვაციური განვითარებისადმი სამმაგი სპირალის მოდელის გამოყენება გულისხმობს სამი ინსტიტუტის ურთიერთქმედებას (მეცნიერება-სახელმწიფო-ბიზნესი) და თითოეულ ეტაპზე ინოვაციური პროდუქტის შექმნას. იგი არის ორგანიზაციათა შორის ურთიერთქმედებების დინამიური მოდელი, რომელიც წარმოიქმნება ეკონომიკასა და საზოგადოების ველოციტის შორის. თუკი ადრე, ინდუსტრიულ ეპოქაში ამ სამ ინსტიტუტს შორის ურთიერთქმედება იყო წრფივი, ამ მოდელში უკვე იქმნება სპირალური სტრუქტურები, რომლებიც საშუალებას აძლევენ ინსტიტუტებს, შეცვალონ და შეინარჩუნონ

ერთმანეთის ზოგიერთი მახასიათებლები. მისი ძირითადი ელემენტებია: 1. სამეცნიერო ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია უნივერსიტეტების როლის გაძლიერება მრეწველობასა და მთავრობასთან ურთიერთქმედებაში; 2. სამი ინსტიტუტი – უნივერსიტეტი, სახელმწიფო და ბიზნესი მიისწრაფიან თანამშრომლობისაკენ, ამასთან ინოვაციური შემადგენელი გენერირდება მოცემული ურთიერთქმედებიდან და არა სახელმწიფოს ინიციატივით; 3. ტრადიციული ფუნქციების გარდა, თითოეული ამ სამი ინსტიტუტიდან ნაწილობრივ იღებს თავის თავზე სხვა ინსტიტუციური სფეროს ფუნქციებს, ხოლო არატრადიციული ფუნქციების შესრულება წარმოადგენს ინოვაციურ წყაროს. პრაქტიკაში ეს ხორციელდება შემდეგნაირად: უნივერსიტეტებს, რომლებიც დაკავებული არიან განათლებითა და სამეცნიერო უკვლევებით, უნივერსიტეტის ინკუბატორებში ახალი კომპანიების შექმნის გზით, თავისი წვლილი შეაქვთ ეკონომიკის განვითარებაშიც. ბიზნესი ნაწილობრივ ეწევა განმანათლებლურ მომსახურებას, ხოლო სახელმწიფო, თავისი ტრადიციული საკანონმდებლო და მარეგულირებელი როლის გარდა, გამოდის როგორც საზოგადო მეწარმე და ვენჩურული ინვესტორი. აღნიშნულ მოდელში წამყვანი როლი ენიჭება უნივერსიტეტებს, რომლებიც გარდაიქმნებიან სამეწარმეო უნივერსიტეტებად ან სამრეწველო ტიპის უნივერსიტეტებად, იყენებენ ცოდნას პრაქტიკაში და შედეგებს დებენ ახალ საგანმანათლებლო დისციპლინებში.

ყურადსაღებია, რომ საზღვარგარეთ უკვე მუშავდება სამმაგი სპირალის გართულებული სახე – მეოთხე სპირალის მოდელი, რომელიც ეხება ინტერაქტიულ ქსელურ ურთიერთობებს მთელი ეროვნული თანასაზოგადოების დონეზე. რადგანაც ინოვაციურ პროცესებზე ზემოქმედება დაიწყეს უკვე სხვა ინსტიტუტებმაც სხვადასხვა სოციალური ფენების სახით, ამიტომ ამ გარემოებამ დააყენა სამმაგ სპირალზე მეოთხე ელემენტის დამატების საკითხი. მიიხნევენ, რომ მეოთხე სპირალი უკეთესად ახასიათებს თანამედროვე პოსტინდუსტრიულ ეკონომიკას, ვიდრე სამმაგი, რაც გამოწვეულია XXI საუკუნეში სამოქალაქო საზოგადოებისთვის განსხვავებული მნიშვნელოვანი როლის შექმნით ახალი კეთილდღეობისა და ფასეულობების შექმნასა და განვითარებაში [Ицкович Г., 2011].

დასკვნა

ეროვნული ინოვაციური სისტემების სხვადასხვა ტიპების ფორმირების საზღვარგარეთული გამოცდილება იმაზე მეტყველებს, რომ დღეისათვის უმეტესობა ქვეყნებში მიისწრაფიან ინოვაციური განვითარებისაკენ და შესაბამისად ირჩევენ ისეთი ეროვნული ინოვაციური სისტემის მოდელს, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება და ხელეწიფება მათ ეკონომიკას. ამასთან, კონკრეტული მოდელის შერჩევა უმეტესად უნდა განისაზღვროდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, განათლებისა და მეცნიერების არსებული დონით.

ეროვნული ინოვაციური სისტემის რომელიმე მოდელის ჩამოყალიბება და განვითარება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისათვის საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, სადაც ბიზნესი, სახელმწიფო და მეცნიერება საკმაოდ მჭიდროდ ურთიერთქმედებენ და, თავისი ტრადიციული ფუნქციების გარდა, იძენენ სხვა მათთვის არატრადიციულ ფუნქციებს და ასრულებენ მათ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სწრაფ წარმატებას ახდენენ ის ქვეყნები, რომელთაც დიდი სამეცნიერო და საგანმანათლებლო პოტენციალი გააჩნიათ, რაც საშუალებას მისცემს მათ, სწრაფად შეიმუშაონ და დანერგონ წარმოებაში ინოვაციური პროდუქტი. ყოველივე ამის გასაკეთებლად აგრეთვე საჭიროა მეცნიერებასა და ბიზნესს შორის დალაგებული ჰარმონიული ურთიერთობების არსებობა, რაც შეუძლებელია სახელმწიფოს აქტიური პროტექციონისტული პოლიტიკის გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Авдокушин Е. Ф. Национальная инновационная система Японии.//Вопросы новой экономики, №4(16) 2010.
2. Глобальная трансформация инновационных систем. Под. ред. Н.И. Ивановой. М., ИМЭМО РАН, 2010.
3. Ицкович Г. Модель тройной спмрали // Инновационная Россия, №4, 2011.
4. Козлова Ж.М. Проблемы становления национальной инновационной системы в России.//Вестник Алтайской академии экономики и права, №2 (20), 2011. <http://journal-aael.intelbi.ru>
5. Обзор международного опыта инновационного развития. // Наука и технологии России. www.strf.ru/material.aspx?d_no=39679
6. Сергеев В.М., Алексеевна Е.С., Нечаев В.Д. Типология моделей инновационного развития//полития,№4(51), 2008.
7. http://kapital-rus.ru/articles/article/modeli_formirovaniya_nacionalnyh_innovacionnyh_sistem/

მომსახურების სფერო
SERVICE SPHERE

თენგიზ ვერულაგა

მედიცინის აკადემიური დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ჯანდაცვის სისტემის რეფორმები აშშ-ში: ინდივიდუალიზმი და უნივერსალიზმი

რეზიუმე

პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიერ ინიცირებული სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის მთავარი მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევით მოსახლეობის დაფარვის გაფართოება და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. განვითარებულ ქვეყნებს შორის აშშ წარმოადგენდა ერთადერთ ქვეყანას, სადაც არ არსებობდა საყოველთაო, სავალდებულო ჯანმრთელობის დაზღვევა. რეფორმას არაერთგვაროვანი შეფასება მიეცა აშშ საზოგადოებაში. მეკვლევართა აზრით, რეფორმა ვერ შეაჩერებს ჯანდაცვაზე სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯების ზრდას. თუმცა, იგი აუცილებელი ნაბიჯია ეფექტური ჯანდაცვის სისტემისაკენ ქვეყნის შემდგომი სვლისათვის.

საკვანძო სიტყვები: აშშ-ის ჯანდაცვის რეფორმები, საყოველთაო ჯანდაცვა, უნივერსალური მოცვა.

შესავალი

თითოეულ ქვეყანაში ჯანდაცვის საკუთარი სისტემაა განვითარებული. ამა თუ იმ ქვეყნის ჯანდაცვის ეროვნული სისტემა დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ეკონომიკური განვითარების დონეზე, ეროვნული ხასიათის, პოლიტიკური ცხოვრების, კულტურისა და საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის თავისებურებებზე. ამერიკის შეერთებული შტატების ჯანდაცვის სისტემა ასახავს ამერიკული სოციალურ-ეკონომიკური მოდელის, იდეოლოგიის და ტრადიციების თავისებურებებს. ჯანდაცვის ამერიკული მოდელი უფრო მეტად ორიენტირებულია საბაზრო მექანიზმების მაქსიმალურად გამოყენებაზე [Fuchs, 2008:56].

აშშ-ში მოქმედებს სოციალური დაცვის შერჩევითი (სელექციური) სისტემა. იგი ეფუძნება მოსახლეობის საჭიროებების შეფასების პროცედურებს და გულისხმობს სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის მხოლოდ იმ ნაწილის მოცვას, ვინც სოციალურად დაუცველია ან მაღალი რისკის გამო უფრო საჭიროებს სერვისებს. ამისგან განსხვავებით, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მოქმედებს უნივერსალური, საყოველთაო ჯანდაცვის პრინციპი, რომელიც ფარავს მთელ მოსახლეობას. ინდივიდუალიზმისა და სელექციურობის პრინციპი მყარად დამკვიდრდა ამერიკულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში. თუ ვეროპულ ქვეყნებში სოციალური პოლიტიკის შემუშავებისას ყოველთვის დომინირებდა თანასწორობის, სოციალური დაცულობის და საზოგადოებრივი სოლიდარობის პრინციპები, ამერიკაში ასეთი რამ მიუღებელი აღმოჩნდა მოქალაქეთა დიდი ნაწილისთვის. ამერიკელების უმრავლესობის აზრით, ადამიანი პასუხისმგებელია საკუთარ ბედსა და ქმედებებზე, ხოლო პასუხისმგებლობის სახელმწიფოსთვის გადაცემის იდეა დიდი მხარდაჭერით არ სარგებლობს. აშშ-ში ქვეყნის სოციალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოს როლის გაძლიერება ტრადიციულად განაპირობებს მოქალაქეთა გარკვეული ნაწილის უკმაყოფილებას. ამერიკელთა უმრავლესობა

ჯანდაცვის სფეროს განიხილავს არა როგორც სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას, არამედ როგორც სერვისს, რომელიც სხვა სერვისების მსგავსად იყიდება სამედიცინო ბაზარზე [Tanner, 2008:69].

აშშ-ში ჯანდაცვის დეცენტრალიზებული სისტემაა, სადაც სახელმწიფოს ჩარევები მინიმალურია, ხოლო კერძო სექტორის წილი საკმაოდ დიდია. აშშ-ის ფედერალური მთავრობის, შტატების მთავრობების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციები გაყოფილია და თითოეული მათგანი თავის როლს თამაშობს. შტატების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ავტონომია, მათ მიერ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მარეგულირებელი საქმიანობის ადგილობრივ დონეზე განხორციელების უფლება, ასევე დაფინანსების საკუთარი წყაროების არსებობა გამყარებულია კონსტიტუციით.

აშშ-ში ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში კერძო დაფინანსების წილი აღემატება სახელმწიფო დანახარჯების წილს. 2010 წლის მონაცემებით, სახელმწიფო დანახარჯების წილი შეადგენდა 48%-ს. აშშ-ში ჩამოყალიბდა შერეული ჯანდაცვის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია კერძო და სახელმწიფო პარტნიორობაზე [Pipes, 2008:126].

აშშ-ის ჯანდაცვის სისტემამ, მიუხედავად არსებული პრობლემებისა, უზრუნველყო უდიდესი მიღწევები სამედიცინო სფეროში. იგი სხვა ქვეყნებს უსწრებს თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარების კუთხით. ამერიკელებს ეკუთვნით მნიშვნელოვანი გამოგონებები სამედიცინო სფეროში ბოლო 30 წლის განმავლობაში. ახალი პრეპარატების ნახევარზე მეტს ქმნიან ამერიკული ფარმაცევტული კომპანიები. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ აშშ-ს მიანიჭა პირველი ადგილი ისეთ პარამეტრებში, როგორცაა პაციენტის საჭიროებაზე მორგებული მომსახურება, პაციენტების კმაყოფილება ექიმის ან სამედიცინო დაწესებულების არჩევის, სამედიცინო პერსონალის პაციენტის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულების, მომსახურების დროულად გაწევის და კონფიდენციალურობის თვალსაზრისით. ერთ სულ მოსახლეზე გაწეული ჯანდაცვის ხარჯებით აშშ პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

ჯანდაცვის სფერო აშშ-ის პოლიტიკის ერთდერთი აქტუალური საკითხია. მიუხედავად ჯანდაცვის კერძო დაფინანსების დიდი წილისა, სახელმწიფო დაზღვევის პრობლემა პერიოდულად დგებოდა დღის წესრიგში, განსაკუთრებით მაშინ როდესაც იცვლებოდა ქვეყნის პოლიტიკური კლიმატი, რაც დაკავშირებული იყო ომთან, დეპრესიის პერიოდთან. ფრანკლინ რუზველტის რეფორმები დიდი დეპრესიის პერიოდთან ასოცირდება, ხოლო ჰარი ტრუმენის მიერ შემოთავაზებული სახელმწიფო დაზღვევის სისტემა – მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდთან. აშშ-ის ჯანდაცვის სისტემაში ბოლო ათწლეულში მიმდინარე ისტორიული ცვლილებები შესაძლებელია 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს დაეუკავშიროთ. ქვეყნის ორივე მთავარ პარტიას, რესპუბლიკურს და დემოკრატიულს, განსხვავებული მიდგომები აქვს ჯანდაცვის მიზნების და სისტემური მოწყობის შესახებ. თუმცა, მიუხედავად ამისა, ისინი ერთ რამეში თანხმდებიან: ამერიკის ჯანდაცვის სისტემა საჭიროებს ძირეულ რეფორმირებას.

რესპუბლიკური პარტიის ხედვა. რესპუბლიკელები მიიხვეწენ, რომ ჯანდაცვის სისტემაში სახელმწიფოს როლი უნდა იყოს მინიმალური. მათი აზრით, დემოკრატიების რეფორმა კიდევ უფრო გაზრდის ფედერალური ბიუჯეტის ისედაც ღრმა დეფიციტს. მაღალ შემოსავლებზე გადასახადების გაზრდა უარყოფითად იმოქმედებს ბიზნესის განვითარებაზე, კერძოდ, შეამცირებს სამუშაო ადგილებს, რაც მილიონობით საშუალო ფენის წარმომადგენლებს დაახარადლებს და კიდევ უფრო გაზრდის იმ პირთა რაოდენობას, რომელთაც, ობამას გეგმის მიხედვით, ესაჭიროებათ სახელმწიფო სუბსიდირება. ამასთან, მძიმე სახელმწიფო რეგულაციები,

ბიუროკრატის ზრდა სადაზღვევო კომპანიებს არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენებენ [Klein, 2009:156].

რესპუბლიკელთა აზრით, აშშ-ის ჯანდაცვის მაღალი ხარჯები განპირობებულია სახელმწიფოს გაზრდილი მარეგულირებელი როლით და შტატებს შორის კონკურენტული გარემოს არარსებობით. შტატის კანონმდებლობით ბენეფიციარს უფლება არ აქვს სხვა შტატის სადაზღვევო სარგებელი აირჩიოს. ასეთი სახის არჩევანის არარსებობა და შესაბამისად არაკონკურენტული გარემო ზრდის ხარჯებს. რესპუბლიკელთა ჯანდაცვის პროგრამა სადაზღვევო ბაზრის დერეგულირებას, შტატებს შორის ასეთი ბარიერების გაუქმებას, მომხმარებელთა არჩევანის გაფართოებას და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. მათი მტკიცებით, დემოკრატების მიერ შემოთავაზებული სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა განაპირობებს სადაზღვევო ბაზარზე სახელმწიფო და კერძო დაზღვევის არათანაბარ კონკურენციას, რადგან სახელმწიფო ყველანაირ ბერკეტს გამოიყენებს კონკურენციის შესაზღვრავად, რაც საბოლოოდ სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემას დააფუძნებს ქვეყანაში [Tanner, 2010:186].

რესპუბლიკელების აზრით, დემოკრატების ჯანდაცვის რეფორმა აშშ-ს საკონსტიტუციო საფრთხის წინაშე აყენებს. მოქალაქეები იძულებული ხდებიან, შეიძინონ ჯანმრთელობის დაზღვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ჯარმის გადახდა მოუწევთ. ამერიკის კონსტიტუციით მთავრობას არ აქვს უფლება, აიძულოს მოქალაქე, შეიძინოს ჯანმრთელობის დაზღვევა. კონსტიტუცია მკაცრად კრძალავს სახელმწიფოს ჩარევას ადამიანის პირად ცხოვრებასა და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვაში. ამასთან, ობამას ინიციატივა არ შეესაბამება ამერიკულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ კულტურას, რადგან იგი ეფუძნება მმართველობის უმცირესი ჩარევის პრინციპებს როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ სფეროში. ადამიანის წარმატება განისაზღვრება შრომისმოყვარეობით. ამიტომ, მიუღებელია მეტი გადასახადების გადახდა იმ პირების დაზღვევისთვის, ვინც, მათი აზრით, უსაქმურია, აქვთ ჭარბი წონა, თამბაქოს მომხმარებელია და ირჩევს ცხოვრების არაჯანსაღ წესს. რესპუბლიკელებმა ობამას ჯანდაცვის რეფორმას „სოციალისტური მედიცინა“ უწოდეს. მათი აზრით, ბარაკ ობამას ჯანდაცვის რეფორმა ანგრევს „ამერიკულ ოცნებას“, რომელიც ეფუძნება საკუთარ სიცოცხლეზე პიროვნული პასუხისმგებლობის და თავისუფალი არჩევანის იდეას (Cannon, 2007:56).

According to model (4) investments' current value is positively related to the lagged value of investments. Growth in lagged value of investments stimulates investments in next period, particularly 1% growth in lagged value of investment increases investments of current period by 0.76%. Also, logically, output growth in current period increases current investment values. Output growth by 1% in current period increases investments by 3.46%. Current period's investment volume is negatively related with output value of previous period. 1% increase of the lagged value of output decreases investments values of current period by 3.26%. This negative relationship takes into consideration delayed process of investments' realization.

Investments that are planned in previous time period and are realized in current time period decrease investments in current period, because companies try to prevent increase of investments cost in short term. The war factor has a negative value, which means that the war is negatively related to total investments' volume. Logically, period during the war the volume of total investments decreases in short term.

Tobin's investments model

Based on the USA's economy R. Kopke empirically tested Tobin's investments model, which had the following form (Bernd Ernst R.,2005):

$$I_t = a + \sum_{j=0}^{m-1} b_j(q-1)_{t-j}k_{t-j-1} + b_k k_{t-1} + u_t \quad (5)$$

where I_t is the volume of total investments, k_t – total capital values, q_t - Tobin's coefficient in respective time period and b_j – coefficient.

It should be mentioned that empirical realization of Tobin's investments model on Georgian economy case faces following problems: 1) there is no information about Tobin's coefficient – q ; 2) there is no empirical data on total capital. The later can be fixed by using the result from investments accelerator model, which estimates total capital values. However, because of the absence of Tobin's coefficient values statistically valid model cannot be built on Georgian case.

Remark: Calculation of Tobin's coefficient or replacing it with economically similar factor is not possible, because there are no economic indicators that could be used for fixing stated problem. Also, considering that technical estimation problem in model (5) should be fixed by assuming that Tobin's coefficient is constant through time and creating new coefficients $c_j = b_j(q-1)_{t-j}$ has no valid economic logic, because above mentioned fact confronts Tobin's theory.

Conclusion

Investments accelerator model well reflects Georgian economy's reality. According to this model, investments are positively related to the lagged values of investments and current value of GDP. This result is in accordance with the economic theory. Also, increase in lagged value of GDP decreases investments values in current period. This relationship reflects delayed process of investments' realization. Investments that are planned in previous time period and are realized in current time period decrease investments in current period, because companies try to prevent increase of investments cost in short term.

Depreciation rate of Georgia's total capital is 5.7% and volume of total capital in last period is more than 12 billion Georgian Lari, which is approximately 5 billion US dollars.

The war in August, 2008 year had a short term negative effects on Georgia's total investments, which is proved by the investments accelerator model.

During the realization of Tobin's investments model on example of Georgian economy it is possible to use estimated values of total capital from investments accelerator model and to assume that using twice regressive model will not increase statistical errors. However, it is not recommended to use Tobin's investments model on example of Georgian economy, because there is no empirical data about Tobin's coefficient. Moreover, there is no economic variable that could be used as a replacement in the model. It is not economically reasonable to use the assumption that Tobin's coefficient is constant through time for fixing above mentioned problem, because it confronts Tobin's theory.

References

1. Ananiashvili, I. (2014). Timeline series analysis. TSU, Tbilisi.
2. Ananiashvili, I. (2010). Econometrics. Meridiani, Tbilisi.
3. Bernd Ernst R. (2005). “Classical and modern”. Applied econometric. Moscow, Iunitidana, 847.
4. Breusch, Trevor S. (1978). "Testing for autocorrelation in dynamic linear models." Australian Economic Papers 17.31, 334-355.
5. Dickey, David A., and Wayne A. Fuller. (1979). "Distribution of the estimators for autoregressive time series with a unit root." Journal of the American statistical association 74.366a, 427-431.
6. Dolado, Juan J., Tim Jenkinson, and Simon Sosvilla-Rivero. (1990). "Cointegration and unit roots." Journal of economic surveys 4.3, 249-273.
7. Glejser, Herbert. (1969). "A new test for heteroskedasticity." Journal of the American Statistical Association 64.325, 316-323.
8. Godfrey, Leslie G. (1978). "Testing against general autoregressive and moving average error models when the regressors include lagged dependent variables." Econometrica: Journal of the Econometric Society, 1293-1301.
9. National statistic office of Georgia, Total capital consumption, available from: http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=119&lang=eng (Accessed 29 July 2017).

ვიორგი მიქელაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**ინვესტიციების აქსელერატორის და ტობინის მოდელი (საქართველოს
მაგალითზე)
გრცელი რეზიუმე**

სტატიაში განხილულია მთლიანი ინვესტიციების კვლევის პროცესში ქვეყნის ძირითადი კაპიტალის მნიშვნელობა, საქართველოს ძირითადი კაპიტალის გამოთვლის მეთოდი და აღნიშნული მეთოდის პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობა. კვლევებში გამოყენებულია 2003-2016 წლების კვარტალური ემპირიული მონაცემები.

სტატიაში საქართველოს მაგალითზე ემპირიულად შემოწმებულია ინვესტიციების აქსელერატორის მოდელის ლ. კოიკის მოდიფიცირებული ვარიანტი და ინვესტიციების ტობინის მოდელი. პრაქტიკულ მოდელებში გათვალისწინებულია ქვეყნის ეკონომიკის სპეციფიკაცია და მნიშვნელოვანი მოვლენები (2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები).

საქართველოში არ მოიპოვება სტატისტიკური ინფორმაცია ძირითადი კაპიტალის რაოდენობის შესახებ. შესაბამისად, ინვესტიციების აქსელერატორის მოდელი, რომელიც არ შეიცავს კაპიტალის რაოდენობას, როგორც ცვლადს, არის ლ. კოიკის მოდელი:

$$I_t = g\mu y_t - (1 - \delta)g\mu y_{t-1} + (1 - g)I_{t-1} \tag{1}$$

ეს მოდელი დაფუძნებულია რიგ დაშვებებზე: 1) სასურველი კაპიტალის და გამოშვების თანაფარდობა მუდმივია დროის სხვადასხვა პერიოდში. 2) ცვეთის ნორმა არ არის განსხვავებული დროის სხვადასხვა ტაქტში. 3) მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს მიმდინარე კაპიტალის სასურველ კაპიტალთან მორგების სიჩქარე. საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე ინვესტიციების აქსელერატორის მოდელის შესაფასებლად სასურველია (1) მოდელის მოდიფიცირებული ვარიანტის გამოყენება, სადაც ცვლადები წარმოდგენილი იქნება ლოგა-

რითმებში. კერძოდ, მოდელის ცვლადებს შორის ადიტიური კავშირიდან გადავდივართ მულტიპლიკაციურზე, აღნიშნული დაშვების საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების და გამოშვების ზრდის ტემპების კავშირი. საბოლოოდ მოდელს ექნება შემდეგი სახე:

$$\log(I_t) = g\mu \log(y_t) - (1 - \delta)g\mu \log(y_{t-1}) + (1 - g)\log(I_{t-1}) + u_t \quad (2)$$

(2) გამოსახულების რეალიზაციისთვის გამოყენებულია მთლიანი ინვესტიციებისა და გამოშვების კვარტალური მონაცემები 2003 წლიდან 2016 წლამდე.

ინვესტიციების რეალური მოცულობის დასადგენად ინვესტიციების ნომინალური მოცულობა შეფარდებულია მშპ დეფლატორთან (მშპ დეფლატორი გამოთვლილია ნომინალურ და რეალურ მშპ-ს თანაფარდობით).

ინვესტიციების აქსელერატორის მოდელის ნარჩენობითი წევრების განაწილება არ არის ნორმალური. თუმცა უკეთ დაკვირვებით შესაძლებელია გამოვიტანოთ შემდეგი სახის დასკვნა: ნარჩენობითი წევრების განაწილება ძალიან ჰგავს ნორმალურს, თუ არ ჩავთვლით 1 ამოვარდნილ მნიშვნელობას. (2) მოდელში ამ ფაქტის განსაზღვრის მიზნით სასურველია შევავასოთ მოდელის კოეფიციენტები და განვსაზღვროთ $\log \hat{I}_t$, რაც საშუალებას მოგვცემს, გამოვთვალოთ ნარჩენობითი წევრები თითოეული კვარტალური მონაცემისთვის.

ნარჩენობითი წევრების ამოვარდნილი მნიშვნელობა შეინიშნება 2009 წლის I კვარტალში. ამ ფაქტის ეკონომიკური ინტერპრეტაცია ქვეყნის უახლეს ისტორიაში შეგვიძლია მარტივად ვიპოვოთ. კონკრეტულად, საქართველომ გააღატანა ომი 2008 წლის მესამე კვარტალში, რასაც მოკლევადიანი ეკონომიკური შედეგები ჰქონდა 2009 წლის პირველ კვარტალში. (2) მოდელში ბინალური ომის ფაქტორის ჩართვით ნარჩენების განაწილება ნორმალური ხდება და მოდელის მასხასიათებლები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

ინვესტიციების აქსელერატორის მოდელი კარგად ასახავს საქართველოს ეკონომიკის რეალობას. აღნიშნული მოდელის მიხედვით მთლიანი ინვესტიციები ზრდად დამოკიდებულებაშია მის ლაგირებულ და მთლიანი შიგა პროდუქტის მიმდინარე მნიშვნელობასთან, აღნიშნული შედეგი შესაბამისობაშია ეკონომიკურ თეორიასთან. ამასთან, ლაგირებული (წინა წლის) მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა ამცირებს მიმდინარე პერიოდის მნიშვნელობას, ამ დამოკიდებულებაში ასახულია ინვესტიციების განხორციელების დროში შეყოვნების პროცესი. წინა პერიოდის დაგეგმილი ინვესტიციები, რომლებიც მომავალ პერიოდში ხორციელდება, ამცირებს მიმდინარე პერიოდის ინვესტიციებს, ვინაიდან კომპანიები თავს არიდებენ ერთდროულად ინვესტიციების ხარჯის ზრდას.

საქართველოს ძირითადი კაპიტალის ცვეთის ნორმა 5,7% შეადგენს, ხოლო ძირითადი კაპიტალის მოცულობა ბოლო პერიოდში 12 მილიარდ ლარს აჭარბებს, რაც მიახლოებით 5 მლრდ აშშ დოლარია.

2008 წლის აგვისტოს ომს ნეგატიური მოკლევადიანი შედეგი ჰქონდა საქართველოს მთლიან ინვესტიციებზე, რაც დასტურდება ინვესტიციების აქსელერატორის მოდელის მიხედვით.

საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე, ინვესტიციების ტობინის მოდელის ემპირიული რეალიზაციის დროს შესაძლებელია ინვესტიციების აქსელერატორის მოდელით მიღებული ძირითადი კაპიტალის მნიშვნელობების გათვალისწინება და დაშვების გაკეთება იმ ფაქტის შესახებ, რომ რეგრესიული მოდელის ორჯერ გამოყენება მნიშვნელოვნად არ გაზრდის სტატისტიკურ ცდომილებას. აღნიშნული ფაქტის მიუხედავად, ინვესტიციების ტობინის მოდელის გამოყენება საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე მართებული არ არის,

ვინაიდან არ არსებობს ემპირიული ინფორმაცია ტობინის კოეფიციენტის შესახებ. ამასთან, არ არსებობს ეკონომიკური ინდიკატორი, რომელიც მოდელში იქნება გამოყენებული როგორც მისი ჩამნაცვლებელი ფაქტორი. ეკონომიკურად არ არის გამართლებული, აღნიშნული პრობლემის გადაჭრისათვის მეკლევარმა გამოიყენოს დაშვება ტობინის კოეფიციენტის დროში მუდმივობის შესახებ, რაც ძირეულად ეწინააღმდეგება ტობინის თეორიას.

ლუკა ლაზიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის, მაკროეკონომიკის კათედრის მაგისტრანტი

**ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების მახასიათებლები
საქართველოში**

რეზიუმე

სტატიაში ახსნილია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის რაობა, წარმოდგენილია მისი მიღწევის გზები და წახალისების საშუალებები, ინკლუზიურობის ერთ-ერთი მთავარი წინაღობის - შემოსავლების უთანაბრო განაწილების გაანალიზება და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციები და მითითებები. ნაშრომის მთავარი მიზანია საქართველოს ეკონომიკის ინკლუზიური განვითარების დონის შეფასება ინკლუზიური განვითარების ინდექსის დეკომპოზიციის მეშვეობით.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური ეკონომიკა, უთანაბრობა, ინკლუზიური განვითარების ინდექსი, მაკროეკონომიკური პოლიტიკა

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, საერთო კეთილდღეობის ასამაღლებლად მხოლოდ ის საკმარისი არ არის. თანამედროვე მსოფლიოს ყოველთვის აწუხებდა და დღესაც აწუხებს უთანასწორობის, სიმდიდრისა და შემოსავლის უთანაბრო განაწილებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის პრობლემები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ცნება ბოლო ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

2000-იანი წლების დასაწყისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ სხვადასხვა შეხვედრებსა თუ კონფერენციებზე წინ წამოსწია მსოფლიო სიღარიბის პრობლემა. მრავალწლიანი დისკუსიის შემდეგ, საერთაშორისო ორგანიზაციები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სიღარიბისა და უთანაბრობის ერთდროულად დასაძლევად საუკეთესო გზა არის არა გადანაწილების პირდაპირი ღონისძიებები, არამედ ინკლუზიური ზრდის პოლიტიკა. ინკლუზიურ ზრდაზე მკვეთრად აქცენტირება დაიწყო 2008 წლიდან, როცა მსოფლიო ბანკის მიერ შექმნილი Commission on Growth and Development (CGD)-ის მიერ გამოქვეყნდა რეპორტი - *The Growth Report: Strategies for Sustained Growth and Inclusive Development* [Alfredo Saad-Filho, 2010].

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) განსაზღვრებით, ინკლუზიური ზრდა ქმნის შესაძლებლობებს მოსახლეობის ყველა სეგმენტისთვის და სამართლიანად ანაწილებს მთელ საზოგადოებაზე გაზრდილი კეთილდღეობის როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ დივიდენდებს.

მსოფლიო ბანკის განსაზღვრებით, სიღარიბის სწრაფად და საფუძვლიანად შემცირება მოითხოვს ინკლუზიურ ზრდას, რაც მოსახლეობას საშუალებას აძლევს ჩართული იყვნენ ეკონომიკურ ზრდაში და სარგებელიც მიიღონ მისგან [Ianchovichina E., Lundstrom S.]. მაღალი ტემპით ეკონომიკური ზრდა აუცილებელია სიღარიბის მნიშვნელოვნად შესამცირებლად, მაგრამ მისი ეფექტი რომ გრძელვადიანი იყოს, ის უნდა მოიცავდეს ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორს და

სამუშაო ძალის დიდ მოცულობას (მაღალი ჩართულობა). ინკლუზიური ზრდის ეს განმარტება ხაზს უსვამს მასში ეკონომიკური ზრდის მაკრო და მიკროდებე-რ-მინანტების მნიშვნელოვნებას. მიკროგანზომილების არსებობა გამოიხატება სტრუქტურული ტრანსფორმაციის განხორციელებაში.

ინკლუზიური ზრდა მოიცავს როგორც ეკონომიკური ზრდის ტემპს, ასევე მის ხარისხს, და მათ ძლიერ კორელაციას. ინკლუზიურობა, რაც გულისხმობს თანასწორობას და თანაბარ შესაძლებლობებს, არის აუცილებელად გასათვალისწინებელი ინგრედიენტი ეკონომიკური ზრდის სტრატეგიის წარმატებისთვის. თანაბარ შესაძლებლობებში ძირითადად მოიაზრება სხვადასხვა სახის ბაზრების, რესურსებისა და სახელმწიფოვან სწორად რეგულირებული გარემოსა თუ სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა ფირმებისა და ადამიანების ფართო სპექტრისთვის.

ინკლუზიური ზრდა მიმართულია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისკენ მაღალმწარმოებლურ დასაქმებაზე ფოკუსირებით და არა დაბალი ფენისთვის შემოსავლის პირდაპირი გადანაწილებით. მოკლევადიან პერიოდში დასაშვებია მთავრობის მიერ შემოსავლის განაწილების ღონისძიებების გატარებით ღარიბთა დახმარება, მაგრამ ეს ღონისძიებები გრძელვადიან ზრდას ნამდვილად ვერ უზრუნველყოფს. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ჰგავს ღარიბ ფენაზე გათვლილი ზრდის ცნებას (pro-poor growth), მაგრამ მათ შორის არის არსებითი განსხვავებები. თუ ეს უკანასკნელი გულისხმობს შემოსავლების პირდაპირი განაწილების სქემებს, ინკლუზიური ზრდა ორიენტირებულია მწარმოებლურობის ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისკენ.

საბოლოოდ, ინკლუზიური ზრდა გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ტემპის მატებას და ეკონომიკის გაფართოებას ინვესტიციებისთვის თანაბარი, სამართლიანი გარემოს შექმნით და მაღალმწარმოებლურ სექტორებში დასაქმების შესაძლებლობების გაზრდით. პირდაპირი გადანაწილების ღონისძიებების მაგივრად მაღალმწარმოებლურ დასაქმებაზე ზრუნვა ნიშნავს, რომ ინკლუზიური ზრდა დამოკიდებულია თავისუფალ საბაზრო მექანიზმზე და მთავრობა თამაშობს მხოლოდ ხელისშემწევ როლს.

რობერტ ბარო²⁰ შემოსავლების უთანაბრო განაწილების შესახებ

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვნებისა და მისი წახალისებისათვის საჭირო პოლიტიკის გატარების აუცილებლობაში დასარწმუნებლად გთავაზობთ ინკლუზიური განვითარების ერთ-ერთი მთავარი „მტრის“, შემოსავლების უთანაბრო განაწილების ანალიზს.

ცნობილმა ეკონომისტმა რობერტ ბარომ 1999 წელს სცადა ეკონომეტრიკული ანალიზის დახმარებით გამოეკვლინა ურთიერთკავშირი უთანაბრობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის [Robert J. Barro, 1999]. ბარო თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ მცირე რეგრესიული კავშირი უთანასწორობასა და ზრდის ტემპს და ინვესტიციებს შორის მართლაც არსებობს. უთანაბრობის არსებობა აფერხებს ეკონომიკურ ზრდას ღარიბ ქვეყნებში, ხოლო მდიდარ ქვეყნებში პირიქით, ხელს უწყობს მას. იქ, სადაც მშპ ერთ სულზე 2000 აშშ დოლარზე (1985 წლის დოლარები) ნაკლებია (გაითვალისწინეთ, რომ ბაროს ნაშრომი დაწერილია 1999 წელს, როცა მსოფლიო მშპ ერთ სულზე 8000\$-მდე იყო), უთანაბრობის ზრდა აფერხებს ეკონომი-

²⁰ რობერტ ჟოზეფ ბარო (დაბ. 1944) - ამერიკელი ეკონომისტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ნეოკლასიკოსი.

კურ ზრდას, ხოლო სადაც 2000-ზე მეტია, იქ ეკონომიკური ზრდის წახალისებას იწვევს. ეს ნიშნავს, რომ ღარიბ ქვეყნებში გამართლებულია უთანაბრობასთან ბრძოლის პოლიტიკა ეკონომიკურ ზრდასთან კავშირში გატარდეს. მდიდარ ქვეყნებში კი გადაანაწილების აქტიური პოლიტიკის გამართლებულობა დამოკიდებულია იმაზე, მეტი თანასწორობით მიღებული სარგებელი უფრო მეტი იქნება თუ ეკონომიკური ზრდის შემცირებით მიღებული ზიანი.

ბარო ეხება კუზნეცის მრუდსაც²¹, რომლის მიხედვითაც უთანაბრობა თავიდან იზრდება, შემდეგ კი მცირდება ეკონომიკური ზრდის პროცესში. იგი დადებითად აფასებს ამ დამოკიდებულებას და მას ემპირიულად სწორ მიგნებას უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ კუზნეცის მრუდი არ ხსნის ქვეყნებს შორის და სხვადასხვა პერიოდში არსებულ უთანასწორობას, ის ფართოდ გამოყენებულა ერთ სულზე მშპ-ს ანალიზისას და ასევე კარგად აღწერს იმ დამოკიდებულებასაც, რომელიც ახალი ტექნოლოგიის დანერგვისას ჯერ უთანაბრობის ზრდით, შემდეგ კი შემცირებით გამოიხატება.

კუზნეცის მრუდს ბარო დადებითად აფასებს 2008 წელს იმავე თემისადმი მიძღვნილ ნაშრომშიც [Robert J. Barro, 2008]. მისი თქმით, საერთაშორისო მონაცემების ანალიზი კვლავ აჩვენებს კუზნეცის მრუდის სისწორეს, 1960-იანი წლებიდან 2000-იანი წლების ჩათვლით ეს დამოკიდებულება არ შეცვლილა.


ბაროს განხილული აქვს საერთაშორისო ვაჭრობის დონისა და უთანაბრობის კავშირიც. მისი მტკიცებით, საერთაშორისო გახსნილობა პირდაპირპროპორციულ კავშირშია უთანასწორობასთან, და ეს კავშირი სტაბილურია დროში. 1960-იან წლებთან შედარებით ბევრად გაზრდილი საერთაშორისო ვაჭრობა აისახა გაზრდილ უთანასწორობაში მსოფლიო მასშტაბით. ამ კავშირს აქვს ირიბი ხასიათიც: ვინაიდან ვაჭრობის ზრდა ეკონომიკურ ზრდას იწვევს, ირიბად ეს უთანასწორობის შემცირებაზეც აისახება. ერთიანობაში, გაზრდილი მშპ ერთ სულზე ნიშნავს სიღარიბის შემცირებას, თუნდაც შემოსავლების უთანასწორობის ზრდასთან ერთად.

საბოლოოდ ბარო აღნიშნავს ეკონომიკურ ზრდასა და უთანაბრობას შორის კვლავ იგივე დამოკიდებულების არსებობას, რაც მდიდარი და ღარიბი ქვეყნებისთვის განსხვავებაში გამოიხატებოდა. ის აღიარებს კონვერგენციის რეალურად არსებობასაც და ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორებად ასახელებს მეტ საერთაშორისო გახსნილობას, ცხოვრების ხანგრძლივობის უკეთეს მოლოდინებს, სწორ კანონმდებლობას და დაბალ შობადობას.

გთავაზობთ ბაროს მიერ წარმოდგენილ წერტილოვან დიაგრამებს. პირველ გრაფიკზე ცალ-ცალკეა წარმოდგენილი დაბალი და მაღალი მშპ-ს მქონე ქვეყნები. როგორც ხედავთ, რეგრესიის ხაზი შედარებით ღარიბი ქვეყნების შემთხვევაში უარყოფითი დახრილობით გამოირჩევა, რაც შემოსავლებში უთანაბრობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის უარყოფით კავშირს უსვამს ხაზს, ხოლო მდიდარი ქვეყნების შემთხვევაში მრუდი აღმაველია, თუმცა აქ კავშირი არც ისე მყარია. აღნიშნული ანალიზი გაკეთებულია 1999 წელს. მეორე გრაფიკი კი ასახავს 2008 წელს ბაროს მიერ გაკეთებულ იმავე ტიპის ანალიზს, ამ შემთხვევაში არ ხდება მდიდარი და ღარიბი ქვეყნების ცალ-ცალკე გამოყოფა და რეგრესიის ხაზი ერთიან დამოკიდებულებას ასახავს შემოსავლებში უთანაბრობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. როგორც ხედავთ ამ შემთხვევაშიც მრუდი დაღმაველია.


²¹ **საიმონ კუზნეცი** (1901-1985) - ბელორუსი წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტი, 1971 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი, ინსტიტუციონალისტი.

Growth Rate versus Inequality



გრაფიკი 1

Effect of Income Inequality on Economic Growth



გრაფიკი 2

ინკლუზიური განვითარების ინდექსი და საქართველო

თავდაპირველად გთავაზობთ რამდენიმე შენიშვნას, რომელსაც 2017 წლის იანვარში გამოქვეყნებული მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეპორტი მოიცავს [World Economic Forum, 2017, p. 9]:


- არ არსებობს ეკონომიკური ღონისძიებების რაიმე მაგიური კომბინაცია, რომელიც უმაღლეს მიზნებს ინკლუზიურ განვითარებაზე. მნიშვნელოვანია მთლიანი ეკონომიკა კომპლექსურად სწორად ფუნქციონირებდეს და ინდივიდუალურად მორგებული ღონისძიებები გატარდეს.

- სოციალური დახმარებების მაღალი მაჩვენებელი არ არის მკაცრად შეუთავსებელი გრძელვადიან ზრდასთან, მაგრამ არც სოციალ-ეკონომიკური ინკლუზიურობის მიღწევის პირდაპირ და საუკეთესო გზას წარმოადგენს.

• პოლიტიკური ღონისძიებები და ინსტიტუციები, რომლებიც ინკლუზიურობის უზრუნველყოფას ცდილობენ, არ არის ფუფუნების საგანი, რომლებსაც მხოლოდ მაღალშემოსავლიანი ქვეყნები უნდა იყენებდნენ.

• სწორი ინკლუზიური პოლიტიკა მიმართულია როგორც სამუშაო ძალის, ასევე დამსაქმებელთა ხელშეწყობისკენ, რითიც ცდილობს გაზარდოს სოციალური ინკლუზიურობაც და ეკონომიკის ეფექტურობაც ინსტიტუტების განვითარებაზე ფოკუსირების გზით.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2017 წლის იანვრის რეპორტის ინფორმაციით, საქართველო განვითარებად ქვეყნებს შორის, ინკლუზიური განვითარების ინდექსის მიხედვით 31-ე ადგილზე იმყოფება (ინკ. განვითარების ინდექსი: 4.09) და ბოლო 5 წლის ტრენდის მიხედვით სწრაფი ნაბიჯით მიიწევს განვითარებისკენ. შედარებისთვის, პირველ ადგილზე არის ლიტვა (4.73), მეორეზე კი – ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი (4.73). ჩვენს პოზიციასთან ახლოს იმყოფება ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ბრაზილია, მექსიკა, ნიკარაგუა, კოლუმბია და მოლდოვა. განვითარებულ ქვეყნებს შორის პირველ პოზიციაზე ნორვეგიაა. ამერიკის შეერთებული შტატები მხოლოდ 23-ე ადგილს იკავებს [World Economic Forum, 2017. pp. 61-85]. სანამ საქართველოს ინკლუზიური განვითარების მახასიათებლებს შევხები, წარმოგიდგინო სქემას, რომლის მიხედვითაც დგინდება ინკლუზიური განვითარების ინდექსი:



თითოეულ მიმართულებაში ქვეყნის მდგომარეობის შედარებით ანალიზს შესაძლებელს ხდის 79 განვითარებადი ქვეყნის ზრდადობის მიხედვით დალაგება და შემდეგ მათი კვანტილება დაყოფა. მაგალითად, თუ ქვეყანა ამა თუ იმ მაჩვენებლით პირველ კვანტილშია, ნიშნავს, რომ ის ქვეყნების საუკეთესო 20%-ს მიეკუთვნება ამ მაჩვენებლის მიხედვით, მეორე კვანტილი კი შედარებით ნაკლებად წარმატებულ 20%-ს მოიცავს და ასე შემდეგ მეხუთე კვანტილის ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ მსგავსად შედგენილი რეიტინგით ცალ-ცალკე განვიხილავთ როგორც ქვეყნის მახასიათებლებს ფიქსირებულ რიცხვებს, ასევე მათ 5 წლიან ტრენდებსაც (სურვილისამებრ შეგიძლიათ ქვემოთ მოყვანილ ინფორმაციას გაეცნოთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეპორტის შესაბამის ქვეთავში) [World Economic Forum. 2017, pp. 61-85].

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ზემოთ აღნიშნული რეპორტის მიხედვით, ცალკე აღებული *ეკონომიკური ზრდისა და განვითარების კუთხით* საქართველო განვითარებად ქვეყნებს შორის 36-ეა. **მშპ ერთ სულზე** 4010\$-ს შეადგენს და ამ მაჩვენებლით ქვეყნების მესამე კვანტილშია მოთავსებული. უკანასკნელი 5 წლის მშპ ერთ სულზე ზრდის ტრენდი კი 6.2%-იანი ზრდით ხასიათდება და ამ მაჩვენებლის მიხედვით პირველ კვანტილში ვიმყოფებით განვითარებადი ქვეყნების საუკეთესო 20%-ს შორის. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით²² 2019 წლიდან მშპ-ს ზრდის ტემპი 6% უნდა იყოს, რაც კიდევ უფრო გაზრდის მშპ-ს ერთ სულზეც და რეიტინგით, სავარაუდოდ, მეორე კვანტილში აღმოვჩნდებით. **შრომის მწარმოებლურობა** 16292\$-ს შეადგენს და ამ მაჩვენებლით საქართველო ასევე მესამე კვანტილში იმყოფება. ბოლო 5 წლის შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტრენდი კი 4.5%-იანი ზრდის მაჩვენებელს აფიქსირებს, რის გამოც პირველ კვანტილში ვიმყოფებით. საქართველოში **ჯანმრთელად ცხოვრების მოსალოდნელი** ასაკი 66.4 წელია, რის მიხედვითაც მეორე კვანტილში ვიმყოფებით. ამ მაჩვენებლის 5 წლიანი ზრდის ტრენდი კი 2.4 ერთეულით ზრდას გვჩვენებს და რეიტინგში მეორე კვანტილს მიეკუთვნება. **დასაქმება** მხოლოდ 56.6%-ია და შესაბამისად ამ მაჩვენებლით ბოლოს წინა, მეოთხე კვანტილში ვიმყოფებით. ტრენდი კი აქაც საკმაოდ სწრაფად მზარდი გვაქვს (3.1%) და პირველ კვანტილში ვიმყოფებით.

ცალკე აღებული *ეკონომიკის ინკლუზიურობის კუთხითაც* საქართველო 36-ე ადგილზე იმყოფება განვითარებად ქვეყნებს შორის. **დაბეგვრის შემდგომი შემოსავლების ჯინის კოეფიციენტი** საქართველოში 38.8-ს შეადგენს და ამ მაჩვენებლით მესამე კვანტილში ვიმყოფებით. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში 5 ერთეულით კლების გამო კი ამ მაჩვენებლის ტრენდი რეიტინგით პირველ კვანტილშია. **სიღარიბის დონე** საქართველოში 25.3%-ს შეადგენს და მეოთხე, ბოლოს წინა კვანტილშია განთავსებული. ტრენდი აქაც პოზიტიური გვაქვს, ბოლო 5 წლის განმავლობაში სიღარიბის დონემ იკლო 13.3%-ით, რის გამოც ეს მაჩვენებელი პირველ კვანტილში იმყოფება. **სიმდიდრის ჯინის კოეფიციენტი** 75.0-ს შეადგენს და მესამე კვანტილშია მოხვედრილი. ამ შემთხვევაში ტრენდიც მესამე კვანტილშია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში 7 ერთეულით ზრდის გამო. **საშუალო შემოსავალი** დღეში 5.1\$-ს(PPP) შეადგენს და ეს მაჩვენებელი მესამე კვანტილში იმყოფება. ამ მაჩვენებლის ტრენდი ბოლო 5 წელიწადში 1.2 ერთეულიანი ზრდით გამოირჩა, რის გამოც რეიტინგით მეორე კვანტილშია განთავსებული.

თაობათაშორისი ბალანსისა და მდგრადობის კუთხით საქართველო 21-ე ადგილს იკავებს განვითარებადი ქვეყნების რეიტინგში. **დაბალანსებული წმინდა დანაზოგები**, ანუ წმინდა დანაზოგების პროცენტული წილი მთლიან ეროვნულ

²² საქართველოს მაკროეკონომიკური განვითარება და ტენდენციები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2017 (www.mof.ge)

პროდუქტში 9.9%-ს შეადგენს და ამ მაჩვენებლით მესამე კვანტილში ვიმყოფებით. ამ მაჩვენებლის ტრენდი 8.3%-იან ზრდას გვიჩვენებს და პირველ კვანტილს მიეკუთვნება. **ნახშირბადის გამოყენების წილი მშპ-ს ერთ დოლარზე** 82.7 კგ-ს შეადგენს და ამ მაჩვენებლით მესამე კვანტილში ვიმყოფებით. 5 წლიანი ტრენდით 14.5 ერთეულიანი კლების გამო კი აღნიშნული ტრენდი მეორე კვანტილშია. **სახელმწიფო ვალის წილი მშპ-ში** 41.5%-ს შეადგენს და ამ მაჩვენებლითაც მესამე კვანტილში ვართ. ბოლო 5 წლის განმავლობაში მხოლოდ 5%-იანი ზრდის გამო კი ამ მაჩვენებლის ტრენდი მეორე კვანტილშია მოხვედრილი. **დამოკიდებულების დონე** აღნიშნავს მთლიან მოსახლეობაში სამუშაო ძალის პროცენტულ წილს და ის საქართველოსთვის 45.7%-ს შეადგენს, რითიც მეორე კვანტილშია. ბოლო 5 წლის განმავლობაში მხოლოდ 0.1%-იანი ზრდის გამო კი ამ მაჩვენებლის ტრენდი ბოლოს წინა, მეოთხე კვანტილის მკვიდრია.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ინკლუზიური განვითარების დონის მიმდინარე მაჩვენებლები საქართველოსთვის არცთუ ისე სახარბიელოა. განსაკუთრებით მძიმეა მდგომარეობა დასაქმებისა და სიღარიბის დონის მიმართულებით, რომელი მაჩვენებლებითაც ქვეყნების რეიტინგის მხოლოდ მეოთხე კვანტილში ვიმყოფებით. სხვა მაჩვენებლებთან შედარებით უკეთესია მდგომარეობა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობისა და სამუშაო ასაკის მოსახლეობაზე დამოკიდებულების დონის კუთხით. დანარჩენი მაჩვენებლები რეიტინგით მესამე კვანტილში იმყოფება, მესამე კვანტილი კი საშუალო რეიტინგს ნიშნავს და, თუ გავითვალისწინებთ, რომ რეიტინგი მხოლოდ განვითარებად ქვეყნებს მოიცავს, შედეგები არადაამაკმაყოფილებელია.

რადიკალურად განსხვავებული რეიტინგები გვაქვს 5 წლიანი ტრენდების მიხედვით. ზემოთ აღწერილი 12 მაჩვენებლიდან 6 პირველ კვანტილშია მოხვედრილი, 4 მეორე კვანტილში, 1 მესამე კვანტილში და ერთიც მეოთხე კვანტილში. მესამე და მეოთხე კვანტილში მოხვედრილი ტრენდები სიმდიდრის განაწილებასა და სამუშაო ასაკის მოსახლეობაზე დამოკიდებულების დონეს ახასიათებს, რაც ნიშნავს, რომ ამ მიმართულებებით ნაკლები წინსვლა გვაქვს. თუმცა, დანარჩენი მაჩვენებლები სწრაფად მზარდი ტრენდით ხასიათდება და ტრენდების რეიტინგში წამყვან პოზიციებსაც იკავებს.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკური პოლიტიკა

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკური პოლიტიკა შესაძლოა რამდენიმე ძირითად მიმართულებად დავეოთ²³ [ე. ბერიძე, 2017, 1, გვ. 62-81; de Mello, L. and M. A. Dutz (eds.), 2012]:

- მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევის ყველაზე ეფექტური გზაა *დასაქმების* მაღალი დონის უზრუნველყოფა. დასაქმების ზრდას თანახმაა ერთი მხრივ სიღარიბის შემცირება და სოციალური კეთილდღეობის ზრდა, მეორეს მხრივ ახალი ფირმებისა და ორგანიზაციების შექმნა, შემოსავლის გაჩენა მათთვის, ვისაც იქამდე არ ჰქონდა, მწარმოებლურობის ზრდა და შედეგად ხელფასების ზრდაც. სასურველია, სახელმწიფომ აქცენტირებული პოლიტიკა გაატაროს ისეთი სექტორების განვითარებისკენ, სადაც დასაქმების მეტი შესაძლებლობები იქნება. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სამუშაო ადგილების გაჩენას განსაკუთრებით იმ რეგიონებსა და იმ საზოგადოებრივ ფენებში, რომელნიც ყველაზე მეტად არიან გამოთიშული ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას.

²³ Economic Policy Reforms 2012 Going for Growth © OECD 2012 - Reducing income inequality while boosting economic growth: Can it be done?

• ინკლუზიური ზრდის კონცეფცია სახელმწიფოს მოუწოდებს ახალი, მაღალმწარმოებლური დარგების აღმოჩენისა და მისი განვითარებისაკენ. ეს არსებითია როგორც ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის, ასევე ინკლუზიური განვითარებისთვისაც. მსგავსი ეკონომიკურ-სტრუქტურული ტრანსფორმაცია უნდა მოხდეს ღარიბი ფენების მაქსიმალურ ჩართულობასთან ერთად. ახალი დარგების განვითარება ქმნის ქვეყანაში კონკურენტულ გარემოს და ზრდის სტაბილურობას. სტრუქტურული ტრანსფორმაციის გარეშე სიღარიბის დაძლევის კუთხით არსებითი წინსვლა ძნელი მისაღწევია.

• *ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში* არის საკვანძო ფაქტორი გრძელვადიანი ინკლუზიური ზრდისა და ქვეყნის ნათელი მომავლისთვის. სახელმწიფო ხარჯები, გაწეული ჯანდაცვასა და განათლებაზე, დაკავშირებულია უკეთეს ეკონომიკურ განვითარებასთან. საშუალო (და, სასურველია, უმაღლესიც) განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოების ყველა ფენისთვის. მსგავსი პოლიტიკა გრძელვადიან პერიოდში შეამცირებს უთანასწორობას. იმისათვის, რომ არ ჩამორჩეს საერთაშორისო განვითარების დონეს და მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის გამოწვევებს, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე შემდეგი 5 მიმართულებით²⁴ [World Economic Forum, 2017, p. 11]: 1. შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა; 2. ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა; 3. გენდერული თანასწორობა; 4. ბონუსები და უმუშევრობისგან დაზღვევა; 5. ეფექტური „სკოლიდან დასაქმებამდე“ მექანიზმი.

• სწორად ორგანიზებული *შრომის ბაზრის პოლიტიკა* ასევე მნიშვნელოვანია ინკლუზიური ზრდისთვის. მაგალითად, სწორად შერჩეული მინიმალური ხელფასი ხელს უწყობს უთანასწორობის აღმოფხვრას. თუმცა, ზედმეტად მაღალი მინიმალური ხელფასი შეამცირებს დასაქმებას. სასურველია, ასევე, უმუშევრობის დაზღვევა და კონტრაქტების მოქნილი სისტემა.

• სასაქონლო ბაზრების *დერეგულირება* უმეტესად ისეთი რეგულაციების მოხსნით, რომელიც ბოჭავს საბაზრო ურთიერთობებს, დასაქმების ზრდის გზით შეამცირებს უთანასწორობას შემოსავლებში.

• *სოციალური დაცვის სისტემა*. პროგრესული გადასახადები და სოციალური ტრანსფერები არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება შემოსავლების უთანაბრობის აღმოსაფხვრელად. მიუხედავად იმისა, რომ ეს უფრო მოკლევადიანი გავლენის ინსტრუმენტია, ბოლო პერიოდში OECD-ს ქვეყნებში უთანაბრობასთან ბრძოლაში მიღწეული შედეგების ერთი მესამედი სწორედ მსგავსი გადასახადების პოლიტიკის დამსახურებაა. მნიშვნელოვანია სოციალური ტრანსფერების როგორც ზომა, ასევე მიმართულება იმ ქვეყნებში, სადაც სოციალური ტრანსფერები მცირე ოდენობითაა, მაგრამ მიმართულია კონკრეტულად მცირე ჯგუფებისკენ, უთანაბრობის შემცირება უფრო არსებითია, ვიდრე იქ, სადაც სოციალური ტრანსფერებისთვის მეტი რესურსი აკუმულირდება გადასახადების აკრეფით და მათი გადანაწილება უფრო ფართო სპექტრზე ხდება.

• ინკლუზიური ზრდისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი და დამოუკიდებელი *ინსტიტუტების* არსებობაც. ინკლუზიური ზრდა მოითხოვს საზოგადოების ყველა ჯგუფის ჩართულობას სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღებისას, რისთვისაც ძლიერი ინსტიტუტების არსებობაა საჭირო. შედეგად, გაიზრდება ზეწოლა სახელმწიფოზე და მინიმუმამდე დავა არამიზნობრივად მიმართული რესურსების თუ არარაციონალურად დახარჯული სახსრების ოდენობა, გაქრება ყურადღების მიღმა განზრახ დატოვებული პრობლემები.

²⁴ World Economic Forum - *The Inclusive Growth and Development Report 2017*, p. 11

საქართველო 2020²⁵

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“ დამტკიცდა 2014 წლის 17 ივნისს და ის ინკლუზიური განვითარებისთვის მიმართულ მთელ რიგ ღონისძიებებს ითვალისწინებს.

იმ დროისთვის არსებული ეკონომიკური ვითარება შემდეგნაირად შეფასდა: „გასული ათწლეულის ეკონომიკური პოლიტიკა წარმატებული იყო ინვესტიციების მოზიდვისა და მოკლევადიანი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით, თუმცა, მან ვერ შექმნა საფუძველი საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის; ... ეკონომიკური ზრდის შედეგები არ აისახა საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილზე და ვერც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლების შემცირებაზე“.

აქედან გამომდინარე, დაისახა შემდეგი მიზნები: 1. უმუშევრობის შემცირება; 2. შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება; 3. საბაზისო სოციალური დაცვის სისტემის ფორმირება; 4. ადამიანური კაპიტალის განვითარება.

ეკონომიკის შემაფერხებელ მთავარ პრობლემებად დასახელდა (growth diagnostic method): 1. კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა; 2. არასათანადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი; 3. ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. აქედან გამომდინარე, დაისახა შემდეგი პრიორიტეტები:

1. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა: საინვესტიციო და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, ინოვაცია და ტექნოლოგიები, ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.

2. ადამიანური კაპიტალის განვითარება: შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა.

3. ფინანსების ხელმისაწვდომობა: საინვესტიციო რესურსების მობილიზება, ფინანსური შუამავლობის განვითარების ხელშეწყობა.

დასკვნა

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა დღესდღეობით ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოწვევაა, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისთვის. რობერტ ბაროს ანალიზზე დაყრდნობით კარგად ჩანს ინკლუზიურობის ერთ-ერთი მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორის, შემოსავლების უთანაბრო განაწილების უარყოფითი გავლენა ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებადი ქვეყნების კეთილდღეობაზე. ინკლუზიური ზრდისთვის შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები საუკეთესოდ მიესადაგება დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის დახმარების, ეკონომიკური აქტივობის გაზრდის და ქვეყნის მთლიანი, ყოვლისმომცველი კეთილდღეობის მიღწევის მიზნებს. საქართველოს პოზიცია განვითარებადი ქვეყნების რეიტინგში(31) პოზიტიურ მაჩვენებლად ვერ მიიჩნევა და ბევრ არსებულ პრობლემასაც უსვამს ხაზს, თუმცა დადებითი რეიტინგი 5 წლიან ტრენდებში, „საქართველო 2020“-ით დაგეგმილი ღონისძიებები და უკანასკნელი

²⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება 400, 2014 წლის 17 ივნისი, ქ. თბილისი, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე.

პერიოდის პოზიტიური ტენდენციები მომავლისადმი დადებით მოლოდინებს აღძრავს.

გამოყენებული ლიტერატურა

- ე. ბერიძე, 2017. *ინკლუზიურობა: ეკონომიკური ზრდისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი*, ეკონომიკა და ბიზნესი, 1, გვ. 62-81.
- საქართველოს მთავრობის დადგენილება 400, 2014 წლის 17 ივნისი, ქ. თბილისი, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - საქართველოს მაკროეკონომიკური განვითარება და ტენდენციები 2017, (www.mof.ge).
- Alfredo Saad-Filho - *Growth, Poverty and Inequality: From Washington Consensus to Inclusive Growth*, November 2010, Economic & Social Affairs.
- Robert J. Barro - *Inequality and Growth in a Panel of Countries*, June 1999.
- Robert J. Barro - *Inequality and Growth Revisited*, January 2008.
- Economic Policy Reforms 2012 Going for Growth © OECD 2012 - *Reducing income inequality while boosting economic growth: Can it be done?*
- Elena Ianchovichina, Susanna Lundstrom - *Inclusive Growth Analytics*, The World Bank.
- de Mello, L. and M. A. Dutz (eds.) (2012) - *Promoting Inclusive Growth: Challenges and Policies*, OECD Publishing.
- World Economic Forum - *The Inclusive Growth and Development Report 2017*.

Lazviashvili Luka

Postgraduate Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

THE CHARACTERISTICS OF INCLUSIVE ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA

Expanded summary

International organizations like United Nations Organization, International Monetary Fund, The World Bank and The Organisation for Economic Co-operation and Development frequently hold events and conferences to discuss an economic problems of the world and to provide countries with helpful package of instructions. Inclusive Growth (IG) became the most accentuated aim of the world economies since the concept of it was firstly widely considered in report published by The World Bank's Commission on Growth and Development (CGD) in 2008, entitled *The Growth Report: Strategies for Sustained Growth and Inclusive Development*.

According to OECD Inclusive Economic Growth creates opportunities for all segments of society and distributes gained utility fairly to the whole society. According to The World Bank to eliminate poverty totally and quickly there is necessity of inclusive growth what gives to the whole society a chance of being involved in the process of economic growth and to get utilities from that process. The effect of high economic growth will be long lasted only in case when the various sectors of economy and the majority of labor force are involved in growth process. Different from previously popular Pro-Poor Growth inclusive economic growth

implies not only help of low income part of society with just income distribution but besides and more importantly long term economic growth with a focus on high-productive employment, decreased unemployment, equal opportunities for all firms and individuals and fairly arranged business environment.

I want to place an emphasis on one of the main enemies of inclusive economic growth. It's income inequality what strongly hinders the levels of inclusiveness in various economies. In 1999 and 2008 an American prominent economist Robert Joseph Barro published the two articles about the relation between income inequality and economic growth. In both cases Barro found out a negative relationship between economic growth and income inequality in low GDP countries (GDP per capita < 2000\$ in 1999 when the world GDP per capita was approx. 8000\$), and positive but not sound relationship in high income countries (GDP > 2000\$). In 2008 Barro also refers to Simon Kuznets and says that his curve is the robust discovery what works through the whole period of 1960 - 2000s. Above all, according to econometric analysis of Barro, increase of income inequality hinders economic growth in low GDP countries.

Returned back to the inclusive growth, it's important to make clear how inclusiveness of economies are assessed and estimated. The main source I am relying on is the "World Economic Forum: The Inclusive Growth and Development Report 2017". The report estimates an indicator of inclusiveness: Inclusive Development Index. There are three main directions of estimation: Growth & Development, Inclusion and Intergenerational equity & sustainability. All the three directions have their four components. Growth & Development: GDP per capita, labor productivity, healthy life expectancy and employment. Inclusion: net income Gini coefficient, poverty rate, wealth Gini coefficient and median income. Intergenerational equity & sustainability: adjusted net savings, carbon intensity, public debt and dependency ratio. Countries are grouped as a developed and developing countries and there are drawn rankings in each of the groups relied on assessments of the components and the inclusive development index which is derived from that assessed components. Countries are sorted by descending order considering their index and the whole ranking is divided as quintiles, five equally compiled groups with 20% of the total amount of countries. Considering the number of developing countries in ranking what is 79 there are 16 countries in each quintiles.

Now, it's time to analyze the condition of inclusiveness in Georgia. In overall ranking of developing countries Georgia is placed on 31th spot. Specifically by the direction of Growth & Development Georgia is 36th, by inclusion 36th as well and by intergenerational equity & sustainability it's 21th. In view of all the components of inclusive development index the current condition of the country seems not satisfying. Non of the level components are placed in first quintiles, there are only healthy life expectancy and dependency ratio placed in second quintiles of their rankings what means they are in relatively better condition in Georgia respectively with 66.4 years in healthy life expectancy and 45.7% in dependency ratio what calculates percentage of working age people in whole population. The two worst components are employment and poverty rates respectively being 56.6% and 25.3%. They are placed in fourth quintiles. The rest of the components are all in third quintiles of their rankings what are the medium zones of rankings. Considering the fact that we are talking about rankings of only developing countries 31th spot in overall ranking and such arrangement of components in quintiles can't be assessed as a good performance.

There is much better condition in ranking of 5 year trends. The 6 from total 12 components are placed in the first quintiles of their rankings. There are the 6 components which have significantly improved during the last five years: GDP per capita has shown 6.2% growth, labor productivity - 4.5%, employment despite of being very low rated in static data has highly rated improvement rate 3.1%, net income Gini coefficient (-5.0), despite of negative static condition poverty trend has shown big decline in 5 years (-13.3), and adjusted net savings has raised by 8.3%. Only bad performance in trend rankings has shown the trend of

dependency ratio placed in fourth quintile and what is more demographic factor than economic one. Other 5 factors are placed in the second and third quintiles of their rankings. Opposite of level rankings in trend rankings Georgia has shown very positive tendencies.

According to the instructions of the prominent international organizations there are 7 major directions on which country's economic policy should be addressed. First of all, high employment is one of the main goals for economic growth and inclusiveness of it. Increased employment especially in the sectors of economy where many work places can be created is the promoting factor for economic inclusiveness. Second, structural changes and focusing on highly productive sectors of economy is an important encouraging factor for economic growth and it's inclusiveness. Third, investments in human capital is the vital factor of a long-term inclusive economic growth and a potential level of economic development. There are the five most important components of development of human capital: the active labor market policies, an affordable good quality education, a gender equality, bonuses and unemployment insurance, and an effective "from school to job" mechanism. Fourth, it's a well organized labor market policies. Fifth, it's a deregulation of markets, abolishing of laws what hinders free markets. Sixth, the highly developed social security system is very important for economy in short-terms. Seventh, it's the independent and strong institutions what is significant for having high involvement of society in economic processes.

Georgia has followed the international tendencies and inclusive economic growth is set to be the main goal of near future. In 2015 Georgian government issued an official resolution entitled "Georgia 2020". Inclusive economic growth and development is referred as a major economic intention of the upcoming years. There are the economic aims named in declaration: 1. Decrease of unemployment; 2. Raise of living and working standards; 3. Forming of a good social security system; 4. Development of human capital. Besides, relying on growth diagnostic method the major problems of Georgian economy are the low competitiveness of the private sector, undeveloped human capital and the low availability of financial recourses. Combined with the promotion of inclusive growth, elimination of these issues is planned as well.

As a conclusion, Georgia has not a satisfying condition in economic inclusiveness but there are several positive factors promising us a better future: a very good 5 year trends and the tendencies of improvement, the positive tendencies of other economic indicators (highly raising export, decreasing unemployment and etc.), inflation targeting and intended 3% inflation from 2018 and predicted 6% economic growth from 2019.

ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.

ჟურნალ “ეკონომისტში” სტატიების გამოქვეყნების წესები იხილეთ ვებგვერდზე: ekonomisti.tsu.ge

Journal “**Ekonomisti**”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103

Rules of Publication of articles in the journal “Ekonomisti” see: ekonomisti.tsu.ge

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი **სესილი ხანჯალაძე, ნატო აბესაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Sesili khanjaladze, Nato Abesadze**